ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba




„ახალი თაობა“
+„ჩერჩილი“
yfobkb 66
8 ლარი
„ახალი თაობა“
+„განდი“




ორშაბათი, 9 მაისი, 2011 №108 (5489) ფასი: 30 თეთრი

# ნაციონალები ხელისუფლებაში დარჩენას 2018 წლამდე აპირებენ

## როგორ უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ



## საზარელი მკვლელობა თბილისში

გვ.3

რატომ მოკლეს დევნილთა სამოქალაქო მო რაობის თანათავმჯდომარის მეუღლე



## ბურჯანაძე-კიწმარიშვილის მიერ მოწყობილ რევოლუციაში მონაწილეობას არ მივიღებ!

ქართულმა პარტიამ მიზანში ამოგვიღო

გვ.4

## შსს საკალათბურთო გუნდის მოთამაშის ქმედებამ ვეტერანების აქციის დაშლა გამახსენა

გვ.7



## იმედი მაქვს, ხელისუფლება შეცდომას დაუშვებს

კახა კუკავა ოპოზიციას აფრთხილებს

გვ.2



## რეჟიმის შესაცვლელად აქციებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ვიწყებთ

გვ.5

გვ.3



## წარსულის დავიწყება არ შეიძლება!

ომის ვეტერანების დაცინვა ფაშიზმზე უარესია

## რა კავშირი აქვს ისრაელს „ჰამასის“ მხარდამჭერილ აფხაზეთთან

გვ.9



## ამ ქვეყანაში უნაკლოდ არაფერი ხდება



გვ.10

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

11 საქართველოში ინვალიდი ბავშვების უფლებები ირღვევა

15 ანატოლი პისკოვეცი: „ქართველები, უზრალოდ, ემოციური და ტემპერამენტიანები არიან“

7 სოზარ სუბარი: საპროტესტო პროცესის ძრავა ახალგაზრდობა იქნება

14 ქართული კალათბურთის ახალი პრობლემა — ქალები გადამალეთ!

# იმედი მაქვს, ხელისუფლება შეცდომას დაუშვებს

## კახა კუკავა ოპოზიციას აფრთხილებს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან



***— ბატონო კახა, როგორია თქვენი რეაქცია ამ გამოცხადებულ და წინასწარ დაანონსებულ აქციებთან დაკავშირებით?***

— მინდა, რომ ჩვენი პარტიის პოზიცია დაფიქსირებულიყო თქვენს გაზეთში ამ საკითხთან დაკავშირებით. პირველი, ჩვენ ვთქვით, რომ აქციების გარეშე ხელისუფლების შეცვლა არ მოხდება, ეს თეორიულად გამორიცხულია. რაღაცა მოლაპარაკებებით და კუდის აწევით ეს ხელისუფლება არ შეიცვლება, ეს არის თეორიულად გამორიცხული და შესაბამისად თუ ასეთი აქციები დაიწყება, ჩვენ მასში მონაწილეობას მივიღებთ და დარტყმასაც მივიღებთ ჩვენს თავზე და ყველაფერს. მაგრამ არის ასეთი საფრთხე და ჩვენც გვეჩვენება, რომ ეს აქციები და აღარ დავაკონკრეტებ, რომელს, იმართება არა ხელისუფლების შეცვლის მიზნით, არა იმართება ორთქლის გამოშვების მიზნით და გარკვეულწილად არის მართული, უფრო სწორად, სრულად არის მართული ხელისუფლების მიერ. იმიტომ, რომ თქვენ იცით, ეს რამდენჯერმე მოხდა საქართველოში, აი, 17-ში, 15-ში ხელისუფლებას შევცვლით, ხალხი გამოვიდა, მხარი დაუჭირა ამ იდეის ორგანიზატორებს და შემდგომ მიღებულ იქნა რაღაც დეკლარაციები, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ სააკაშვილს ჩვენი ძალა, იყო რაღაცა სიტყვების ბრახუნი და ხალხი სახლში გაუშვეს. შედეგი ამისი არის არა სააკაშვილის შესუსტება, არამედ პირიქით, მისი გამყარება და რატომ? უკმაყოფილო ხალხი მიდის სახლში გინებით და ფურთხებით, ძირითადად აგინებს და აფურთხებს ოპოზიციას და ამბობს, რომ არა, მიშა ისევ მაგარია და შევეშვათ ამას, ჩვენ ვერ მოვერევით. ეს პროცესი, თავისთავად ცხადია, აძლიერებს სააკაშვილს და ამიტომ მე ვფიქრობ, ის პერიოდულად თვითონ უკეთებს ხოლმე ორგანიზებას ამ პროცესს. ამიტომ მე მინდა ვთხოვო ყველას, ვინც ნებით თუ უნებლიეთ არის ამაში ჩართული, რომ თუკი გამოცხადებული არის, რომ ამ თარიღზე რაღაცა მოხდება, ან ამისთვის უნდა იყოს სრული მზადყოფნა, ან თუ არ არის მზადყოფნა ჯობია ამის შესახებ წინასწარ ითქვას და შემდეგ თუკი მოხდება გეგმების შეცვლა, ჩვენ აუცილებლად ჩვენი პარტია გავაკეთებთ განცხადებას კი არა კამპანიას დავიწყებთ და ის ხალხი, რომელიც გეგმებს ჩაშლის, პირდაპირ უნდა მივიჩნიოთ, როგორც თორთლაძის სტატუსი არის გარკვეული სააკაშვილთან რა მიმართებაში არის, აი, ზუსტად იგივე საქმეს აკეთებენ ის პარტიები, ვინც პერიოდულად ამ ლოკალურ აქციებს მართავენ და ამ რევოლუციების ანონსებს გასცემენ. მე სამართლიანობისთვის უნდა ვთქვა, რომ ჩვენს განცხადებას უპასუხა ქალბატონმა ბურჯანაძემ და მან განაცხადა, რომ არც თარიღის გადადებას და არც დღის წესრიგის შეცვლას ის არ გეგმავს. მე მინდა პოზიტიურად შევაფასო, რომ ეს განცხადება არის ნათლად გაკეთებული, ორაზროვნების გარეშე და მე იმედი მაქვს, რომ ეს განცხადება იქნება შესრულებული. ამიტომ ჩვენი განცხადება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ვიღაცას კონკრეტულად ვაბრალებთ, რომ ის ამას გეგმავს. ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ ვინც ამას გააკეთებს, რომ დაანონსებული რევოლუციის მაგივრად მერე მივიღებთ სახალხო დეკლარაციას, ის იქნება სააკაშვილის მხრიდან მართული პიროვნება.

***— ბევრმა ისე აღიქვა, რომ მაისის ბოლო ცუდად არის შერჩეული, რადგან ზაფხული მოდის და შემდეგ სერიოზულ ტაიმაუტს აიღებს ეს მოძრაობაო...***

— ტაიმაუტი ავტომატურად მოჰყვება მაისის ბოლოს, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რეალურად გაცემული დაპირება შესრულდება თუ არა. ახლა სამი ათასკაციანი აქცია ჩვენმა პარტიამ გავაკეთეთ მარტში, გახსოვთ, თქვენ მძღოლების გაფიცვა რესპუბლიკის მოედანზე, სამი ათას კაცზე მეტი მოვიდა, მაგრამ ჩვენ ვთქვით, რომ ეს იყო მძღოლების გაფიცვა, რომლის ამოცანა იყო ტენდერის ჩაშლა. ჩვენ ხომ არ გამოგვიცხადებია, რომ ეს არის რევოლუცია, რომელსაც სააკაშვილის გადადგომა მოჰყვებოდა. ანუ თუ ვიღაცა გეგმავს, რომ 5 ათასი კაცი შეკრიბოს და თავის ძალა დაანახონ ხალხს, ეს უნდა გამოაცხადოს წინასწარ და ხალხი ამის გამო არ იქნება მერე მოტყუებული. ამიტომ ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ რევოლუციების ორგანიზატორ ორივე ძალას, რომ ნათლად დააზუსტონ, რის გაკეთებას აპირებენ მიმდინარე წლის მაისში, იმიტომ, რომ პირადად მე ვპირდები მათ და ვიცი, რომ საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი ამას აპირებს, რომ ამჯერად აქციის შედეგები შეუფასებელი აღარ დარჩება.

***— ბატონო კახა, თქვენ თუ აპირებთ ჩაერთოთ ამ პროცესში?***

— არათუ ჩართვას ვაპირებთ აქტიურად, ბევრი პარტია, იცით, რას შვრება ხოლმე? იქვე ახლოს, სადღაც მანქანაში დაჯდება და უყურებს, თუ ბევრი ხალხი მოვიდა, გადმოვა, თუ არ მოვიდა, არ გადმოვა. ჩვენ ასეთ ჩართვას არ ვაპირებთ. ჩვენ ვაპირებთ, რომ თუკი მართლა ეს იქნება რევოლუცია, აი, რაც არის ყველაზე მძიმე სისხლის სამართლის საქმე, ყველაზე მძიმე სასჯელს რაც ითვალისწინებს, იმ ქმედებას ჩავიდენთ. ყველაზე უფრო სარისკო და საპასუხისმგებლო ეპიზოდში მზად ვართ, რომ ჩავერთოთ და პასუხისმგებლობა ავიღოთ. სამართლიანია, როცა მე ორგანიზატორებს მოვუწოდებ, რომ პასუხისმგებლობა აიღონ, იმიტომ, რომ თუ გაიმარჯვეს, დაფნის გვირგვინი ბუნებრივია ორგანიზატორებს დარჩება, მაგრამ თუ დამარცხდნენ, ამაზე არ არის აუცილებელი, რომ მერე მთელ ოპოზიციას აფურთხონ. სამართლიანია პასუხისმგებლობა იკისრონ მათ, ვინც დაგეგმა ეს პოლიტიკური პროცესები.

***— სახალხო კრებასა და ქართულ პარტიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა, ეს რამდენად იმოქმედებს საზოგადოების განწყობაზე?***

— მე მინდა მოვუწოდო მათ ეროვნული თანხმობისკენ. თუ ისინი არიან გულრწფელები, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგე არის სააკაშვილი, მაშინ ლოგიკურად აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა შედგეს მათ შორის ეროვნული თანხმობა. წარმოიდგინეთ, ასეთი ამბავი, რომ ჰიტლერი ებრძვის სტალინს და მეორე ფრონტი გახსნა ინგლისმა და ამერიკამ და სტალინს რომ გაეკეთებინა განცხადება, რაღა ახლა მოუნდათ მეორე ფრონტის გახსნაო. ეს ხომ არალოგიკური იქნებოდა. ე.ი. თუ გულრწფელად მიდის ბრძოლა, შენ უნდა გიხაროდეს, რაც მეტი მეორე ფრონტი და მესამე ფრონტი გაიხსნება სააკაშვილის წინააღმდეგ და რაც უფრო მეტი ძალა შემოგემატება. თუ ეს არ გიხარია, ე.ი. შენ აბსოლუტურად სხვა სცენარი გაქვს და არა ხელისუფლების შეცვლა. მე მინდა მოვუწოდო სახალხო კრებაშიც და ქართულ პარტიაშიც იმ ადამიანებს, ვინც განწყობილები არიან თანხმობისაკენ და არიან ასეთი ადამიანები დ ამ ადამიანებსაც, ვინც თანხმობის წინააღმდეგი არიან, რომ აუცილებლად ეს თანხმობა უნდა შედგეს. ამ თანხმობის არშედგომა, ერთმანეთისთვის ხელის ჩამოურთმელობა, ეს არის პრაქტიკულად იმისი ლუსტრირება, რომ სააკაშვილის გადადგომა არ არის უმაღლესი პრიორიტეტი. მე არა მარტო მოვუწოდებ გაზეთის ფურცლებიდან, არამედ ვაპირებ, რომ გარკვეულ საშუამავლო პროცესში მივიღო მონაწილეობა. ყველას დაგვიხარჯავს ერთმანეთზე მწარე სიტყვები, შეიძლება არავინ უკან ეს სიტყვები არ წაიღოს, ჩვენ ვართ პოლიტიკოსები და ერთმანეთზე გვაქვს ხოლმე ცუდი წარმოდგენები, მაგრამ ტაქტიკური, სტრატეგიული თუ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ამ მომენტში შეიძლება თანხმობა შედგეს. არავინ არ სთხოვს ახლა არც გაჩეჩილაძეს და არც ბიწაძეს, რომ ერთმანეთს ტუჩებში აკოცონ. საუბარი არის იმაზე, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ყველა ძალა უნდა იქნეს მიმართული ერთი წერტილისაკენ. როცა ეს პროცესი დამთავრდება, ჩვენ შეგვეძლება ჩვეულებრივ რეჟიმში ოპონირებაც გავაგრძელოთ.

***— საუბარია, რომ ხელისუფლებაც სერიოზულად ემზადება ამ აქციების დარბევისთვის...***

— ყველაზე მეტად, თუ გაინტერესებთ, სწორედ ხელისუფლების შეცდომის იმედი მაქვს. ვიცი რა მაგათი უტვინო თავების ამბავი, მე ვფიქრობ, თუ ხელისუფლება დაუშვებს შეცდომას, შეიძლება ჩვენ მართლაც მივიღოთ პროცესი, რომელსაც საქართველოში ძალიან სერიოზული ძვრები მოჰყვება.

***— თქვენ ფიქრობთ, თუ მოხდება აქციის დარბევა, ხელისუფლების ცვლილება გარდაუვალი იქნება?***

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მე ვფიქრობ, რომ პროტესტი ჩვენს საზოგადოებაში დღეს უფრო მეტი არის, ვიდრე 2009 ან 2007 წლის აქციების დროს. უბრალოდ საზოგადოება არის ინდიფერენტული და ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც საზოგადოებას გულგრილობის ჯავშანს მოხსნის, ეს იქნება ხელისუფლებისთვის სასიკვდილო განაჩენი.

***— თქვენ ხედავთ იმის შანსს, რომ მაისში დაწყებული პროცესები შესაძლოა საზოგადოებისთვის წარმატებით დასრულდეს?***

— ძალიან პატარას, მაგრამ ვხედავ. მინდა დავაკონკრეტო, რომ მე არა ვარ არც ერთი ამ აქციების ორგანიზატორი დ ავერ ვიმსჯელებ წინასწარ იმაზე, არის თუ არა მზად ყოფნა, არის თუ არა ეს ყველაფერი ორგანიზებული, არის თუ არა ყველაფერი მოფიქრებული. ბუნებრივია, ამაზე პასუხისმგებლობა ორგანიზატორებს ეკისრებათ.

***— ოპოზიციურ რვიანზე რას გვეტყოდით?***

— მე გავაკეთე განცხადება მარტში, რომ გარდაიცვალა საარჩევნო პროცესი და კუბოში დევს-მეთქი და მერე ამ მკვდარს მორგში მალავდნენ ორი თვე, მაგრამ ახლა მოუწიათ ამის აღიარება. მაშინ ძალიან გაბრაზდნენ და ბევრმა მწარე კომენტარითაც მიპასუხა, რომ კუკავას არ ესმის ეს საკითხები და თურმე პროცესი წარმატებულად მიმდინარეობს. ახლა ამ თავიანთ წარმატებულ პროცესს დაადონ საფლავის ქვა, გამოცხადდა ოფიციალურად, რომ პროცესი ჩაიშალა და ამის მიხვედრას დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა არ სჭირდებოდა, რომ ზეწოლის გარეშე ხელისუფლება არანაირ დათმობებზე არ წავიდოდა.

## ილია II-მ ყველა ქართველს სახლსა და ეზოში ხელნაკეთი ჯვრის აღმართვის კურთხევა მისცა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დღეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას ყველა ქართველს სახლსა და ეზოში ხელნაკეთი ჯვრის აღმართვის კურთხევა მისცა.

დღესვე ჯვართაღმართების დღესასწაულთან დაკავშირებით, დასი მრევლთან ერთად სვეტიცხოვლის ტაძრიდან სამი მიმართულებით მცხეთის ჯვრის, უჯარმისა და თხოთის ტაძრებისკენ დაიძრა, სადაც მათ ჯვრები უნდა აღმართონ. სამი ჯვარი მტკვარზე ტივებით გადააბრძანეს.

— ჯვრის აღმართვის დღესასწაული წმინდა ნინოსა და მირიან მეფის დროს დადგინდა. ცაზე გამოჩნდა სამი ვარკსვლავი, სადაც გაჩერდებოდა იქ უნდა აღმართულიყო ჯვარი. აი, წელს კი მათი აღმართვა მოხდება ანაკლიაში, სარფსა და თუშეთში. ღმერთმა ინებოს, რომ ჯვარმა და მისმა ძალამ მოგვიტანოს მშვიდობა და კეთილდღეობა და გაამთლიანოს საქართველო, — ბრძანა უწმინდესმა.

მისი თქმით, ჯვარს აქვს ძალიან დიდი ძალა. იგი აუცილებლად ნაკურთხი უნდა იყოს და მე გაძლევთ ლოცვა-კურთხევას რომ ეზოში და სახლში გქონდეთ აღმართული პატარა ჯვარი.

მედიანიუსი

## „ქართული პარტია“ აქტიურ ქმედებებს იწყებს

„ქართული პარტია“ ხელისუფლების შესაცვლელად ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს იწყებს. პირველი აქცია დღეს, 9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, კახეთის რეგიონში ჩატარდება.

პარტიის ლიდერები და აქციის მონაწილეები პატივს მიაგებენ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას და გვირგვინებით შეამკობენ მემორიალებს ჯერ ვაკის პარკში, შემდეგ კი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულსა და გურჯაანში.

გურჯაანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდება მიტინგი, რომლის დასრულებისთანავე აქციის მონაწილეები თელავში გაემგზავრებიან და პროტესტს ამჯერად უკვე ერეკლე მეორეს სახელობის მოედანზე გამოხატავენ. თელავიდან ავტოკოლონა ყვარელში გადაინაცვლებს, სადაც, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოეწყობა მანიფესტაცია, შემდეგ კი ყვარლის რაიონის გამგეობის შენობის წინ საპროტესტო მიტინგი გაიმართება.

კახეთის შემდეგ, „ქართული პარტია“ ანალოგიურ აქციებს ქვეყნის სხვა რეგიონებში გამართავს.

მედიანიუსი

## „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ დიპკორპუსს ვიდეოჩანაწერი მიაწოდა

ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს ქალაქ რუსთავში პოლიციის მიერ „სახალხო კრების“ ახალგაზრდული მოძრაობისა და მოძრაობა

არა„-! ორგანიზებული მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ „პროვოკაციის მოწყობის, დარბევისა და უკანონო დაკავების ფაქტის ამსახველი“ სრული ვიდეოჩანაწერი მიაწოდა. „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა, რათა მათ აქტიური მონიტორინგი აწარმოონ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ მსგავს დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული.

— „დემოკრატიული მოძრაობა“, როგორც „სახალხო კრების„ ნაწილი ვაცხადებთ, რომ დღეს მიხეილ სააკაშვილის რეჟიმმა ახალგაზრდების წინააღმდეგ მისთვის ჩვეული მეთოდით პროვოკაცია მოაწყო, რაც ნათლად ჩანს მომხდარი ფაქტის ამსახველ ვიდეომასალაში; ჩვენ სწორედ ამგვარ მეთოდებს ვებრძვით, ნ ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ სახალხო კრების„ ახალგაზრდები არასოდეს მოიქცევიან ისე, როგორც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები იქცევიან, ისინი არასოდეს აღმართავენ ხელს ქალის წინააღმდეგ. მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ გაამჟღავნონ იმ

მამაკაცი ვინაობა, რომელმაც პოლიციის თანამშრომელ ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.მოვითხოვთ უდანაშაულო ახალგაზრდების დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.აგონიაში მყოფმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ არ წამოვეგებით მათ პროვოკაციებს და არ შევცვლით თანმიმდევრულ გეგმას, 21 მაისს თავისუფლების მოედანზე სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟის მიზნით საერთო სახალხო გამოსვლები აუცილებლად დაიწყება, — ნათქვამია ნინო ბურჯანაძის პარტიის განცხადებაში..

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# საზარელი მკვლელობა თბილისში

## რატომ მოკლეს დევნილთა სამოქალაქო მო რაობის თანათავმჯდომარის მეუღლე

**ეროვნული საბჭო და დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წევრები ბოლო დღეებში პოლიციას ხშირად სტუმრობდნენ. ისინი სამართალდამცავებისგან დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თანათავმჯდომარის მეუღლის პოვნას ითხოვდნენ.**

**დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის თანათავმჯდომარის, დიმიტრი ომანაძის მეუღლე დარეჯან ქარდავა რამდენიმე დღის წინ გაუჩინარდა. როგორც ოპოზიცია ამბობს, პოლიციელები მათ მოთხოვნას ყურადღებით არ ეკიდებოდნენ.**

**გუშინ კი სამართალდამცავებმა გვაუწყეს, რომ დარეჯან ქარდავას ცხედარი ნაპოვნია.**

თეა მარხვაი ე

პოლიციის ცნობით, ქარდავას ცხედარი ლისის ტბის სიახლოვეს, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოაჩინეს.

სამართალდამცავების განმარტებით, 30 წლის დარეჯან ქარდავას წამების კვალი აღენიშნება. ერთ-ერთი ვერსიით ის სექსუალური ძალადობის დროს გაგუდეს.

დაკავებულია დანაშაულში ეჭვმიტანილი — მოკლულის დეიდაშვილი, 35 წლის ბაქარ დარსალია. მკვლელობის ზუსტი მოტივი უცნობია. მომხდარ ფაქტზე საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს, სადაც მას ექსპერტიზა ჩაუტარდება.

ამ ინფორმაციამ მთელი საზოგადოება გააოგნა. გაოგნებული არიან ეროვნულ საბჭოშიც. ისინი არ გამორიცხავენ, რომ დარეჯან ქარდავას მკვლელობას შეიძლება პოლიტიკური მოტივი ჰქონდეს.

— ეს არის საშინელება. ის, რაც მოვისმინე, მგონი, მარტო საშინელებათა ფილმებში ხდება. ძნელი დასაჯერებელია ოფიციალური ვერსია. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ამ საშინელ მკვლელობას პოლიტიკასთან ჰქონდეს კავშირი. ეჭვების გასაფანტავად სამართალდამცავებმა მომხდართან დაკავშირებით საფუძვლიანი და ობიექტური გამოძიება უნდა ჩაატარონ, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ეროვნული საბჭოს ერთ-ერთმა ლიდერმა ალეკო შალამბერიძემ.

ის იხსენებს, თუ როგორ გულგრილად ეკიდებოდა პოლიცია მათ განცხადებას დარეჯან ქარდავას გაუჩინარებასთან დაკავშირებით.

— ჩვენ რამდენიმე დღის განმალობაში დავდიოდით პოლიციაში და ყურს არ იბერტყავდნენ. დღეს კი მოულოდნელად გამოგვიცხადეს, რომ საქმე გახსნილია. ამიტომ გაჩნდა ვარაუდები, რომ ამ საქმეს პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა. ეს „ვარაუდები“ გამორიცხული დღესაც არ არის და საქმის გამოძიება საფუძვლიანად უნდა მოხდეს, — ამბობს ეროვნული საბჭოს ერთ-ერთი ლიდერი.

დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბოლო დროს მიმდინარე საპროტესტო აქციებში. ბუნებრივია, აქტიურობდა მოძრაობის თანათავმჯდომარე დიმიტრი ომანაძეც.

რამდენად არის ეს საზარელი მკვლელობა პოლიტიკასთან კავშირში, ამას მომავალი გვიჩვენებს. გარდაცვლილის მეუღლის თანამოაზრეები გამოძიების მიმართ უკვე ეჭვებს გამოთქვამენ.

იმედი ვიქონიოთ, რომ სამართალდამცავები მომხდარს სათანადოდ გამოიძიებენ. და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.

# წარსულის დავიწყება არ შეიძლება!

თეა მარხვაი ე



## ომის ვეტერანების დაცინვა ფაშიზმზე უარესია

დღეს მთელი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებას აღნიშნავს. 9 მაისი საქართველოშიც უქმე დღედ არის გამოცხადებული, თუმცა ჩვენი ხელისუფლება ამ დღეს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. ამის ნათელი დადასტურება ქუთაისში მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა მემორიალის აფეთქება იყო.

იმ მემორიალის ადგილზე გამალებული ტემპებით პარლამენტის ახალ შენობას აშენებენ. ერთ-ერთმა ნაციონალმა დეპუტატმა განაცხადა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს პატივს ვერ ვცემ, ისინი იმპერიის ჯარში მსახურობდნენო.

ოპოზიციამ თქვა, მაგ კაცის წინაპარი ნაღდად დეზერტირი იყო იმ დროს და ამიტომ ლაპარაკობს ასეო. დღეს ნამდვილად არა აქვს აზრი, ამა თუ იმ ნაციონალის მამა-პაპანი რას აკეთებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. ჩვენ ამის გარკვევა ნამდვილად არ გვსურს. ჩვენ გვაინტერესებს, რატომ ებრძვის ხელისუფლება ასე დაუნდობლად წარსულს.

პოეტი ერეკლე საღლიანი მიიჩნევს, რომ რუსული ბოლშევიზმი ფაშიზმზე არანაკლები ბოროტება იყო. ამის მიუხედავად, ის 9 მაისს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი თქმით, ფაშიზმის დასამარებამ ბოლშევიზმის დასამარება დააჩქარა.

რატომ არის მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ამ ადამიანების უპატივცემულობა ფაშიზმის ტოლფასი საშინელება, რატომ არ შეიძლება ისტორიის უარყოფა, ამის შესახებ პოეტი ერეკლე საღლიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ერეკლე საღლიანი:**

— მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით ჩემი დამოკიდებულება მაქვს. ეს იყო დანაშაულებრივი ომი. ომის მონაწილე ორივე მხარე იყო დამნაშავე. იმიტომ, რომ გერმანული ფაშიზმიცა და რუსული ბოლშევიზმიც იყო საშინელება. როცა ეს ორი დიდი ბოროტება დაუპირისპირდა ერთმანეთს, სამყაროს არჩევანის გაკეთებამ მოუწია.

***— და ნაკლები ბოროტების, რუსული ბოლშევიზმის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი?***

— ამ სამყაროში ყველაფერი შედარებითია.... და არჩევანი გაკეთდა ბოლშევიზმის სასარგებლოდ, რომელსაც პირადად მე ფაშიზმზე ნაკლებ საშინელებად და ბოროტებად არ მივიჩნევ. სამყარომ მის სასარგებლოდ იმიტომ გააკეთა არჩევანი, რომ ის ფარული ბოროტება იყო. მეორე მსოფლიო ომი დანაშაულებრივი რომ იყო, უკვე მოგახსენეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ომის მონაწილეებს პატივი არ ვცეთ. ამ ადამიანებმა უამრავი ტანჯვა გამოიარეს. მათ არავინ არ ჰკითხა, სურდათ თუ არა საბჭოთა არმიაში სამსახური. ისინი გარეკეს... დიახ, გარეკეს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ წარმოდგენაც კი არა გვაქვს, რამხელა წვალება აქვთ მათ გამოვლილი. ასეთი ადამიანებისთვის სულში ჩაფურთხება პირადად მე ძალიან დიდ უზნეობად მიმაჩნია.

***— თქვენი აზრით, რატომ ხდება ამ ადამიანების იგნორირება და მათთვის სულში ჩაფურთხება?***

— არ ვიცი. მე ვიცი, რომ მათ მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამომჟღავნება არის საშინელება. რა მნიშვნელობა აქვს ახლა იმას, თუ ისინი საბჭოთა არმიის შემადგენლობაში იბრძოდნენ. ისინი მაშინ თვლიდნენ, რომ ებრძოდნენ ბოროტებას. იყო კიდევაც ფაშიზმი ბოროტება. დღეს ვილაცებმა ვეტერანები დაცინვის საგნად აქციეს. ასეთი დამოკიდებულება გაცილებით დიდი ბოროტებაა, ვიდრე რუსული ბოლშევიზმი და გნებავთ, გერმანული ფაშიზმი.

***— იმ ომთან დაკავშირებით მავანი და მავანი ზღაპრულ ვერსიებს ავრცელებს. ამტკიცებენ, მაშინ გერმანელებს რომ გაემარჯვათ, საქართველო თავისუფალი ქვეყანა გახდებოდაო. თქვენ გჯერათ ასეთი ვერსიის?***

— მე ამის ნამდვილად არ მჯერა. ფაშისტების იდეოლოგის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. ამ იდეოლოგიიდან გამომდინარე თუ ვილაპარაკებთ, მაშინ საქართველოს გათავისუფლების შანსი არ არსებობდა. ეს იყო ოცნება. ვილაცებს მაშინ ისე უნდოდათ რუსეთისგან თავის დაღწევა, რომ ფაშიზმი მხსნელად ეჩვენებოდათ. ფაშისტებს რომ გაემარჯვათ, მოხდებოდა ის, რაც ჩენს თავს ხშირად ხდებოდა. ერთი უღელი შეიცვლებოდა მეორით. ახლაც ამ დღეში არა ვართ?!

***— ჩვენი ხელისუფლება გამოკვეთილად ებრძვის წარსულს, უნდათ, ისე წარმოაჩინონ, რომ თითქოს საქართველოს ისტორია 2003 წლიდან დაიწყო...***

— ისტორია ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი უარყოფა. ის ისეთად უნდა მივიღოთ, როგორიც იყო და ასევე უნდა შევინახოთ. მე ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე ვიყავი ყოველთვის. ჩემთვის ასევე მიუღებელი იყო მარქსის, ლენინის და მათნაირების მოძღვრებანი. ეს იყო ღვთის საგმობი მოძღვრება. ამის მიუხედავად მაინც გავაპროტესტე, როცა მათი ამოფხეკა დაიწყეს.

***— საიდან დაიწყეს მათი ამოფხეკა?***

— იმელის შენობის ფასადიდან. ისინი ცოდვილი ადამიანები არიან, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ისინი არიან ისტორიული პიროვნებები. ისტორია უნდა შეინახო, მიუხედავად იმისა, მოგწონს თუ არა იგი შენ. ამგვარი აღმოფხვრა არაფერს არ შველის. თუ რამის უარყოფა გინდა, ის ცნობიერებიდან უნდა აღმოფხვრა. ცნობიერებიდან აღმოფხვრა მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულს შეუძლია, რომელიც ამათ არ გააჩნიათ. გინდა ჩაატარონ საქართველოში 9 მაისი, გინდა არა. ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. იმიტომ, რომ ფაშიზმზე გამარჯვებას მთელი მსოფლიო ზეიმობს. ეს დღე ფაშიზმზე ბოლშევიზმის გამარჯვება სულაც არ გახლავთ. მიმაჩნია, რომ გერმანული ფაშიზმის დასამარებამ დააჩქარა რუსული ბოლშევიზმის დასამარება. თუნდაც ამითაც არის მნიშვნელოვანი ეს თარიღი. კიდევ ვიმეორებ, ისტორიის დავიწყება და იგნორირება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ის თუ არა ჩვენ.

***— ძეგლების ნგრევაზე რაკი ჩამოვარდა საუბარი, თქვენი აზრით, რატომ ანგრევენ ჩვენში ასე გამალებით ძეგლებს?***

— ძეგლების ნგრევას აზრი არ აქვს. ამით წარსული არ შეიცვლება. სტალინის ძეგლი გორიდან გაიტანეს. ამით გვეშველა რამე? შეიცვალა საქართველოში რამე სასიკეთოდ? თუ სიკეთე გვინდა, მაშინ სისტემა უნდა შეიცვალოს. რატომ ანგრევენ ძეგლებს, როცა თავად იმ სისტემის პირდაპირი მემკვიდრენი არიან. თუ სისტემა არ შეიცვალა, აქ არაფერი არ გამოვა. ვინც არ უნა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველაფერი ისევ ცუდად იქნება, მანამ, ვიდრე სისტემა არ შეიცვლება. ყველას აქვს ნანახი თენგიზ აბულაძის შესანიშნავი ფილმი „მონანიება“. იქ არის ერთი ასეთი ფრაზა: რაღაა ის გზა, რომელიც საყდართან არ მიგიყვანს.

***— ჩვენ რომელ გზასაც ვადგავართ, საყდართან არ მიგვიყვანს?***

— ეს გზა ნამდვილად არ მიგვიყვანს. აქ თუ სისტემა არ შეიცვალა, არაფერი არ შეიცვლება, ქვეყანა არ აშენდება. და ეს არ იქნება ხელისუფლების ბრალი. იმიტომ, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ყველა ასე მოიქცევა. იმიტომ, რომ არსებული სისტემა სხვანაირად მოქცევის საშუალებას არ იძლევა.

# პრეზიდენტის ესკორტს ინციდენტი შეემთხვა

საქართველოს პრეზიდენტის ესკორტის ავტომობილი ყვარელში ადგილობრივის ავტომობილს შეეჯახა. ამ ინფორმაციას „ქართული პარტიის“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი მალხაზ ხიზანიშვილი ადასტურებს.

მისი ინფორმაციით, შემთხვევა გუშინ ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მოხდა. პრეზიდენტის ესკორტში შემავალი ერთ-ერთი ავტომობილი ადგილობრივი მკვიდრის კუთვნილ „ჟიგულის“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. შედეგად დაზიანდა „ჟიგული“, თუმცა არავინ დაშავებულა და შემთხვევას არც მსხვერპლი მოჰყოლია.

**ინტერპრესნიუსი**

# „რეჟიმის შეცვლას მთელ ჩემს ძალასა და ენერგიას მოვახმარ“

გუშინ გიორგი გამცემლიძის დაღუპვიდან სამი წლისთავთან დაკავშირებით თბილისში, რუსთაველის ძეგლთან საზოგადოებრივი მოძრაობა „გადაარჩინე სიცოცხლის“ ორგანიზებით საპროტესტო აქცია გაიმართა.

აქციის მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა მოძრაობებმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა სამართალდამცველების მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ფაქტები დაგმეს და გიორგი გამცემლიძის მკვლელობაში პასუხისმგებელი პირების სათანადო დასჯა მოითხოვეს. აქციის მონაწილეების განცხადებით, ის სამართალდამცველი, რომელმაც სამი შვილის მამა გიორგი გამცემლიძე ერთი გასროლით მოკლა, სასამართლომ მხოლოდ ორწლიანი პატიმრობით დასაჯა.

— ეს ორი წელიც ბოლომდე არ მოუხდია და გასაჩივრების შემდეგ ვადაზე ადრე გათავისუფლდა. სათანადოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ეს ბრძანება გასცა. ასევე უნდა დაისაჯონ ხელისუფლების ის წარმომადგენლებიც, რომლებმაც სამართალდამცველებს მკვლელობის უფლება დაუკანონეს. მე პირადად ვდებ პირობას, რომ ერთი წუთითაც კი არ დავიძინებ და ამ რეჟიმის შეცვლას მთელ ჩემს ძალასა და ენერგიას მოვახმარ, — განაცხადა გიორგი გამცემლიძის მამამ, „გადაარჩინე სიცოცხლე“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ჯამბულ გამცემლიძემ.

31 წლის გიორგი გამცემლიძე 2008 წლის 8 მაისს საპატრულო პოლიციის თანამშრომლის ტყვიას ემსხვერპლა.

**მედიანიუსი**

# ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაული 8 მაისს გადავიტანოთ!



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად დღეს ვაკის პარკში ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავის აღსანიშნავად მივიდა და უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო.

ჟურნალისტებთან საუბრისას ვაშაძემ სურვილი გამოთქვა, რომ ფაშიზმზე გამარჯვების დღე საქართველოში 9 მაისის ნაცვლად, 8 მაისს აღინიშნოს.

მისი თქმით, როდესმე რუსეთს ნორმალური ხელისუფლება ეყოლება და ქართველი ხალხიც მალე, ამ თარიღის აღნიშვნას რუსეთთან ერთად შეძლებს.

— ჩვენი სამინისტრო ამ დღეს ტრადიციულად აღნიშნავს 8 მაისს და სიმართლე გითხრათ, მე მომხრე ვარ, რომ ეს დღესასწაული გადავიტანოთ 8 მაისს, როდესაც მთელი კაცობრიობა აღნიშნავს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, — განაცხადა ვაშაძემ და დასძინა, — რატომღაც რუსეთი, როგორც ყოველთვის სეპარატისტულად 9 მაისს აღნიშნავს, ყოვლად გაურკვეველი მიზეზების გამო.

თუმცა, მინისტრის თქმით, ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისს აღინიშნება თუ 9 მაისს პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.

— მთავარი არის, რომ ეს არის დღე, როდესაც კაცობრიობა აღნიშნავს ცივილიზაციის გამარჯვებას სიბნელეზე, ადამიანურობის გამარჯვებას ფაშიზმზე, ყველაზე მახინჯზე თუ რამე შეუქმნია კაცობრიობას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, — განაცხადა მან.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ სამწუხაროდ, იმ ხალხის შვილიშვილებმა, ვინც ფაშიზმს ებრძოდნენ 41-45 წლებში, ფაშისტური მეთოდებით 400 ათასი საქართველოს მოქალაქე გამოყარეს, ეთნიკური წმენდის შედეგად, თავისი სახლებიდან.

**მედიანიუსი**

# „სამოქალაქო ფრონტი“ ოპოზიციონერების დაკავებას აპროტესტებს

„სამოქალაქო ფრონტი“ „სახალხო კრებისა“ და მოძრაობა „არას!“ წევრების დაპატიმრების გამო პროტესტს გამოთქვამს.

ორგანიზაციის შეფასებით, ქვეყანაში არსებული საპროტესტო განწყობილებების ჩახშობის მიზნით, ხელისუფლება კვლავ დაშინებას და ტერორს მიმართავს, სამაგალითო დაპატიმრებებით კი ცდილობს შეაშინოს მოსახლეობა და ქუჩის აქციები თავიდან აიცილოს.

— ძალადობა შობს ძალადობას! ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, უარი თქვას მსგავს მოქმედებებზე. ხალხის პროტესტი გარდაუვალია. მოვუწოდებთ სამართალდამცავებს, საპატრულო პოლიციას, ხელი აიღონ მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევასა თუ დაპატიმრებაზე: თქვენ ემსახურებით სახელმწიფოს ანუ ხალხს და არა რომელიმე ხელისუფალს კონკრეტულად. „სამოქალაქო ფრონტს“ დიდი ხანია დაწყებული გვაქვს ბრძოლა მოძალადე ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ბრძოლას აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე, — ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

# ბურჯანაძე-კიწმარიშვილის მიერ მოწყობილ რევოლუციაში მონაწილეობას არ მივიღებ!

## ქართულმა პარტიამ მიზანში ამოგვიღო

ნანა მიშელაშვილი

**„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ თუ საარჩევნო მოლაპარაკება არ განახლდა და ძირითად დებულებებზე შეთანხმება არ მოხდა, მაისის შემდეგ, შესაძლოა, აქციები დაიწყონ. ცაგარეიშვილის შეფასებით, „თავისუფალი დემოკრატები“ თეთრი ხელთათმანებით არ არიან ქართულ პოლიტიკაში მოსული. ამ პარტიის წევრებმა იციან, როდის რა ნაბიჯი უნდა გადადგან.**

**რა შემთხვევაში გამოვლენ ქუჩაში „თავისუფალი დემოკრატები“ და რას პასუხობს ოპოზიციის ნაწილს ალასანიას პარტიის წევრი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ოპოზიციაში ფოთოლცვენა დაიწყო?**

**„ახალი თაობა“ გიორგი ცაგარეიშვილს ესაუბრა:**

— *ოპოზიცია ერთმანეთს ეჯიბრება და ასწრებს აქციების ჩატარებას. სახალხო კრებამ 21 მაისს აქცია დანიშნა, მაისში აქციებს იწყებს „ქართული პარტია“. რას მოიტანს ერთმანეთისთვის დასწრებული აქციები?*

— ერთი რამ შემიძლია ვთქვა, რაც საყოველთაოდ დამკვიდრებული მოსაზრებაა, ოპოზიციის დაქსაქსულობა არის პოზიციის სიძლიერე. ანუ ოპოზიციის არაკოორდინირებულობა, ურთიერთგადაკიდება აძლიერებს უმრავლესობას. რაც უფრო წაგიდებულია ოპოზიცია, მით უფრო ძლიერია მიხეილ სააკაშვილი.

— *ამას ოპოზიცია ვერ ხვდება?*

— ზოგი ვერ ხვდება იმიტომ, რომ ჭკუა-გონება არ ყოფნის, ეს არის დიაგნოზი — მათი გამოსწორება შეუძლებელია, კუზიანს ხომ სამარეც ვერ გამოასწორებს. ზოგიერთი ამას შეგნებულად აკეთებს. ის არეულობა, რაც ე.წ. ოპოზიციაში ტრიალებს, ერთადერთ მიზანს ემსახურება — მიხეილ სააკაშვილის ზეობის გახანგრძლივებას. მერე, ბატონებო და ქალბატონებო, რაც არ უნდა ირბინოთ და არქვათ თქვენს პარტიებს ფრონტები, დარბაზები, ქართული ან არაქართული პარტიები, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარი ის კი არ არის, რა აბრევიატურა ჰკიდია ამა თუ იმ პარტიის ოფისის წინ, მთავარია ამ აბრევიატურის უკან ვინ დგანას, შიგთავსი რა არის. ზოგიერთი ხილია, რომელიც გარეგნულად ძალიან კარგად გამოიყურება, მაგრამ რომ ჩაკბეჩ, შესაძლოა ყბა მოგენგრეს. ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციური პარტია სწორედ ასეთია თავის შიგთავსით. ამ ყველაფერს გამადიდებელი შუშით აკვირდება ჩვენი საზოგადოება. შემდეგ ვიღაცები იტყვიან, რომ საზოგადოებას სძინავს, ზოგიერთი მხოლოდ სამზარეულოში ჭორაობს, თუმცა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოწოდების შინაარსს. მნიშვნელობა იმას აქვს, ვინ რა ლოზუნგით გამოდის, რას მოგიწოდებს. თანამედროვე მსოფლიოში რევოლუციური გარდაქმნების ორი მაგალითი გვაქვს: 2003 წლის ვარდების რევოლუცია, რომელსაც ე.წ. ქარიზმატული ლიდერი ედგა სათავეში, მიხეილ სააკაშვილი და ულიდერო რევოლუციები, ეგვიპტეში, ლიბიაში, ტუნისში. ჩვენ გვაქვს ორი მაგალითი. საქართველოში რა მიმართულებით წავა პროცესები, მე არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, არც ერთ მიმართულებაში ქვეყნისთვის შვებას ვერ ვხედავ. ხაზგასმით ვამბობ, რევოლუცია არის მოვლენა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე მთელ სიავეს და სიბინძურეს ამოყრის, რაც მინავლებულია. რევოლუცია თავის შვილებს ხრავს. ვფიქრობ, ქვეყანას სჭირდება სწრაფი ევოლუციური განვითარება და არა რევოლუციური. ოპოზიციური „რვიანი“ სწორედ ამ პროცესს უდგას სათავეში. როგორი კრიტიკაც არ უნდა მოდიოდეს სხვადასხვა მხრიდან, ჩვენ მყარად ვდგავართ ამ გზაზე და თანმიმდევრული დღის წესრიგი გვაქვს.

— *რა დღის წესრიგი გაქვთ?*

— მაისის ბოლომდე ველოდებით პროცესების განვითარებას. 10 ნოემბერს მმართველი პარტიის შეხვედრა შედგა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის. პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე შედგა მემორანდუმი, რომელსაც ხელს აწერს უმრავლესობა და ოპოზიცია, სადაც წერია, რომ მაისის ბოლოს ძირითად დებულებებზე უნდა დაგვესრულებინა კონსულტაციები. რატომ მაისის ბოლოს? საგაზაფხულო სესია მაისის ბოლოს მთავრდება, სექტემბერში იწყება საშემოდგომო სესია. საშემოდგომო სესიისთვის უნდა ვიცოდეთ, რა დღის წესრიგი გვაქვს, ვმუშაობთ თუ არა საარჩევნო კოდექსზე. მეორეც, ზაფხულის თვეები უნდა მოხმარებოდა ვენეციის კომისიაში შეთანხმებული დებულებების გადაგზავნას. ეს დებულებები უნდა შეხებოდა საარჩევნო სისტემას და ამომრჩეველთა სიას. ვენეციის კომისიაში რევიზიის შემდეგ, სექტემბერში გვეცოდინებოდა, რა პროდუქტი გვაქვს სახეზე. შემდეგ კი სხვადასხვა საკითხების დამუშავება მთელ საშემოდგომო სესიაზე იქნებოდა შესაძლებელი და სესიის დასასრულს, მივიღებდით შეთანხმებულ, გადამუშავებულ საარჩევნო კოდექსს.

— ***2012 წლის დასაწყისს ახალი კოდექსით უნდა შეხვედროდით?***

— კი, ეს იყო აუცილებელი და გადაუდებელი რამ. ორი-სამი თვით ადრე კი არ უნდა დავნიშნოთ არჩევნები და საარჩევნო მოხელეებს ვუთხრათ, რა უნდა გააკეთონ, არამედ, სულ მცირე 8-9 თვე უნდა ჰქონდეთ პარტიებს, საარჩევნო მოხელეებს და ცესკოს იმისთვის, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს.

— ***როგორ ჩანს, საარჩევნო პროცესი გაიჭედა, რა რჩება „რვიანს“?***

— თუ საარჩევნო პროცესი არ განახლდა, ძალიან მტკივნეული პროცესი წავა. ხელისუფლება იძულებით წამოვიდეს დათმობებზე.

— ***როგორ აიძულებთ ხელისუფლებას, რომ დათმობებზე წამოვიდეს?***

— ამის ძალიან ბევრი საშუალება არსებობს. ჩვენ სულ გვიკიჟინებენ, რომ არ გინდათ მასობრივი აქციები და მიტინგები, ჩვენს საბრძოლო არსენალში ყველა ეს მშვიდობიანი მეთოდი მოიპოვება.

— ***მათ შორის აქციები?***

— რა თქმა უნდა, აქციები, პიკეტირება, გაფიცვა, შიმშილობა. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, მაისის შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია დაიწყოს.



— ***აქცია, მიტინგი და შიმშილობა თქვენი პარტიის მიერ დაიწყება?***

— მათ შორის ჩვენი პარტიის თაოსნობით და ირაკლი ალასანიას მოწოდებით. ამას ხაზგასმით ვამბობ გაუგებარი ხალხისთვის, რომ კარგად იყოს გასაგები: „თავისუფალი დემოკრატები“ არ არიან ქართულ პოლიტიკაში მოსული თეთრი ხელთათმანებით. „თავისუფალმა დემოკრატებმა“, სხვებისგან განსხვავებით, იციან, როდის რა ნაბიჯი უნდა გადადგან. ჩვენ გვინდა ყველაფერი შედეგისთვის და არა მიტინგი მიტინგისთვის, ან მანიფესტაცია — მანიფესტაციისთვის. ვიღაც გადაიქცა ფილატელისტად, ყველამ იცის, ფილატელიზმი რას ნიშნავს, ზოგიერთი მარკებს აგროვებს, ზოგიერთი — მონეტებს, ოპოზიციაში ზოგიერთები აგროვებენ მიტინგებს, მანიფესტაციებს. ერთმანეთში ასეთი საუბრით იწონებენ თავს: გახსოვს, 1997 წლის 25 ნოემბერს მიტინგზე რომ ვიდექით? კი, როგორ არ მახსოვს; ის თუ გახსოვს, 1999 წელს რომ ვიდექით აქციაზე? ეგეც მახსოვს; ის თუ გახსოვს, 2003 წელს, 2007 წელს, 2008 წელს რომ ვიდექით მიტინგზე? კი, ეგეც მახსოვს. აღარ დაიღალეთ, თქვე კარგი დედმამიშვილებო? მიტინგებს ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკული თრობის უნარი აქვს. ადამიანები შედიან მიტინგებში და იქიდან ველარ გამოდიან. ჰგონიათ, რომ მთელი ცხოვრება ქუჩაში უნდა ისხდნენ, კოცონები ანთონ და კარტოფილები უნდა შეწვან. სხვა რამეც ხომ შეიძლება აკეთოს ადამიანმა სხვანაირად.

— ***თქვენ რომ დაიწყებთ აქციებს, რატომ იქნება მაინცდამაინც შედეგიანი და რით იქნება სხვა აქციებისგან განსხვავებული?***

— ზოგიერთი მეტყვის, ადრე შენ რომ მოუწოდებდი ხალხს მიტინგებზე გამოსვლისთვის, ის მოწოდება უფრო მადლიანი იყო და ნინო ბურჯანაძის და ეროსი კიწმარიშვილის მოწოდება მადლმოყრილი არ არის? მე ამას კი არ ვამბობ, რომ ვიღაცას არ შეუძლია ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს. ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ლიდერს შეუძლია ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს. ნებისმიერ ფიზიკურ პირს შეუძლია მიტინგები ჩაატაროს, თუ გინდათ, პარლამენტის ეზოში ჩაატარეთ მიტინგი, ჩამოვალ, შემოგიერთდებით, რაც არაერთხელ გამიკეთებია. მე ცხრაკლიტულში არ ვიჯექი და 10 წელი არ გამიტარებია ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში, ვაშინგტონიდან ტოკიოში სიარულში, ჩემი ყველაზე დიდი რეისი თბილისი-ბაღდათი იყო.

— ***თქვენ რატომ გექნებათ შედეგიანი მიტინგები, ამაზე მიპასუხეთ?***

— ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როდის რა გავაკეთოთ. დრო უნდა შევარჩიოთ სწორად.

— ***ეს დრო მაისის შემდეგ არის?***

— რა თქმა უნდა. ახლა, განსხვავებულ პროცესში ვართ ჩართული და გვინდა, ეს პროცესი ბოლომდე მივიტანოთ. უკანასკნელი შანსი მივცეთ ხელისუფლებას, რომ გონს მოეგოს და ქართველ საზოგადოებას დაუთმოს ის, რაც მიტაცებული აქვს. ეს არის თავისუფალი არჩევის უფლება. რაც ჯიბგირებივით ამოაცალეს ხალხს, მათ შორის 2003 წლის ვარდების რევოლუციის დროს და ჩაიდეს ჯიბეში. რა მანდატი უდევს ჯიბეში მიხეილ სააკაშვილს, ეს ყველამ იცის. სხვათა შორის, ამ მანდატის ერთ-ერთი გამცემი ბატონი ეროსი კიწმარიშვილიც იყო და მაინტერებს, როგორ ხდება ეს: 5 იანვარს ფილარმონიაში არჩევნებს აყალბებ და როდესაც ელჩობიდან გამოგაგდეს, ოპოზიციონერი ხდები? ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. ამ ბოლო დროს, ფოთლები მომრავლდნენ ოპოზიციაში მართლა რომ სააკაშვილს ეფარებოდნენ. სხვადასხვა პარტიაში მომრავლდნენ ფოთლები.

— ***არადა, ეროსი კიწმარიშვილმა „რვიანთან“ მიმართებაში ახსენა ლეღვის ფოთლები და ოპოზიციურ რვიანს მოგიწოდათ, თავი გაანებოთ „გაშიშვლებული რეჟიმის ლეღვის ფოთლის ფუნქციაში გადასვლას“...***

— ფოთლის როლში ვინ წარმოიდგენს თავის თავს, ეს ამ ადამიანების ფანტაზიის ნაყოფი იყოს, მაგრამ მაინტერესებს, ფოთოლი ვინ იყო 2008 წლის 5 იანვარს, არჩევნებს რომ აყალბებდნენ? ან ვინ იყო ფოთოლი 2007 წლის 7 ნოემბერს, მე რომ მარბევდნენ რუსთაველის გამზირზე? ე.წ. ოპოზიციაში ფოთლები მომრავლდნენ, ახლა ფოთოლცვენაა, ცისკრის ზარებმა დარეკა, გედის სიმღერა კარგა ხანია გაჟღერდა. მე იმ ადამიანებს რა ვუთხარი, რომელიც ამ დამჭკნარ ფოთლებს აგროვებს და სურს გააცოცხლოს. დამჭკნარი ფოთლების გაცოცხლება შეიძლება? ეჭვი მეპარება, არაფერი არ გამოვა.

— ***ეროსი კიწმარიშვილის განცხადება ოპოზიციურმა რვიანმა ასე მწვავედ რატომ აღიქვა?***

— არ დავემსგავსები იმ ადამიანებს, ვინც ამგვარი მეტყველებით გამოირჩევა. იმ პარტიაში, რომლის წევრიც არის ბატონი კიწმარიშვილი, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებას ადამიანები, რა უნდათ გაიჩალიჩონ, ვერ ვხვდები. იქნებ სურთ, რომ ზოგიერთ სახელისუფლებო არხზე ოპოზიციის სახეები გამოიტანონ და ანახონ, როგორ ლანძღავს ერთი ოპოზიციონერი მეორეს.

— ***უფრო ადრე, ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ოქრუაშვილმა ოპოზიციის ნაწილს ნაფტალინიანებიც გიწოდათ, როგორ განვითარდება მოვლენები?***

— იცით, ახლა რა მოხდება, კიწმარიშვილმა ხომ ლეღვის ფოთლები იძახა, ცოტა ხანში კოკა გუნცაძე გამოვა და იტყვის, სათანამშრომლოდ ხელს გიწვდით. იცით, ეს რა არის? ჯერ შეგაგინებ, მერე თავზე ხელს გადაგისვამ, თუ ასეთი პოზიციიდან ვინმე საუბარს აპირებს, არ გამოგივათ. ამის შედეგი რა იქნება, იცით? სააკაშვილი ძალიან დიდხანს იქნება სათავეში.

— ***ქართულმა პარტიამ თავის სამიზნედ „რვიანი“ აირჩია?***

— როგორც ჩანს, რვიანი აირჩია და არა ხელისუფლება. ამ პარტიის წევრები უფრო მეტს საუბრობენ რვიანზე, ვიდრე მიხეილ სააკაშვილზე. მე მგონი, საფრთხე რვიანი კი არ არის, არამედ, ეს რეჟიმი. ჩვენ სულ გვიკიჟინებენ, რატომ ესაუბრებით ხელისუფლებას, ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ გზით ვიაროთ. თქვენ ხომ გინდათ მიტინგები, ერთმა პარტიამ გამოაცხადა, მეორემ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, დაიწყეთ მიტინგები, არავინ გიშლით. თქვენთან ვარ იდეურად, რადგან ეს სამიზნე გვყავს. მიუხედავად სხვაობებისა, ჩვენ ერთი მიზნისთვის ვიბრძვით, თქვენი გასაკეთებელი თქვენ გააკეთეთ. მაგრამ, იცით, რა არის, ყველა გამოკითხვაში ჩანს, რომ ხალხს რევოლუცია არ უნდა. მასობრივი გამოსვლები არ უნდა. იმას კი არ ვამბობ, რომ 20 ათასი კაცი ვერ შეიკრიბება, შეიკრიბება. მაგრამ, 20 ათასი ადამიანი კრიტიკული მასა არის? 25 ნოემბერს, პარლამენტის წინ სახალხო კრების ორგანიზებით 25 ათასი ადამიანი შეიკრიბა, გავიმეორებ ბურჯანაძე-ბათიაშვილის ფრაზას, მათ თქვეს, რომ უფრო მეტს ველოდით, კრიტიკული მასა არ შეიკრიბა და შეკრება გადავდეთო. ვფიქრობ, ხალხი ელოდება ხელისუფლების მიერ იმ შანსის გამოყენებას, რომელიც რვიანმა ხელისუფლებას მისცა. ხალხი მოლაპარაკებას ელოდება, იმიტომ, რომ დაპირისპირება არ უნდა. რა არის ამაში ცუდი, როდესაც საზოგადოება რვიანს აძლევს იმის უკანასკნელ შანსს, რომ იქნებ ამან გაამართლოს. ქალბატონი ბურჯანაძე ჯერ მოქალაქეთა კავშირში იყო, შემდეგ ნაციონალურ მოძრაობაში, ამდენი ხანი სიბნელეში და უკუნში იყო, იქ დისკომფორტი არ შექმნია, 2 წელია ოპოზიციაშია და დისკომფორტი შეექმნა. არ შეუძლია, სულსწრაფობა დასჩემდა. იგივე კიწმარიშვილსა და სხვებს.

— ***რაში გამოიხატება, რომ დისკომფორტი შეექმნათ?***

— ხვალ უნდათ ყველაფერი, ზეგ უნდათ ყველაფერი. 2009 წელს „ალიანსი საქართველოსთვის“ ხმების შეგროვება დაიწყო, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები შეეტანათ არჩევნების თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით. მაშინ ბურჯანაძე გამობრძანდა და თქვა, თქვენ გინდათ, ხელისუფლებას სათავეში ყოფნა გაუხანგრძლივოთო, ეს იყო საკნების ქალაქამდე რამდენიმე ხნით ადრე. მას შემდეგ ორი წელი გავიდა? ვის უნდა გახანგრძლივება? მაშინ 200 ათასი ხელმოწერა რომ შეგროვებულიყო, სრულიად საქართველოს ლეგიტიმური უფლება ექნებოდა საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დაეყენებინა საკითხი რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე. ლეგიტიმური საფუძველი გვქონდა გამოსვლებისთვის, პროტესტისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ამ გზას დავადგეთ, მათ შორის ხელმოწერების შეგროვების. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლება ვაიძულოთ, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან, რათა ნორმალური, დემოკრატიული საარჩევნო გარემო შეიქმნას. ბურჯანაძე-კიწმარიშვილების რევოლუციების მე არ მჯერა, ამ ადამიანებმა ერთხელ ჩაატარეს რევოლუცია და შედეგად იცით რა მივიღეთ: რამდენიმე გაყალბებული არჩევნები, მოკლული ახალგაზრდები, პატიმრებით გამოტენილი ციხეები. გაიხსენეთ, ვინ იყვნენ იმ ე.წ. ოთხეულში? სააკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია, კიწმარიშვილი. ბურჯანაძე-კიწმარიშვილის მოწყობილ რევოლუციაში მონაწილეობას არ მივიღებ!

## „სახალხო კრებისა“ და მოძრაობა „არა!“-ს აქტივისტებს პატიმრობა და ჯარიმა შეუფარდეს

რუსთავის საქალაქო სასამართლომ „წარმომადგენლობით „სახალხო კრებისა“ და მოძრაობა „არა!“-ს აქტივისტების ერთ ნაწილს ადმინისტრაციული სასჯელის სახით პატიმრობა, ხოლო მეორე ნაწილს 400-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა.

როგორც „მედიანიუსს“ გუშინწინ რუსთავში გამართული აქციიდან დაკავებულთა ნაწილის ადვოკატმა მანანა კობახიძემ განუცხადა, შალვა მახარაშვილს და დავით დალაქიშვილს 15 დღით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ, მოძრაობა „არა!“ ლიდერ ლევან ჩიტაძეს, გოჩა თევდორაძეს და ვასილ ბალახაძეს 30 დღით, გელა ნაკაშიძეს, კახა სალუქვაძეს,

გიორგი ნოზაძეს — 7 დღით, ხოლო არასრულწლოვან ნიკა ლაპიაშვილს, გიორგი ფარესაშვილს, მირიან ჯანიაშვილს და ნიკა სამხარაძესსასამართლომ 400-400 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

სამართალდამცველებმა სულ 12 აქტივისტი დააკავეს.

სასამართლომ აქციის მონაწილეებს პოლიციის დაუმორჩილებლობასა და წვრილამნ ხულიგნობაში დასდო ბრალი.

შეგახსენებთ, რომ „სახალხო კრების“ და „არა!“-ს ორგანიზებით საპროტესტო აქცია 7 მაისს, რუსთავში პოლიციის მაღალჩინოსან ვალერი დუღაშვილის სახლთან გაიმართა.

**მედიანიუსი**

## 25 წლის ბიჭი მატარებლის ქვეშ მოყვა

25 წლის ბიჭი მატარებლიდან გადმოვარდა. შემთხვევა აფრიკის დასახლებაში მოხდა. მატარებლიდან გადმოვარდნილი ბერდია საღლიანი რკინიგზის ლიანდაგზე მატარებლის ქვეშ მოყვა და კიდურების დაზიანება მიიღო.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, დაზარალებული სავარაუდოდ, ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ბერდია საღლიანი დილის 6 საათზე სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა მეხუთე კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას ორივე ქვედა კიდურის ამპუტაცია დასჭირდა. პაციენტი მართვით სუნთქვაზეა გადაყვანილი.

**მედიანიუსი**

# რეჟიმის შესაცვლელად აქციებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ვიწყებთ

## რა ჩაიფიქრა „ქართულმა პარტიამ“

გერა მამულაშვილი

**ხელისუფლების შეცვლის ორი გზა კვლავ მთავარი თემაა ქართულ პოლიტიკაში. მორიგი რევოლუცია თუ არჩევნების გზით რეალური ცვლილებების მიღწევა — არჩევანი მათ შორის არის გასაკეთებელი. თუმცა, ცალკე „რევოლუციონერებს“ შორისაც არ არის კომპრომისი მიზნის მიღწევის სტრატეგიაზე.**

„ქართული პარტია“ 9 მაისიდან მასობრივ საპროტესტო აქციებს იწყებს. „სახალხო კრებამ“ პირველი დიდი გამოსვლა 21 მაისისთვის დაგეგმა. ოპოზიციური „რვიანი“ კი რევოლუციურ საპროტესტო აქციებს არ შეუერთდება, თუმცა, ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფისთვის მასობრივ გამოსვლებს გეგმავს. მოკლედ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ყველა გზა საზოგადოებას ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებს.

ექსპერტების შეფასებით, თუ საქართველოში მართლაც განვითარდება რევოლუციური პროცესები, ხელისუფლება, ნებსით თუ უნებლიედ, ამ პროცესის თანაავტორი იქნება. მათივე თქმით, ოპოზიციის გამოსვლების წარმატებას, პირველ რიგში, მისი ორგანიზებულობა განსაზღვრავს.

„ქართული პარტია“ საქართველოს მასშტაბით საპროტესტო აქციებს სწორედ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს იწყებს. ამის შესახებ პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა. მისი ცნობით, 9 მაისს, პირველი აქცია დაგეგმილია კახეთში, რომელიც დაიწყება საგარეჯოდან და მის ყველა რაიონს მოიცავს.

— ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ჩვენ ვიწყებთ აქციებს ამ რეჟიმის შესაცვლელად და მთელ საქართველოს დავანახებთ, თუ როგორ განწყობაზეა „ქართული პარტია“ და ქართველი ხალხი.

როგორც პარტიის პოლიტიკური მდივანი აღნიშნავს, აქციები გაიმართება მთელ საქართველოში, ასევე თბილისში, რომლის შესახებაც ინფორმაცია ეტაპობრივად გავრცელდება. კიწმარიშვილის მტკიცებით, აქციები იქნება როგორც მასშტაბური, ასევე მცირემასშტაბური, თემატური და ძალიან მრავალფეროვანი.

მისი განცხადებით, „ქართულმა პარტიამ“ უკვე დაამთავრა სტრუქტურული მშენებლობა და შეასრულა ის ვალდებულება, რომელიც აღებული ჰქონდა მხარდამჭერების წინაშე:

— ქართული პარტია მოიცავს 50 ათას აქტიურ წევრსა და მებრძოლს, იმისათვის, რომ დანარჩენ ოთხ მილიონ ადამიანთან ერთად ეს რეჟიმი მოუსავლეთში გააგზავნოს.

ამასთან, კიწმარიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული პარტია“ პატივისცემით არის განწყობილი ნებისმიერი ჯგუფის მცდელობის მიმართ, შეცვალოს არსებული რეჟიმი, მაგრამ მათ გარეშე საქართველოს ხვალიდნელი დღე, როგორზეც ქართველი ხალხი ოცნებობს, არ იქნება.

რაც შეეხება „სახალხო კრების“ მიერ დაგეგმილ 21 მაისის აქციაზე მისვლას, კიწმარიშვილის თქმით, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სააკაშვილის გაშვების პროცესში:

— მივალთ, თუ მოვლენ, ამას გადავწყვეტთ უახლოეს დღეებში ქართველ ხალხთან ერთად; საზოგადოებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ვინ, რას, სად და როდის გააკეთებს. მთავარია, ხალხმა იცოდეს, განხორციელდება თუ არა საქართველოში რეჟიმის ცვლილება და არსებობს თუ არა პოლიტიკური ძალა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს შედეგებზე; დიახ, არსებობს ასეთი ძალა და მას „ქართული პარტია“ ჰქვია.

ამ ხმამაღალ განცხადებაზე სახალხო კრების რეაქციამ არ დააყოვნა:

— სახალხო კრების წარმომადგენელთათვის ქართული პარტიის განცხადება, საპროტესტო აქციების დაწყების შესახებ, სერიოზულ ეჭვებს ბადებს, — აცხადებს კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნონა გაფრინდაშვილი.

გაფრინდაშვილისთვის კიწმარიშვილის განცხადება გაუგებარია. მისი თქმით, „ქართული პარტია“ ერთი კვირის წინ ამბობდა, რომ მსგავსი პროცესებისთვის მზად არ იყო. რაც შეეხება გაფრინდაშვილის ეჭვებს, ამის შესახებ მას კონკრეტული განმარტება არ გაუკეთებია.

რაც შეეხება ადამიანების ქუჩაში გამოსვლასა და საპროტესტო მუხტის სიძლიერეს, ამაზე გაფრინდაშვილი შემდეგს ამბობს:

— როგორ შეიძლება დღევანდელ სიტუაციაში ხალხს პროტესტის გრძნობა არ ჰქონდეს? პირველ დღეს ბევრი გამოვა, ვიმედოვნებ, მომიტინგეთა რიცხვი თანდათან გაიზრდება. მთავარია, პროცესი დაიწყოს. ჩვენ, ჯერჯერობით, რასაც დავპირდით ხალხს, ყველაფერი შევასრულეთ. სახალხო კრება ყველა ნაბიჯს დიდი ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდეგ დგამს. მართლაც, ტიტანური სამუშაო გავწიეთ და ვიმედოვნებთ, აქციებზე ხალხი შემოგვიერთდება...

ბოლო წლების აქციების ორგანიზატორებისგან განსხვავებით, სახალხო კრება პოლიტიკური პარტია არ არის, პოლიტიკური ძალები, პოლიტიკოსები მხოლოდ ჩვენ გვერდით დგანან. ამიტომაც მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკოსს, დადგეს ქართველი ხალხის, საზოგადოების გვერდით, რომლის ნაწილიც არის სახალხო კრება. მე და ჩემნაირები დიდხანს უპრეტენზიოდ დავდიოდით აქციებზე პოლიტიკოსების მოწოდებით და რა გამოვიდა? შეცდომებმა, ნებით თუ უნებლიდ, აქამდე მოგვიყვანა, ვითარება სულ უფრო მძიმდება. ამ ხელისუფლების თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ სტრასბურის სასამართლოს მიერ გირგვლიანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენეს და შავზე ამტკიცებენ, თეთრიაო. ან რისი მომტანია დიალოგი ხელისუფლებასთან, რომელსაც განსხვავებული აზრის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, ცეცხლივით ეშინია? როგორ შეიძლება, სოფელში გლეხს საძოვრებსართმევდე და თან ამტკიცებდე, ეს მისთვის უკეთესიაო? ან განათლების სისტემაში რა ხდება? ცდილობენ, ხალხში შიში დათესონ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, როგორც კი საზოგადოება ბრძოლის ჟინს დაინახავს, კვლავ გამოვა ქუჩაში ღირსების დასაცავად. ასე რომ, 21-ში დავიწყებთ და უკან დახევას არ ვაპირებთ.

ბოლო დღეებში შესაძლო „რევოლუციურ სცენარზე“ საუბრობენ ანალიტიკოსებიც. პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, თუ საქართველოში პოლიტიკური პროცესები რევოლუციური გზით განვითარდება, ნებსით თუ უნებლიედ, ამ პროცესის თანაავტორი ხელისუფლება იქნება.

როგორც საყვარელიძე აცხადებს, თუ საქართველოში პოლიტიკური პროცესები არა საარჩევნო, არამედ რევოლუციური გზით განვითარდება, რევოლუციების თარიღების გადმოტანას მნიშვნელობა აღარ ექნება: რევოლუციის მომხრე პარტიების ლიდერთა განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ საპროტესტო აქციები ჭრელი იქნება და არ არის გამორიცხული, ორივე პოლიტიკურ ძალას ერთი და იგივე მხარდამჭერები აღმოაჩნდეთ.

პოლიტოლოგის განმარტებით, არჩევნების შემდეგ, მას იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლება საზოგადოებასთან ურთიერთობაში უფრო რბილი, დამყოლი და მისაღები იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასეთი ცვლილებები ხელისუფლების მოქმედებაში არ მომხდარა: თუკი მაჭარს დუღილამდე მიიყვან, შემდეგ ჭურჭელს, რომელშიც მაჭარია, თავზე ძლიერად დაახურავ, ბუნების კანონია, რომ ჭურჭელი გასკდება. ასე რომ, ძალაუნებურად, ამ პროცესების თანაავტორი ხელისუფლება იქნება.

რაც შეეხება „სახალხო კრების“ როლს ამ პროცესებში, რამაზ საყვარელიძის აზრით, სახალხო კრების წარმატებას მისი ორგანიზებულობა განსაზღვრავს:

— სახალხო კრების მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციის შედეგის განმსაზღვრელი იქნება ის, თუ რამდენად ორგანიზებულად მოხდება მისი იმ წერტილებზე მიმართვა, რაც ხელისუფლებას რაიმეს დაათმობინებს.

მისივე შეფასებით, ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაციისგან განსხვავებით, სახალხო კრების პლატფორმაზე ხალხისთვის მისაბაძი ბევრი ადამიანი დგას, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ხალხის მხარდაჭერა და, შესაბამისად, ძალის კონცენტრაცია მოახდინოს:



— ძალა, როგორც ასეთი, არც ერთ ორგანიზაციას არ აქვს. ძალა აქვს ხალხს ხელისუფლების შეცვლის ამოცანის გადასაჭრელად, თუმცა, ხალხის მხარდაჭერასთან ერთად, ამ პროცესის წარმატებით დასრულებისთვის განმსაზღველი არის მისი ორგანიზება. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ძალის კონცენტრაცია, მაგრამ ვინაიდან მას კონკრეტული მიმართულება არ ჰქონია, ის უშედეგოდ იფანტებოდა.

ამ ფონზე ექსპერტები წინასაარჩევნოდ ხელისუფლების შიგნით მოსალოდნელ განხეთქილებაზეც ამახვილებენ ყურადღებას.

ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი:

— გნებავთ, წინასწარმეტყველებად ჩამითვალეთ და გნებავთ, ვარაუდად. არ გამოვრიცხავ, საპარლამენტო არჩევნების წინ, ხელისუფლების ნაწილი ოპოზიციაში წავიდეს და პარლამენტს გარეთ დაუკავშირდეს იმ ძალებს, რომლებიც დიალოგის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბევრი „ეჭვმიტანილი“ იქნება, დარწმუნებული ვარ, რიგითი ადამიანებისათვის, ოპოზიციის უთავბოლობამ იმედი რომ გადაუწურა, ამგვარი ახალი პოლიტიკური კონფიგურაცია საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდება. ასეთი რამ ჩვენს უახლეს ისტორიაში უკვე რამდენჯერმე მოხდა და ამა თუ იმ ხარისხით გაამართლა კიდეც.

მოლაპარაკებები, მართალია, ჩიხშია შესული, მაგრამ საიმედოდ მეჩვენება ის გარემოება, რომ, ჯერ ერთი, დასავლეთის წარმომადგენლებმა უკვე ნათლად იციან, ვისთან აქვთ საქმე ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების სახით და ეს მათ ალტერნატიული პარტნიორის ძიებისაკენ უბიძგებს. მეორეც, ხელისუფლების დათმობაზე დაყოლიებას დასავლეთისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამის გარეშე მკვეთრად შეიძლება შეიცვალოს ჩვენი მოსახლეობის დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ.

ყველა შემთხვევაში, ეს ხელს შეუწყობს შიდასახელისუფლებო ეროზიას, რაც მე მოცემულ მომენტში პოზიტიურ მოვლენად მიმაჩნია. დღეს ჩვენ ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის გარეშე ვართ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პოსტრევოლუციურ ავტორიტარიზმს. ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრების არარსებობა დამღუპველია ნებისმიერი ქვეყნისათვის. მე არ ვლაპარაკობ ბანალურ დემოკრატიაზე, არამედ იმაზე, რომ სწორედ ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრები ქმნიან ცოცხალსა და განვითარების ტენდენციის მქონე პოლიტიკურ სხეულს.

ცხადია, არ ვგულისხმობ ორმოცდაათ ერთმანეთთან დაპირისპირებულ და სიტუაციური ლიდერების ირგვლივ თავმოყრილ ჯგუფს, როგორც ეს დღეს არის საქართველოში. ვგულისხმობ, ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომელთა ბედიც მინიმალურად არის დამოკიდებული კონკრეტულ პიროვნებებზე. ხელისუფლების ეროზია შეიძლება ალტერნატიული პოლიტიკის ცენტრის ჩამოყალიბების შანსად იქცეს.

ჩემი დაკვირვებით, დასავლეთის მიზანი სწორედ ეს არის. ისინი ცდილობენ, ისე მიაღწიონ ცვლილებებს ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ ერთის გამარჯვება მეორის ტოტალურ კრახს არ ნიშნავდეს, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. წინასწარ ძნელია თქმა, რას მოიტანს ეს მცდელობა. თანაც, ნუ გვექნება იმედი, რომ

გაგრძელება მე-6 გვერდზე

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგეწიოთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი



# ნაციონალები ხელისუფლებაში დარჩენას 2018 წლამდე აპირებენ

## როგორ უნდა იმოქმედოს ოპოზიციამ



**ინტერვიუ შალვა ხაჭაპურიძესთან**

ნონა ცაბა ე

***— ბატონო შალვა, რა ხდება ქართულ ოპოზიციაში, თარიღების დაანონსება დასწრებაზეა თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— სახალხო კრება კარგა ხანია აპირებდა და ემზადებოდა. ამბობდა, რომ დაიწყებდა საპროტესტო აქციებს. ასევე აპირებდა, იცით თქვენ, ქართული პარტია. როგორც ვიცით, ქართულმა პარტიამ გამოაცხადა, რომ დღეს იქნება გამაფრთხილებელი აქცია. სახალხო კრება აცხადებს, რომ ჩვენ დავიწყებთ და ბრძოლა იქნება საბოლოო გამარჯვებამდე. რა გითხრათ, დაველოდოთ პროცესების განვითარებას. რაღაც პროცესებისთვის ჩვენც ვემზადებით და ბუნებრივია, ემზადება ყველა ის ადამიანი, ვისაც გული შესტკივა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. ნაციონალები არ მალავენ და პირად საუბრებში ამბობენ, რომ 2018 წლამდე არსად წასვლას არ აპირებენ. თურმე 2018 წლამდე ამნაირ უბედურებაში უნდა ვცხოვრობდეთ, რა მდგომარეობაშიც დღეს ვიმყოფებით. ნაციონალური მოძრაობის შიგნით რომ ყველაფერი რიგზე არ არის, ესეც ფაქტია. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებენ ამ შიდა დაძაბულობაზე, რაც მათ შორის არსებობს.

***— როგორ ფიქრობთ, სახალხო კრებას გამოუვა ის, რაც ჩაფიქრებული აქვს? საკმაოდ ბევრი კრიტიკა მოჰყვა მათ მიერ თარიღის დასახელებას, მხოლოდ თარიღი დასახელდა, მეტი არაფერი თქვესო...***

— გარკვეული ქმედებების ნუსხა ჩამოთვალეს, თუ სად იკრიბება ეს ხალხი, მერე სად უნდა მოხდეს ამ ხალხის შერწყმა, გაერთიანება და ასე შემდეგ. საპროტესტო აქციებზეა საუბარი და ამაზე მეტი, მე თუ მკითხავთ, არც უნდა თქვან, იცით თქვენ, რომ ხელისუფლება ჩასაფრებულია და ყოველდღე იმას ფიქრობენ, როგორ ჩაშალონ და ხელი შეუშალონ ოპოზიციის ნებისმიერ ქმედებას. ამიტომ სწორადაც იქცევა სახალხო კრება, რომ ამაზე მეტს არც აცხადებს, ეს ლოგიკურია და სწორი გადაწყვეტილებაა. წინასწარ გეგმების გამოცხადება, მოგეხსენებათ, თქვენ, რომ არის წამგებიანი. გარდა ამისა, ერთ საყურადღებო გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, შეიძლება რაღაც გეგმა გქონდეს, ცხადია, ეს წინასწარ არ უნდა გაჟღერდეს და მეორეც ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე. ხალხს არ ეგონოს, რომ ყველაფერს მხოლოდ კრება შეძლებს, ამას ყველაფერს ხალხის მხარდაჭერა სჭირდება. გვინდა, რომ ქვეყანაში მოხდეს რეალური ცვლილებები? გვინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ნეობოლშევიზმი დამარცხდეს ჩვენს ქვეყანაში? მაშინ ხალხი უნდა დადგეს იმ იდეების გვერდით, რასაც თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორუფლებიანობა ჰქვია. თუ ხალხი არ გამოხატავს ამ ყველაფრის მიმართ მხარდაჭერას, ახლა ერთმა და ორმა აღებულმა ლიდერმა რა უნდა ქნას. ამიტომ ხალხის მხარდაჭერას და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

***— ბატონო შალვა, როგორ ფიქრობთ, რამდენად წავა ხელისუფლება დარბევაზე?***

— ხელისუფლების მთავარი პრინციპი, რაც მათ კარგად აქვთ აპრობირებული და არსენალში გამოყენებული აქვთ, ეს არის იგნორირების პოლიტიკა. ამაზე წავა ხელისუფლება, რომ ვითომც არც არაფერი არ ხდება, ან თუ ხდება, დემოკრატიული პროცესებია და ამას ჩვენ ხელს ვერ შევუშლით. სინამდვილეში კი ხელისუფლება დაიწყებს ისეთ ქმედებებს, როგორსაც 9 აპრილის აქციებისას ეწეოდა, ვიღაც გავიდოდა აქციიდან მოიტაცებდნენ, სცემდნენ და ასე შემდეგ. ის დაიწყებს ამდაგვარი მეთოდების გამოყენებას. ანუ მათი მთავარი არსენალი პირველ რიგში იქნება იგნორირების პოლიტიკა, მაგრამ თუ ეს არ გამოუვათ, მაშინ ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. აბსოლუტურად ყველაფერი. თუმცა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ საკმაოდ დიდ რისკებთან იქნება დაკავშირებული ხელისუფლების მხრიდან ძალის გამოყენება გარკვეული ფაქტორების გამო. იგივე ამერიკის ფაქტორი, იგივე ჰააგაში შეტანილი სარჩელი, იგივე ევროკავშირის მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებული განცხადებები, სტარასბურგის გადაწყვეტილება გვირგვლიანის საქმეზე, ანუ საერთაშორისო გარემო დღეს აშკარად ხელისუფლების მხარეზე არ არის. ეს ვექტორი შეცვლილია და დღეს ეს ძალები ოპოზიციის მხარისკენ, ხალხის მხარეს იხრებიან. ეს იცის კარგად ხელისუფლებამ და შეეცდება, რომ ძალის გამოყენებამდე არ მიიყვანოს სიტუაცია და გადმობირების პოლიტიკა აწარმოოს. თუმცა, თუ შეხედა, რომ ძალაუფლება ხელიდან ეცლება, ის შეეცდება მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ გამოიყენოს ძალა, მაგრამ მან თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ განწირულია ასეთი ქმედება. გადადგამს ასეთ ნაბიჯს და რამდენიმე საათიც აღარ დასჭირდება ამ ხელისუფლების დამთავრებას.

***— ქართული პარტიის მიერ აქციის უფრო ადრე დაწყება საზოგადოებაში დაბნეულობას ხომ არ გამოიწვევს?***

— მე რატომღაც მგონია და დარწმუნებულიც კი ვარ იმაში, რომ გამოიჩენს ქართული ოპოზიცია გონიერებას და საბოლოო ჯამში პროტესტის ტალღა ერთ კალაპოტში მოექცევა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი საწინდარი გამარჯვების. კი ბატონო, საპროტესტო აქციას ესენი 9-ში იწყებენ, ეს მათი შეხედულება და მათი პოზიციაა. კახეთში ვიწყებთო, ამბობენ. წარმატებებს ვუსურვებთ, კახეთი რთული რეგიონია იმ მხრივ, რომ ურთულესი სიტუაციაა ვენახთან და ვაზის კულტურიდან გამომდინარე, ვიცით, რა მდგომარეობაშიც იქ მაცხოვრებელი გლეხები ჩააგდეს. ამიტომ სიმართლე რომ გითხრათ, დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ იმაში, რომ აქციას მართავენ. რაც მეტი კერა გაჩნდება საპროტესტო აქციების და რაც მეტ რეგიონში გაიმართება აქციები, პირიქით, უფრო უკეთესი იქნება. მთავარია გადამწყვეტი მომენტი როცა დადგება, ამ გადამწყვეტი მომენტის დროს გამოიჩინოს ქართველმა ოპოზიციონერებმა გონიერება, ეხება ეს რვა პარტიასაც, რომ ამ გადამწყვეტი მომენტის დროს მოხდეს გარკვეული ტიპის კონსოლიდაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

***— მართალია თქვენ კონსოლიდაციაზე საუბრობთ, მაგრამ ბოლო რამდენიმე დღეა კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება სახალხო კრების და ქართული პარტიის ლიდერებს შორის...***

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კარგი იქნებოდა, თუ ეს მოხდებოდა კონსოლიდირებული გზით, შედგებოდა გარკვეული შეთანხმება, მოლაპარაკება, შეთანხმება გარკვეულ ძალებს შორის, მაგრამ რადგან არ ხდება, ამაშიც დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ. მთავარია გონიერება და მთავარია მოქმედება ისეთნაირად იყოს განხორციელებული, რომ აშკარად ხელის შეშლასთან არ გვქონდეს ადგილი. შეიძლება ხვალ კიდევ სხვა პარტიამ თქვას, მე ამ რეგიონში ვიწყებო, ვიღაცამ კიდევ სადღაც დაიწყოს, მაგრამ მთავარია არ მოხდეს ხელის შეშლა, თორემ პროტესტის მუხტი რომ არსებობს საზოგადოებაში, ეს ფაქტია. რაც მეტი რეგიონი გააქტიურდება და ჩართული იქნება ამაში, უკეთესია. მთავარია არ მოხდეს ხელის შეშლა და მიზანმიმართულად განზრახქმედებები ერთი ძალის მიერ მეორე ძალის ჩასაძირად. ასეთი რამ არ უნდა მოხდეს, ხოლო რაც შეეხება ზოგადად აკვიატებულ აზრს — გაერთიანდით, გაერთიანდით, ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ, რომ ბევრი ძალის გაერთიანება თითქმის შეუძლებელია. ის, რომ სხვადასხვა რეგიონები იქნებიან ამაში ჩართული, კარგია.

***— ამ ორიოდე დღის წინ ელისო კილაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა ერთ-ერთ გაზეთში, სადაც ის საკმაოდ მწვავე ბრალდებებს უყენებს ირაკლი ოქრუაშვილს, ფეესბეს აგენტს და რუსეთის ინტერესების გამტარებელს უწოდებს. რა შთაბეჭდილება გრჩებათ თქვენ ამ ყველაფერზე, ეს არის შეკვეთილი თუ ახლოა რეალობასთან?***

— კი, მეც წავიკითხე ეს ინტერვიუ. რა ვიცი, რა გიპასუხოთ. ბოლო პერიოდის ქართულ პრესაში იბეჭდება იმდენი რამ, რომ აქ ახლა გაარჩიო, რომელია მტყუანი და მართალი, ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია, საქართველოში ხელისუფლების ცვლა მოხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რუსეთი და ამერიკა შეთანხმებულია ამ პოზიციებზე და მეორეც ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი, ქართველი ხალხი ვის დაუჭერს მხარს და ქართველი ხალხის სურვილი იქნება თუ არა რეალურად მოხდეს ხელისუფლების ცვლა. დანარჩენი ახლა ვიღაცას რაღაც ინფორმაცია აქვს, ზოგი დადასტურებულია, ზოგიც დაუდასტურებელი. ასეთი მძიმე ბრალდებები, რაც მე აქ წავიკითხე, საჭიროებს საკმაოდ სერიოზულ მტკიცებულებებს. მტკიცებულებების გარეშე, მე როგორც იურისტი, შეიძლება მოვისმინო, წავიკითხო, რაღაც ვერსიებზე დავიწყო ფიქრი, მაგრამ ამაზე რაიმე სერიოზული კომენტარის გაკეთება ნამდვილად გამიჭირდება. კიდევ ვიმეორებ, იურისტი ვარ და პროფესიული ჩვევა არის, ასეთი რამ ჩავთვალო ერთ-ერთ ვერსიად და ვიღაც ადამიანის მოსაზრებად და არა ვთქვათ უტყუარ მტკიცებულებად. ამიტომ ამ ყველაფერს სჭირდება მტკიცება. ქართული პარტია ამბობს, რომ ის აქციებს იწყებს 9-ში და დანარჩენს მათი მოქმედებები გვიჩვენებს. სიმართლე გითხრათ, მიჭირს ამაზე რაიმე კომენტარის გაკეთება.

***— რაც შეეხება ოპოზიციურ რვიანს, კუბლაშვილი აცხადებს, რომ ისინი ინდივიდუალურ რეჟიმში დაიწყებენ მოლაპარაკებებს თითოეულ პარტიასთან, თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს განცხადება?***

— რვიანმა ამაზე პასუხი გასცა და უთხრა, რომ რვიდან ერთსაც რომ დაელაპარაკო, მაინც რვა პარტიის პოზიცია იქნება. ალბათ კუბლაშვილი მარტო რვიანს არ გულისხმობდა, რადგან იქ რვიანის გარდა პლუს კიდევ 7 პარტია არის, შეიძლება იმ 7 პარიას ელაპარაკებიან. პოლიტიკა მოლაპარაკებების ხელოვნებაა, ოღონდ გააჩნია ვის ელაპარაკები, როგორ ელაპარაკები და როდის ელაპარაკები და რა თემაზე. მე ჩემი პოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შესახებ საკმაოდ მკაფიოდ მაქვს არაერთხელ დაფიქსირებული და ვთვლი, რომ ამ ადამიანებთან ყოველგვარი მოლაპარაკება არის შეუძლებელი, წარმოუდგენელი და არანაირი შედეგის მომტანი არ არის. მით უმეტეს, ისეთ ცალკე აღებულ თემაზე, როგორიც არჩევნები და საარჩევნო კოდექსია. მით უმეტეს, როცა საარჩევნო კოდექსის ათ პუნქტს ეხება საქმე და არა მთელი კოდექსის ცვლილებას. ეს სადავო დემაა, ისევ იურისტის პოზიციიდან მივუდგები, მე მიმაჩნია, რომ არა მარტო საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცვალოს, არამედ კონსტიტუციაშიც უნდა შევიდეს ცვლილებები, ასევე ცვლილებები უნდა შევიდეს სხვა კანონებში, ნორმატიულ აქტებში და ასე შემდეგ. ეს არის მთელი პაკეტი კანონებისა, რომელთა ცვლილებების შემდეგ შესაძლებელი იქნება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და არა მარტო კანონების, არამედ საკადრო პოლიტიკის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თუმცა, მე გუშინ ისიც მოვისმინე, რომ რვიანიც უკვე საპროტესტო აქციების გამართვაზე იწყებს ფიქრს, ხალხთან შეხვედრებს და ასე შემდეგ, ოღონდ ამ კონკრეტული მოთხოვნით. იგივეს ამბობს საპროტესტო აქციების მომხრე სხვა პარტიებიც. საარჩევნო გარემო რომ არ მოგვწონს, სასამართლო სისტემა რომ არ მოგვწონს, გამოუძიებელი სასამართლოები რომ არის ქვეყანაში, ელიტარული კორუფცია რომ არის, სწორედ ამიტომ ვიწყებთ საპროტესტო აქციებს, თორემ ყველაფერი ნორმალურად რომ იყოს და ერთადერთი საარჩევნო გარემო რომ იყოს დარჩენილი, ჩვენს აქცენტირებას საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით გავაკეთებდით, მაგრამ საარჩევნო გარემო, ცალკე აღებული არ არსებობს ფაქტიურად. როგორ შეიძლება გააუმჯობესო ერთი კოდექსი და ერთი კოდექსით შეიცვალოს მთლიანად მდგომარეობა სახელმწიფოში. რა ამ საარჩევნო გარემოთი გაუმჯობესდება იგივე გამოუძიებელი საქმეები, სასამართლო დამოუკიდებლობა და ასე შემდეგ? აი, მაგალითად ავიღოთ საკითხი, მოხდა რაღაც დარღვევა არჩევნების დროს და ეს დავა უნდა წაიღო და განიხილოს სასამართლომ, თუ სასამართლო დამოუკიდებელი არ არის, გარემო როგორ არის გაუმჯობესებული? ანუ მთელი კასკადია აქ, ეს ერთმანეთზე აწყობილი არის და ეს ცალკე აღებული რას შეცვლის? ცალკე აღებული საარჩევნო გარემო ვერაფერს ვერ შეცვლის ქვეყანაში თუნდაც მართლაც დათანხმდეს ამ რვა პარტიის მიერ წარდგენილ პუნქტს ხელისუფლება.

***— დარწმუნებული ხართ, რომ მაისში პროცესები გააქტიურდება და თქვენ თუ ჩაერთვებით ამ აქციებში?***

— მე დარწმუნებული ვარ, რომ გააქტიურდება პროცესები და ყოველთვის ვამბობ და ვიმეორებ, რომ ერთი ადამიანიც რომ დადგეს ტირანიის სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მეორე ადამიანი მე ვიქნები. მართალია ბრმად არსად ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებ, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საპროტესტო აქციების გზით უნდა შეიცვალოს ეს ხელისუფლება. ამიტომ ყველა პატრიოტი ძალა, ვინც გადადგამს ნაბიჯს ამ ხელისუფლების შესაცვლელად, მზად ვართ, დავუდგეთ გვერდში, ვინც, რა თქმა უნდა, თავისი ზნეობითაც და მორალითაც უკეთესია, ვიდრე დღეს არსებული ხელისუფლება.

***— ითქვა ისიც, რომ შესაძლოა ხელისუფლება ოპოზიციონერი ლიდერების დაკავებაზე და ლიკვიდაციაზეც კი წავიდესო, რამდენად სერიოზულად გეჩვენებათ ეს ინფორმაციები?***

— ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, მოვლენები როგორ განვითარდება. დღესდღეობით მე არ მგონია, ამაზე წავიდნენ, მთლად ასე გაგიჟებულები არ არიან, მაგრამ დამოკიდებული იქნება იმაზე, პროცესები როგორ განვითარდება, თუმცა, დამოკიდებული იქნება იმაზეც, საზოგადოების რა რაოდენობა გამოვა ქუჩაში და პროტესტის რა ფორმებს მიმართავენ. აქ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს აქციები იყოს სამშვიდობო ხასიათის. მე როგორც ვიცი, ზუსტად ასედაც იგეგმება და მიზნად არის დასახული, რომ ეს იყოს აბსოლუტურად მშვიდობიანი საპროტესტო აქციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-ფეხი ეხსნება ხელისუფლებას, განახაორციელონ თავიანთი პროვოკაციული გეგმები. ჩვენ ბევრი რეჟიმი გვინახავს მშვიდობიანად გაშვებული, თუმცა, ბევრი რეჟიმის გაშვებას ხედავთ თქვენ სისხლისღვრა, ავტომატების კაკანი და რა უბედურებები მოჰყვება. თუმცა, მე არ მეგულება ოპოზიციაში ისეთი ძალა, რომელიც იარაღისკენ იყურებოდეს. ჩვენ ყველამ ერთად გადავიარეთ საშინელი წლები და ამის გამეორება არავის არ უნდა. აქ მთავარია ვიაზროვნოთ სახელმწიფოებრივად და აი, ამ აზროვნების ნაყოფი არის სწორედ ის, რომ საპროტესტო აქციები იყოს მშვიდობიანი, თუმცა, უნდა იყოს შეუპოვარი, ქმედითი და რაც მთავარია, არანაირი მოლაპარაკებები და რაღაც გარიგებებში შესვლები ხელისუფლებასთან და ასე შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაფერი განწირული იქნება.

## რეჟიმის შესაცვლელად აქციებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ვიწყებთ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ისინი ხონჩით მოგვართმევენ რაიმეს. მთავარი საქმე ჩვენი მოსაფიქრებელი და გასაკეთებელია.

საწინააღმდეგო აზრზეა საეთაშორისო ექსპერტი ალექსანდრე რარი. მისი თქმით, საქართველოში არავითარი რევოლუცია მოსალოდნელი არ არის:

— საქართველოს აქვს წარმატებები — კორუფციასთან ბრძოლიდან დაწყებული ეკონომიკის სხვა და სხვა სფეროთი დამთავრებული, — აცხადების რარი, რომელიც გერმანიის საგარეო პოლიტიკის ცენტრ „რუსეთ-ევრაზიის“ დირექტორი და საექსპერტო საბჭოს წევრია.

— ადამიანები გრძნობენ, რომ მათ მომავალი გაუჩნდათ, არის პოზიტიური ტრენდი და სწორედ ამას გადაჰყავს ადამიანები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გუნდში, — აცხადებს რარი საქართველოში 21 მაისს დაგმილი საპროტესტი აქციის პერსპექტივების კომენტირებისას. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ტრენდი“ ავრცელებს.

ალექსანდრე რარი მიიჩნევს, რომ ქართული ოპოზიციის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მას არ ჰყავს ერთიანი ლიდერი.

— უთანხმოება — ეს ყველა დემოკრატიული პარტიისა და ოპოზიციური ბლოკების პრობლემაა მთელ ახლოაღმოსავლეთის ევროპაში, — მიიჩნევს რარი და აღნიშნავს, რომ ოპოზიციონერები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, ყველა თავის პირობას აყენებს და ყველას მთავარი როლის თამაში უნდა.

— ასეთ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის შიგნით ადგილი აქვს შიდაპოლიტიკურ ომებსა და ინტრიგებს. ხელისუფლება კი ამით იგებს და ოპოზიციის უთანხმოების კარტს ათამაშებს. სწორედ ასეთი სცენარი ვითარდება საქართველოში და ამიტომაც არავითარი რევოლუცია მოსალოდნელი არ არის, — აცხადებს რარი და აღნიშნავს, რომ შესაძლოა საპროტესტო ძალისხმევა გაძლიერდეს, მაგრამ ახლა არა, უფრო 2013 წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების დროისათვის, — აცხადებს ექსპერტი.

# საჯარო მოხელეების უფლებრივი მდგომარეობა უარესდება

**„სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების უფლებრივი მდგომარეობა უარესდება“, - ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაში, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებს ეხმაურება.**

საია უკმაყოფილებას გამოთქვამს კანონპროექტის განხილვის დაჩქარებულ ტემპებთან დაკავშირებით, რამაც საკითხით დაინტერესებულ პირთა წრეს მოუსპო საშუალება ჩართული ყო პროცესებში და ინიციატორებისთვის წარედგინა საკუთარი შეხედულებები მასთან დაკავშირებით. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ზემოხსენებული კანონპროექტით მნიშვნელოვნად უარესდება საჯარო სამსახურში დასაქმებულთა მდგომარეობა და საფრთხის ქვეშ დგება მათი შრომითი გარანტიების არსებობა.

— კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შეეხება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების სამსახურში აღდგენისა და განაცდურის მიღების საკითხებს, კერძოდ: დგინდება განაცდურის ოდენობის ზედა ზღვარი - არაუმეტეს მოსამსახურის თანამდებობრივი სარგოს 3 თვის ოდენობისა. შესაბამისად, უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ერთმევა უფლება, მოითხოვოს განაცდურის სრული ოდენობით ანაზღაურება, იძულებით მოცდენის მთელი პერიოდის გათვალისწინებით. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ პირს შეუძლია მიიღოს განაცდური მხოლოდ თანამდებობრივი სარგოს 3 თვის ოდენობით, მიუხედავად იმისა აჭარბებს თუ არა სამსახურში იძულებით არყოფნის პერიოდი 3 თვეს. მსგავსი ჩანაწერი ცალსახად ლახავს დასაქმებული პირის კანონიერ ინტერესს“, - ნათქვამია საიას განცხადებაში და აღნიშნულია, რომ კანონპროექტის თანახმად, განაცდურის გაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ პირის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, რაც გამორიცხავს პირის მიერ განაცდური ხელფასის მიღების შესაძლებლობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მისი გათავისუფლების შესახებ აქტი ბათილად იქნება ცნობილი სასამართლოს მიერ, თუმცა პირი ამ საფუძვლით არ იქნება აღდგენილი სამსახურში. კანონპროექტის თანახმად, სასამართლოს შეუძლია დაწესებულებას დაავალოს ახალი აქტის გამოცემა, პირის გათავისუფლებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, რაც დაწესებულებას უტოვებს შესაძლებლობას, უარი უთხრას პირს სამსახურში აღდგენაზე ახალი აქტის გამოცემის გზით. ასეთ შემთხვევაში სახეზეა, იძულებით განაცდური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც პირი ვერ იღებდა შრომით გასამრჯელოს, ასევე სახეზეა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი პირის გათავისუფლების შესახებ დაწესებულების გადაწყვეტილება, თუმცა ამის მიუხედავად პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს განაცდური ხელფასი, ვინაიდან დაწესებულების გადაწყვეტილებით არ მოხდა მისი აღდგენა სამსახურში, — ნათქვამია განცხადებაში და აღნიშნულია, რომ კანონპროექტის მოქმედება გავრცელდება კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილ სამართალურთიერთობებზეც.

— ვინაიდან განაცდურის მიღება დაკავშირებულია საკუთრების უფლებასთან, სახელმწიფოს არ შეუძლია სათანადო, ობიექტური საფუძვლების არსებობის გარეშე უარი თქვას მის მიერ მანამდე აღებული ვალდებულებების შესრულებაზე. პირებს, რომლებიც წარმოადგენენ განაცდურთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილეებს, აქვთ ლეგიტიმური მოლოდინი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიმართ, რაც გამოიხატება მათთვის განაცდურის სრულად ანაზღაურებაში. კანონპროექტის ამ ფორმით მიღების შემთხვევაში, აღნიშნული პირების მდგომარეობა სრულიად დაუსაბუთებლად გაუარესდება, — ვკითხულობთ საიას განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 5 მაისს, საქართველოს პარლამენტმა, მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

**მედიანიუსი**

# სოზარ სუბარი: საპროტესტო პროცესის ძრავა ახალგაზრდობა იქნება



„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარის განცხადებით, იმ საპროტესტო პროცესის ძრავა და ენერგიის მიმცემი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმს დაასრულებს, ახალგაზრდობა იქნება.

როგორც სუბარმა გუშინ თბილისში, რუსთაველის ძეგლთან, ზანდუკელის ქუჩაზე, გიორგი გამცემლიძის დაღუპვიდან სამი წლისთავთან დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საპროტესტო გამოსვლებში ახალგაზრდობას წინა ხაზზე არავინ დააყენებს, თუმცა მათი ენერგია რეჟიმის შეცვლის საკითხში გადამწყვეტი იქნება. სუბარის თქმით, ამ ბრძოლაში წინა ხაზზე თვითონ დადგება თავის თანამებრძოლებთან ერთად.

— აქ სამი წლის წინ მოკლეს ახალგაზრდა კაცი გიორგი გამცემლიძე და თითოეულმა ჩვენგანმა ვერ შევძელით, რომ იგი დაგვეცვა, ვერ შევძელით, რომ მისი მკვლელები სათანადოდ დაგვესაჯა. საზოგადოებაში არსებული შიში და უნდობლობა უნდა დაიძლიოს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს რეჟიმიც დასრულდება. ამის შემდეგ კი ყველა მკვლელი დაისაჯება, — განაცხადა სუბარმა.

**მედიანიუსი**

# შსს საკალათბურთო გუნდის მოთამაშის ქმედებამ ვეტერანების აქციის დაშლა გამახსენა



მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ დამფუძნებელ ეკა ბესელიას შეფასებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საკალათბურთო გუნდ „შსს“ მოთამაშე ბესიკ ლეჟავას ქმედება, რომელმაც მსაჯ მაკა კუპატაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ყოველგვარ ადმინისტრაციულ და სპორტულ ეთიკას სცილდება.

როგორც იურისტმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა კერძო ბრალდების საქმე, როდესაც საქმის წარმოება დაზარალებული მხარის საჩივრის საფუძველზე ხდება.

— ის კადრები, რაც ჩვენ ტელევიზიით ვიხილეთ, სცილდება ყოველგვარ ადმინისტრაციულ თუ სპორტულ ეთიკას. შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უკვე სახასიათო გახდა შეურაცხყოფის მიყენება და ძალის გამოყენება ქალბატონების მიმართ. მე პირადად ამ კადრების ნახვის შემდეგ მაშინვე გამახსენდა, ვეტერანების აქციის დაშლა, როდესაც პოლიციის თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა ერთ-ერთ ქალბატონს მიაყენა. ის მითი, რომ შსს თანამშრომლები საზოგადოებაში მაღალი სანდოობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ, მათი ქცევიდან და კანონმორჩილებიდან გამომდინარე ხშირად ინგრევა და სამწუხაროდ, ეს ბევრ სხვადასხვა სფეროში ვლინდება, მათ შორის სპორტული შეჯიბრების დროსაც. როგორც ჩანს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს სპორტული შეჯიბრების დროსაც კი ავიწყდებათ, რომ ასე მოქცევა განსაკუთრებით, ქალბატონის მიმართ, არ შეიძლება, — განაცხადა ბესელიამ.

შეგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკალათბურთო გუნდ „შსს“ მოთამაშე ბესიკ ლეჟავას მსაჯისათვის მიყნებული ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, 2013 წლის 1-ელ იანვრამდე პროფესიულ ლიგაში თამაში აეკრძალა. შესაბამისი გადაწყვეტილება საქართველოს საკალათბურთო ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამ. მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

შეგახსენებთ, რომ 7 მაისს, “სოხუმისა“ და “შინაგან საქმეთა სამინისტროს“ საკალათბურთო მატჩის დასასრულს, მსაჯ მაკა კუპატაძესა და ბესო ლეჟავას შორის ინციდენტი მოხდა. ლეჟავამ მსაჯს სახეში თავი განზრახ ჩაარტყა რის შედეგადაც, კუპატაძე ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოგვიანებით, ლეჟავამ ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა და მზად არის ამის გამო პასუხიც აგოს.

**მედიანიუსი**

# „ნაბუკოს“ გაზსადენი კომერციულ მოგებას 2017 წელს მოიტანს

„ნაბუკოს“ გაზსადენის კონსორციუმის გენერალური დირექტორის რეინარდ მიტშეკის განცხადებით, გაზსადენი ექსპლუატაციაში 2013 წელს შევა, ხოლო კომერციულ მოგებას ოთხი წლის შემდეგ, 2017-ში მოიტანს.

გენერალური დირექტორი ასევე გამოეხმაურა დღეს თურქული მხარის განცხადებას, „ნაბუკოს“ გაზსადენის მშენებლობის ორჯერ გაძვირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კონსორციუმი ხარჯების გადახედვას არ აპირებს.

**მედიანიუსი**

# კოჯრის შესასვლელში იუნკერთა რეკონსტრუირებული მემორიალი გაიხსნება

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი და დიდგორის რაიონის გამგებელი გოგიტა ნიკოლაძე 7 მაისს კოჯრის შესასვლელში იუნკერთა რეკონსტრუირებულ მემორიალს გახსნიან.

90-იან წლების დასაწყისში იუნკერთა ხსოვნის პატივსაცემად აგებული მემორიალის რეკონსტრუქცია თბილისის დიდგორის რაიონის გამგეობამ განახორციელა.

პროექტის ფარგლებში მოხდა მიმდებარე ტერიტორიის გაფართოვება და კეთილმოწყობა. გაკეთდა გარეგანათება, დაირგო სხვადასხვა სახეობის დეკორატიული ხემცენარეები და მოეწყო დასასვენებელი ადგილი.

1921 წლის 17 თებერვალს , საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია ომის გამოუცხადებლად საქართველოს ანექსია მოახდინა. ქართველი იუნკერები თბილისის მისადგომებთან, ტაბახმელა-კოჯორში განლაგდნენ. 1921 წლის 24 თებერვალს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი იუნკერთა დიდი ნაწილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

**მედიანიუსი**

# დიღომში წყლის საკითხი გადაუწყვეტელია

**„რესპუბლიკური პარტიის“ წევრის თინა ხიდაშელია განცხადებით, „ვარდების რევოლუციიდან“ 7 წლის შემდეგაც, სოფელ დიღომში წყლის, გზის და მიწის საკითხი გადაუწყვეტელია.**

„რესპუბლიკური პარტიის“ პრესსამსახურის ცნობით, ხიდაშელი და პარტიის თბილისის ორგანიზაციის საბურთალოს ორგანიზაციის კომიტეტის წევრი ჯემალ თეთრაშვილი სოფელი დიღმის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე მოსახლეობამ საკუთარ პრობლემებზე ისაუბრა. კერძოდ, სოფელი შეწუხებულია, რომ თბილისთან შემოერთების შემდეგ არავითარი პროგრესი და წინსვლა სოფელს არ შეხებია.

სოფელს სერიოზული პრობლემები აქვს წყლით მომარაგებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსახლეობის განცხადებით, სოფლის მნიშვნელოვან ნაწილს წყალი საერთოდ არ მიეწოდება, ხოლო მეორე ნაწილი კვირაში რამდენიმე საათით იღებს.

ამის მიუხედავად, წყლის გადასახადზე გაზრდილი ტარიფით სულადობის მიხედვით ქვითარი ყველა ოჯახში მიდის და ახალი წესების შესაბამისად, გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგიის გათიშვით ემუქრებიან. სოფელი დიღმის მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს წყლის გადასახადის უკანონობის გამო. გარდა ამისა, სოფელს საერთოდ არა აქვს კანალიზაციის ცენტრალური სისტემა, წყალი არ მიეწოდება სკოლას და საბავშვო ბაღს.

პრობლემურია გზის საკითხი, რომელიც მთელ სოფელში მწყობრიდან არის გამოსული.ტრანსპორტის ახალი სქემების შემდეგ, სოფლიდან გადაადგილებაც გართულდა, ვინაიდან სამივე ავტობუსის ხაზი, რომელიც ემსახურებათ ერთი და იმავე მარშრუტით, მეტრო დიდუბემდე დადის, არ მოძრაობენ სამარშრუტო ტაქსები. მოსახლეობის მოთხოვნაა, ხაზებს მიმართულება შეეცვალოს და გადაადგილება გამარტივდეს.

სერიოზული პრობლემაა დასუფთავების სამსახურის საქმიანობაც. მოსახლეობის ნაწილი აცხადებს რომ მათ უბნებს დასუფთავების მანქანები საერთოდ არ ემსახურებათ, არ დგას ნაგვის ბუნკერები და ამის მიუხედავად, 25 ლარიანი გადასახადი მოსდით ყოველთვიურად.

თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა მაინც ის არის, რომ ვარდების რევოლუციიდან 7 წლის შემდეგაც, სოფელ დიღომში გადასაწყვეტია მიწის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ, სწორედ მოსახლეობის მხარდაჭერით და მეცადინეობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი კორუფციული სქემის გახსნა, პასუხისგებაში მისცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და 560 ოჯახი დაზარალებულად იყო ცნობილი, დღემდე არავითარი კონკრეტული ღონისძიებები არ განხორციელებულა ამ ადამიანების პრობლემების მოსაგვარებლად და მიწის კანონიერი მფლობელებისათვის გადასაცემად.

სოფელში ეჭვს გამოთქვამენ, რომ თბილისთან შეერთებაც სწორედ მიწის გამო მოხდა. მათი განცხადებით, მამაპაპისეულ მიწებს სხვა ადამიანები ეპატრონებიან.

**ინტერპრესნიუსი**

*გილოცავთ!*

# ქართველი ექიმის ბრძოლით გავლილი წლები



**ფაშიზმზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, ვეტერანებისთვის, სიხარულთან ერთად, ტკივილსაც უკავშირდება, რადგან ამ ომთან ბევრი მძიმე მოგონება აკავშირებთ. 89 წლის ვეტერას, მედიცინის მაიორ შოთა აბესაძესაც ამ დღეს სიხარულის განცდაც აქვს და სევდისაც. ის ექიმი ფსიქიატრი გახლავთ. სწავლობდა ოდესის სამედიცინო ინსტიტუტში, ომის დაწყების შემდეგ კი სწავლა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში განაგრძო. მისი დასრულების შემდეგ ფრონტზე გაიწვიეს. უკრაინაში უმაღლესი მთავარსარდლის დაქვემდებარებაში მყოფ საზენიტო დივიზიის ნაწილში ერთ-ერთი ლეგიონის უფროს ექიმად დანიშნეს. იბრძოდა უკრაინაში, მოლდოვასა და რუმინეთში. ფრონტზე რამდენჯერმე მძიმედ დაშავდა.**

**ბატონ შოთას ფრონტზე ბევრი ჯარისკაცი ჰყავს გადარჩენილი, მათ შორის — გერმანელი ტყვეებიც. ერთ-ერთი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ჯარისკაცებმა ექვსი გერმანელი ჯარისკაცი დაატყვევეს. მათ იქვე გამოუტანეს განაჩენი და დახვრეტა მოუნდომეს. ახალგაზრდა ექიმი ტყვეებს გადაეფარა, მათი მოკვლა არ დაანება და ისინი სპეციალურ ტყვეთა ბანაკში გაგზავნა...**

**ომიდან დაბრუნების შემდეგ ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ჩაუდგა სათავეში. ამ კლინიკისთვის ბევრი რამ გააკეთა. 80-იან წლებში კი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ფსიქიატრიული ინსტიტუტის ქალთა განყოფილების გამგედ დაიწყო მუშაობა, შემდეგ ქალაქის ფსიქიატრიულ დისპანსერში მუშაობდა. მისი მეუღლე, ცნობილი ეკონომისტი ელენე თავშავაძე, რომელთანაც 50 წელზე მეტხანს ცხოვრობდა, რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. ბატონ შოთას ვულოცავთ ფაშიზმზე გამარჯვების დღეს და ვუსურვებთ, ეს თარიღი კიდევ ბევრჯერ აღენიშნოს!**

*9 მაისი*



# დივერსია ორი ქვეყნის ურთიერთობის გასაფუჭებლად



გერა მამულაშვილი

მცირე პრობლემების მიუხედავად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ურთიერთობა რეგიონისთვის სამაგალითოდ ითვლება. დაინტერესებული ძალები ამ დამოკიდებულებაში დიდი ხანია განხეთქილების შეტანას ცდილობენ. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ ვის ინტერესებში უნდა შედიოდეს თბილისსა და ბაქოს შორის უნდობლობის ჩამოგდება.

მორიგი მცდელობა ისევ ყოფილი „უფროსი ძმისგან“ წამოვიდა. ერთ-ერთმა აზერბაიჯანული წარმოშობის მოსკოველმა პოლიტოლოგმა განაცხადა, რომ „ბაქოში სახელმწიფო გადატრიალებას საქართველოს დედაქალაქში ამზადებენ“. თბილისში ეს გამოსვლა ღია პროვოკაციად შეაფასეს. არც ექსპერტებს სჯერათ, რომ საქართველოში რაიმე ანტიაზერბაიჯანული მზადდებოდეს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ადმინისტრაციის განცხადებით, „საქართველოს მიერ აზერბაიჯანში არეულობის მზადების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია დივერსიული ჯგუფების საქმეა“.

— ეს დივერსიული ჯგუფები მსგავს საკითხებს იმ მიზნით აყენებენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა გააფუჭონ, — განაცხადა ალიევის ადმინისტრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების განყოფილების ხელმძღვანელმა ალი ჰასანოვმა.

მისივე თქმით, „სამხრეთ კავკასიაში სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს აზერბაიჯანი და მის მიერ გატარებული პოლიტიკური კურსი განსაზღვრავს“.

— აზერბაიჯან-საქართველოს შორის სტრატეგიული მოკავშირეების ურთიერთობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებში გეოსტრატეგიული ფაქტორია. აზერბაიჯანის ხელისუფლება სახელმწიფოს მეთაურის ხელმძღვანელობით ამ მიმართულებით აუცილებელ სამუშაოებს ატარებს, — განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში ისლამური კომიტეტის თავმჯდომარე ჰეიდარ ჯამალის მტკიცებით, „აზერბაიჯანის უსაფრთხოებისთვის ამჟამად სერიოზული საფრთხე არსებობს, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარეობს“.

— აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას ეკისრება, — ირწმუნება ჯამალი.

თავის მხრივ, აშშ-ის ელჩი აზერბაიჯანში მეთიუ ბრაიზა აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მზადების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას „სრულ სისულელეს“ უწოდებს. ამის შესახებ აზერბაიჯანში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

ჰეიდარ ჯამალის განცხადებას საქართველოს „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილიც გამოეხმაურა. პოლიტიკოსების მიერ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, აზერბაიჯანის სახელმწიფო გადატრიალების მზადებით პირადად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია და აზერბაიჯანში აშშ-ის ელჩი მეთიუ ბრაიზა არიან დაკავებული.

„კონფლიქტური სიტუაციების კვლევის ინსტიტუტის“ გენერალურ დირექტორ თენგიზ ბეგიაშვილის შეფასებით კი „საქართველოს ამჟამად იმდენი საფიქრალი აქვს, რომ აზერბაიჯანისთვის არ სცხელა“.

ასე გამოეხმაურა ბეგიაშვილი რუსეთის ისლამური კომიტეტის წარმომადგენლის ჰეიდარ ჯამალის განცხადებას იმის შესახებ, რომ „აშშ საქართველოს მმართველი წრეების საშუალებით მორიგ „ყვავილოვან რევოლუციას“ — აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებს“.

— სააკაშვილი ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობს. თავად საქართველოში გარკვეული პროცესები იწყება. 21 მაისიდან „სახალხო კრების“ წარმომადგენლები სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს იწყებენ. ისინი აცხადებენ, რომ 74 რეგიონში დაუმორჩილებლობის კომიტეტებია შექმნილი. გარკვეული მოძრაობები აღმოსავლეთ საქართველოდან, კახეთიდან იწყება. ასე რომ, საქართველოს ახლა იმდენად ბევრი საფიქრალი აქვს, აზერბაიჯანისთვის არ სცხელა, — აცხადებს ბეგიაშვილი.

ამასთან, მას „უბრალოდ არ სჯერა, რომ საქართველოში ვინმე აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდეს“.

— თავად სააკაშვილი სთავაზობს ილჰამ ალიევს კონფედერაციული რესპუბლიკის შექმნას, ამიტომ არ მჯერა, რომ საქართველოში რაიმე ანტიაზერბაიჯანული მზადდებოდეს. ორ ერს შორის ურთიერთობა ყოველთვის მყარი იყო, იმის მიუხედავად, ვინ მართავდა ან მართავს სახელმწიფოს.

ერთადერთი დაძაბულობა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს იყო ცნობილი განცხადების შემდეგ — „საქართველო ქართველებისთვის“, რომელსაც საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის მხრიდან მათი კომპაქტური დასახლების რაიონების საქართველოსგან გამოყოფის სურვილი მოჰყვა. თუმცა მაშინაც აზერბაიჯანელების მღელვარება მხოლოდ რამდენიმე დღე გაგრძელდა. მთლიანობაში, ორ ქვეყანას შორის არანაირი უთანხმოება არ ყოფილა, — აცხადებს ბეგიაშვილი.

მისივე შეფასებით, „ამ ეტაპზე ორი ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობა მაღალ დონეზეა და რთული წარმოსადგენია, რომ ბოკერია აზერბაიჯანში გადატრიალებას ამზადებდეს“.

— გარდა ამისა, სააკაშვილსა და ალიევს ამჟამად კარგი ურთიერთობა აქვთ. ისინი სტუმრობენ ერთმანეთს. ცოტა ხნის წინ ბაქოში საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი იმყოფებოდა, რომელიც თავად პრეზიდენტმა ალიევმა მიიღო. მათ შორის არანაირი უთანხმოება არ არსებობს. რაც შეეხება ბოკერიას, იგი სააკაშვილის გუნდის წევრია და ამიტომ ეს გამორიცხულია. გარდა ამისა, არ ვიცი, რომელ წყაროს ეყრდნობოდა ჯამალი, თუმცა ვთვლი, რომ საქართველო აზერბაიჯანში გადატრიალების მოწყობას ვერასოდეს შეძლებს, ძალიანაც რომ მოინდომოს, — აცხადებს პოლიტოლოგი.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ოფიციალურმა თბილისმა პოლიტოლოგ ჰეიდარ ჯამალის განცხადებას საქართველოს მიერ აზერბაიჯანში სახელისუფლებო გადატრიალების მზადების შესახებ „აბსურდული“ უწოდა.

— საინტერესო მიმოხილვაა, თუმცა არ მიმაჩნია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასეთ აბსურდულ ინფორმაციაზე რაიმე სახის განცხადება უნდა გააკეთოს, — განუცხადა ჟურნალისტებს მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძემ.

# „აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნებას მხოლოდ ერთი ქვეყანა ეწინააღმდეგება“

გერა მამულაშვილი

აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „ამღიარებლების“ რიცხვს შესაძლოა ერთი-ორი კინკილა „სახელმწიფო“ შეემატოს. სეპარატისტები აცხადებენ, რომ სან-მარინომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში სოხუმისა და ცხინვალის ე.წ. „დამოუკიდებლობა“ აღიაროს. თუ რის ფასად მოხდება ეს ყოველივე, ამაზე ჯერჯერობით არავინ არაფერს ამბობს.

მოსკოვმა თავის დროზე ეს „აღიარებები“ ვენესუელასგან, ნიკარაგუასგან და ნაურუსგან ღიად იყიდა. მაშინ „კლიენტებმა“ ამ საქმეზე კარგად იშოვეს. მოსკოვს ერთადერთი მოკავშირე ბელორუსთან არ გამოუვიდა ეს ვაჭრობა, რადგან ბელორუსის პარლამენტმა უარი თქვა ანტიქართული გადაწყვეტილების მიღებაზე.

საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ტერიტორების ოკუპაციას არ ცნობს და მოსკოვს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებს. თუმცა, ეს მოწოდებები ცარიელ სიტყვებს არ სცდება და კრემლის მიერ დაძრულ ქარავანს ჯერჯერობით ვერაფერი აჩერებს.

— სან-მარინომ შესაძლოა, უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, — ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატმა ადგურ ხარაზიამ გაზეთ რუსულ მედიასთან ინტერვიუში განაცხადა.

ამასთან, მისი აზრით, „აფხაზეთმა სხვა ქვეყნის მაცხოვრებლებს თავისი მოქალაქეობა არ უნდა მისცეს“.

— სან-მარინო, მაგალითად, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებს მოქალაქეობას იმ შემთხვევაშიც კი არ ანიჭებს, თუ ისინი სან-მარინოს მკვიდრზე არიან დაქორწინებული და ერთად 50 წელიწადზე მეტი აქვთ ნაცხოვრები, — აღნიშნა მან.

დე ფაქტო პარლამენტის ოპოზიციონერი წარმომადგენლები ინიციატივით გამოდიან, რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში უძრავი ქონების მოპოვების უფლება საკანონმდებლო დონეზე მიეცეთ, თუმცა — მოქალაქეობის მიღების გარეშე.

მისივე აზრით, „ეს ეკონომიკის განვითარებას ბიძგს მისცემდა“.

— აფხაზეთის მოქალაქეობის დარიგება აფხაზური ეთნოსისა და სახელმწიფოსთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს. აფხაზები შესაძლოა, თავისი მცირერიცხოვრობიდან გამომდინარე, სწრაფად ასიმილირდნენ. მსოფლიოში ბევრი სახელმწიფოა, სადაც მოქალაქეობის მიღება შეუძლებელია. იმედია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მსგავსი გადაწყვეტილების მიღებამდე, გაითვალისწინებს იმ შედეგებს, რომელიც შეიძლება, თუნდაც 40-50 წლის შემდგომ მივიღოთ“, — აცხადებს ე.წ. დეპუტატი.

მანამდე, აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ღვინჯიამ თქვა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას წელს სამი სახელმწიფო აპირებს.

ამ დროისთვის აფხაზეთის დამოუკიდებლობა ოთხმა ქვეყანამ აღიარა: რუსეთმა, ნაურუმ, ნიკარაგუამ და ვენესუელამ.

ცნობისთვის: ოფიციალური სახელწოდება — სან-მარინოს რესპუბლიკა. სახელწოდება მომდინარეობს დალმაციელი ქვისმთლელის მარინუსისაგან, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების გამო იდევნებოდა სამშობლოში და გაიქცა მეზობელ იტალიაში. მარინუსი კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა წმინდა მარინის სახელით.

ქვეყანა მდებარეობს აპენინის ნახევარკუნძულზე, წარმოადგენს ანკლავს იტალიის შიგნით. მისი ფართობი — 60 კვ.კმ-ია. სან-მარინოს მოსახლეობა 28 ათას ადამიანს შეადგენს. სახელმწიფო ენა იტალიურია. რელიგია — კათოლიციზმი. დედაქალაქი — სან-მარინო.

ამ საკითხზე კომენტარს აკეთებენ „ექსპერტთა კლუბში“:

— თითქმის ერთი წელია, რაც აფხაზეთისა და ცხინვალის მარიონეტული რეჟიმები ამტკიცებენ, რომ ნაურუს, ვენესუელის, ნიკარაგუასა და რუსეთის გარდა, მათ აღიარებას სხვა ქვეყნებიც აპირებენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი ცდილობდნენ, არ გაეხმოვანებიათ ის ქვეყნები მალავდნენ რა, როგორც ჩანს, ქართული მხარისგან. მაგრამ, როგორც ცნობილია, რაც ორმა იცის, ის ყველამ იცის.

როგორც განაცხადა აფხაზური პარლამენტის დეპუტატმა ადგურ ხარაზიამ გაზეთ „ნოვი დენთან“ ინტერვიუში, უახლოეს ხანში აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს კიდევ ერთი პატარა სახელმწიფო სან□მარინო. სავარაუდოდ, ამ სახელმწიფოსვე გულისხმობდა ედუარდ კოკოითიც, როდესაც აცხადებდა კიდევ ერთი სახელმწიფოს მხრიდან მათი დამოუკიდებლობის მოსალოდნელი აღიარების შესახებ.

ბოლო „დამაიმედებელი“ განცხადებები მარიონეტული რეჟიმების წარმომადგენლებმა გააკეთეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვის ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვიზიტის დროს. აქედან დასკვნა ეს სასიხარულო ამბავი სწორედ მან ჩამოუტანა თავის მარიონეტებს. ეჭვს არ იწვევს, რომ ეს აღიარებაც რუსეთის მიერ იქნა ნაყიდი ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში. საკითხავი სხვაა — რა ფასად?□— აცხადებენ ექსპერტთა კლუბში.

ამ ფონზე მსოფლიო საზოგადოება კვლავ ადასტურებს ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი. მორიგი მხარდამჭერი განცხადებები რუმინულმა და ლიტვურმა მხარეებმა გააკეთეს.

საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დან მიჰაი ბარლიბას განცხადებით, აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ უნდა დავბრუნდეთ. ამის შესახებ ბარლიბამ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ელჩის საათის□ ფარგლებში გამართული ვიზიტის დროს განაცხადა.

— სამი წლის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიით აფხაზეთში ვიყავი ჩასული. ჩემთან ერთად საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე და სხვა 10-მდე დიპლომატი იყო. მაშინ ყველაფერი განადგურებული იყო: სანატორიუმები, სასტუმროები, ზოგადად ეკონომიკა, თუმცა, ბუნება კვლავ საოცრად ლამაზია. სამხრეთ ოსეთშიც ვარ ნამყოფი, მაგრამ აფხაზეთი მასთან შედარებით სამოთხეა. ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ უნდა დავბრუნდეთ, — განაცხადა ბარლიბამ და იქვე დასძინა, რომ აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნების წინააღმდეგი ერთი ვინმეს გარდა, არავინაა.

— არავინ არის წინააღმდეგი, ეს ტერიტორია საქართველოს დაუბრუნდეს, გარდა ერთი ვილაცისა. რაც შეეხება ნაურუს, ნიკარაგუას და მათ მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მაგალითად, ნაურუ თქვენი უნივერსიტეტის შენობის ტოლი ქვეყანაა, — აღნიშნა ბარლიბამ.

აფხაზეთზე საუბრისას ელჩი საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ მოსაზრება, თითქოს კონფლიქტების მოგვარებამდე საქართველო ნატო-ში ვერ გაწევრიანდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

— არ დაუჯეროთ იმ ხალხს, რომელიც გეუბნებათ, რომ კონფლიქტური რეგიონების გამო ნატო-ს წევრი ვერ გახდებით. გერმანია ორად იყო გაყოფილი, როცა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდა. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ამბობენ, ჯერ არაო. თუმცა, თუ ადრე იდგა საკითხი, გახდება თუ არა საქართველო ნატოს წევრი? ახლა ისმის კითხვა □როდის? ასე რომ, წინსვლა ცალსახაა. ამისთვის საქართველოს საშინაო დავალება აქვს შესასრულებელი. სამხედრო რეფორმა ქვეყნის მთავრობამ უკვე გაატარა, ახლა კი სამუშაოები დემოკრატიის და მედიის თავისუფლების მიმართულებითაა გასატარებელი, — დასძინა ელჩმა.

ამასთან, სულ უფრო ხშრად ისმის მოწოდებები აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კავშირების დამყარების აუცილებლობის შესახებ. პოლიტიკური ძალები და არასამთავრობოები ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯების გადადგმას ცდილობენ.

— წლის ბოლომდე თბილისში შესაძლოა, რუსეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, — ამის შესახებ დღეს „ლეიბორისტული პარტიის“ საერთაშორისო მდივანმა ნესტან კირთაძემ კიევსა და ალმა-ათში ვიზიტების შეჯამებისას განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, 2-3 მაისს ალმა-ათაში „სოციალისტური ინტერნაციონალის“ შავი ზღვის აუზის, დსთ-ისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელშიც სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი ლუის აიალა, ქალთა სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი მარლენ ჰასი, აგრეთვე გერმანიის, საბერძნეთის, უნგრეთის, შვედეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ნესტან კირთაძე ფორუმზე ორჯერ წარდგა სპეციალური მოხსენებებით, რომელთაგან პირველი საქართველოში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ გამოწვევებს, ასევე ხელისუფლების შეცვლის საკითხს ეხებოდა.

რეგიონული კონფლიქტების საკითხთან დაკავშირებით გაკეთებული სპეციალური მოხსენების შემდეგ კირთაძე გამოვიდა ინიციატივით, უახლოეს მომავალში სოციალისტური ინტერნაციონალის ეგიდით თბილისში საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართოს, რომელშიც რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

— ეს უნდა იყოს საკონსულტაციო შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგ ჩვენ რეალური სურათი უნდა შევქმნათ იმისა, თუ რა სიღრმემდე შევდივართ საქართველოს სახელმწიფოებრივი და ტერიტორიული გამთლიანებისთვის ბრძოლაში. ჩვენ არ უნდა გავაჩინოთ ყალბი მოლოდინები, მაგრამ ვალდებულნი ვართ, კონფლიქტურ მხარეებთან პირდაპირი სამშვიდობო დიალოგის დასაწყებად პირველი ნაბიჯები გადავდგათ, — განაცხადა კირთაძემ.

მისივე თქმით, ინიციატივას სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალურმა მდივანმა ლუის აიალამ და რეგიონული კომიტეტის სხდომის ყველა მონაწილე ქვეყანამ დაუჭირეს მხარი.

— მიღებულ იქნა რეზოლუცია და წლის ბოლომდე თბილისში სოცინტერნის პატრონაჟითა და გენერალური მდივნის მონაწილეობით საკონსულტაციო სხდომა გაიმართება, რომელშიც კონფლიქტის მხარეებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამასთან, აგვისტოს მოვლენების შემდეგ თბილისში რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები პირველად ჩამოვლენ — დასძინა კირთაძემ.

რამდენად შედეგიანი იქნება ასეთი ტიპის შეხვედრები, ცალკე საუბრის თემაა. საქართველოს საპატრიარქოში კი დარწმუნებულნი არიან, რომ სეპარატისტები ადრე თუ გვიან ჭეშმარიტების გზას მაინც დაადგებიან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქადაგებით, აფხაზი ხალხი იმდენად ჭკვიანი და ბრძენია, რომ ნახავს აუცილებლად, სად არის ჭეშმარიტება.

— ღმერთმა მისცეს გზა ჭეშმარიტებისა აფხაზებს. გვჯერა, რომ აფხაზი ხალხი იმდენად ბრძენია და გონიერი, რომ მიხვდება, თუ სად არის ჭეშმარიტება და ჩვენ ყველანი ერთად ვიქნებით, — ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა და მთელ საქართველოს წმინდა გიორგის დღესასწაული მიულოცა.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილორის წმინდა გიორგის ხატით დალოცა სრულიად საქართველო. უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ ამ ხატით აქედან ლოცავს აფხაზებსაც. უწმინდესმა იქადაგა, რომ დადგება დრო, როდესაც ილორის წმინდა გიორგის ხატით ჩავალთ აფხაზეთში. ქადაგებისას პატრიარქმა აღნიშნა, რომ წმინდა გიორგი მუდამ ჩვენთან არის და საქართველოს ვერავითარი ხილული თუ უხილავი მტერი ვერ დაშლის და დააჩოქებს.

# ევროზონიდან საბერძნეთის გასვლის ხმებმა ევროს კურსი შეამცირა

საბერძნეთის მთავრობამ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს იგი ევროზონიდან გასვლას აპირებს.




ევროპულმა ვალუტამ ამ მითქმა-მოთქმის გამო დოლართან შეფარდებით ღირებულების ერთ პროცენტზე მეტი დაკარგა.

მოვლენების ამ მიმართულებით განვითარების შესახებ პარასკევს გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა“ განაცხადა. ეს მოსაზრება გერმანიისა და საბერძნეთის წარმომადგენლებმა, გარდა ამისა, ევროზონის ლიდერმა ჟან-კლოდ იუნკერმა უარყვეს.

მიუხედავად ამისა, ლუქსემბურგში ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა. ამ შეხვედრის დროს პორტუგალიის, ირლანდიისა და საბერძნეთის ფინანსური მდგომარეობა განიხილეს.

საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა ფილიპოს საკინადისმა რეიტერის სააგენტოს ინტერვიუში ხმებს ევროზონიდან საბერძნეთის გასვლის შესახებ სიცრუე უწოდა.

მისი თქმით, მსგავსი ჭორები საბერძნეთის ეკონომიკისა და ევროს მდგრადობას უთხრის ძირს და მხოლოდ ბირჟის სპეკულანტებს უწყობენ ხელს.

ამ განცხადებების მიუხედავად, ევროს კურსი მაინც დაეცა.

ლუქსემბურგში გამართული შეხვედრის შემდეგ ჟან-კლოდ იუნკერმა, ევროზონის ფინანსთა მინისტრების ჯგუფის თავმჯდომარემ საბერძნეთის ევროვალუტის ზონიდან გასვლის შესაძლებლობა კატეგორიული ფორმით უარყო.

მისი თქმით, ეს სულელური იდეაა და არ მოხდება, ამ ნაბიჯს ევროზონა არასდროს გადადგამს.

როგორც იუნკერმა განაცხადა, ევროპას არ სურს, რომ ევროზონის შიგნით სიტუაცია უმიზეზოდ აფეთქდეს.

იუნკერის თქმით, ამჟამად საბერძნეთის ვალის რესტრუქტურიზაციის ყოველნაირი შესაძლებლობა გამორიცხულია და ლუქსემბურგის შეხვედრა ევროპის ქვეყნებისა და დიდი ოციანის უახლოეს მომავალში დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა.

საბერძნეთი ევროზონას 2002 წელს შეუერთდა. იგი ევროპის მეთორმეტე ქვეყანა გახდა, რომელმაც საკუთარ დრაჰმაზე უარი თქვა და ევრო ამჯობინა.

გასული 10 წლის განმავლობაში ქვეყანა ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დეფიციტის წინაშე აღმოჩნდა, სახელმწიფო ხარჯები გაიზარდა და ხაზინა დაცარიელდა.

საგადასახადო სისტემის შეცვლამ საქმეს არ უშველა, რადგან მოსახლეობის ფართო ფენები გადასახადების გადახდას თავს არიდებენ.

შედეგად საბერძნეთის ბიუჯეტის დეფიციტმა ევროზონის მიერ დაშვებულ ლიმიტს ოთხჯერ გადააჭარბა.

ეკონომიკის გადარჩენის მიზნით საბერძნეთი იძულებული გახდა, ევროკავშირისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის მრავალმილიარდიანი კრედიტი აეღო. ბიუჯეტის ხვრელების ამოსაქოლად საბერძნეთმა 110 მილიარდი ევრო ისესხა.

მიუხედავად ამისა, ვერც ხარჯების მკვეთრი შემცირების ზომებმა და ვერც სხვა რეფორმებმა ვითარება ვერ გააუმჯობესა. საბერძნეთის ეკონომიკა დეფოლტის ზღვარზე იმყოფება.

ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება მითქმა-მოთქმა ხელისუფლების მიერ ქვეყანაში არსებული ვითარების კონტროლის შეუძლებლობის შესახებ და რომ საბერძნეთი იძულებული გახდება, ვალების რესტრუქტურიზაცია ითხოვოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

გამოხმაურება

# გაზეთ ,,ახალი თაობის“ რედაქციას

,,ახალი თაობის“ 6 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ჟურნალისტ გულიკო ბალა□ის ინტერვიუ, რომელშიც რესნპოდენტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობის საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს ავითარებს. მაგრამ ჩვენი გაკვირვება აღნიშნული რესპონდენტის გამონათქვამებს ნამდვილად არ გამოუწვევია, რადგან მას შემდეგ, რაც ე.წ. უპარტიოთა მო□რაობის ლიდერს მამუკა გვა□აბიას, კანონის შესაბამისად, უარი ეთქვა მის თხოვნაზე გარდაცვლილი დეპუტატის, რენალდ დგებუა□ის ნაცვლად უმაღლეს საბჭოში დეპუტატად ყოფილიყო ,,მიღებული“, იგი სისტემატურად ცდილობს დევნილობაში მოქმედი ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს კომპრომეტირებას.

ჩვენი გაკვირვება გამოიწვია ჟურნალისტ გულიკო ბალა□ის მცდელობამ, რესპონდენტისათვის ინტერპრეტირებული შინაარსის შეკითხვის დასმით, სასურველი რეალობად წარმოეჩინა და შეცდომაში შეეყვანა მკითხველი. ამ მიზნით მან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თამაზ ხუბუას მიერ რეინტეგრაციის მინისტრისათვის დასმული შეკითხვის პასუხი ,,რატომლაც“ არასწორად, უფრო სწორად კი ,,უკულმა“ გაიგო და მაშინ, როდესაც მინისტრმა ეკა ტყეშელაშვილმა აფხაზეთთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო თუ შიდა ფორმატის სამუშაო ჯგუფებში უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მონაწილეობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას გაუსვა ხაზი, ბალა□ემ შეკითხვა ქილიკის ტონით აფხაზეთის დევნილი საკანონმდებლო ორგანოს როლისა და ფუნქციის დამაკნინებელი შინაარსიით დატვირთა და ისე გადმოსცა, თითქოს ქალბატონ ეკა ტყეშელაშვილს ეთქვას, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებში უმაღლესი საბჭოს დეპუტაციის მონაწილეობის აუცილებლობა არ არსებობს, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება მინისტრის მიერ გამოთქმულ შეფასებას.

გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს შენიშვნა თქვენს მორიგ ნომერში.

***აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება***

# რა კავშირი აქვს ისრაელს „ჰამასის“ მხარდაჭერილ აფხაზეთთან

## გადამდგარმა გენერალმა ისრაელის ხელისუფლება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო

**ებრაელი ბიზნესმენების დაკავებით გამოწვეული ვნებათაღელვა ისევ გრძელდება. თბილისსა და თელ-ავივს შორის ურთიერთობა მკვეთრად არის გაუარესებული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ისრაელმა აფხაზურ დელეგაციას უმასპინძლა. მართალია, ეს ვიზიტი ოფიციალურ დონეზე არ შემდგარა, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზებმა იქაურ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები გამართეს.**



თეა მარხვაი ე

ამას აფხაზეთში ებრაელი ბიზნესმენების ვიზიტი მოჰყვა. ისინი სერგეი ბაღაფშმა და სერგეი შამბამ ძალიან თბილად მიიღეს. იმ დროს რუსულ და აფხაზურ პრესაში გაჩნდა ცნობები, რომ ისრაელი აფხაზეთს სამხედრო ტექნოლოგიებს მიაწვდის.

იყო დრო, როცა ისრაელი საქართველოს აწვდიდა შეიარაღებას, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა. ებრაელი ბიზნესმენების დაკავების შემდეგ კი კიდევ უფრო გაუარესდა ჩვენი კავშირები.

ამ ფონზე სოხუმში ებრაელი ბიზნესმენების ჩასვლას ჩვენებურთა აღშფოთება მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლებამ მკვეთრი განცხადებები ხმამაღლა აღარ გააკეთა. თბილისი სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებას მოერიდა.

განმარტებები სოხუმში ჩასულმა ებრაელმა ბიზნესმენებმაც გააკეთეს და აღნიშნეს, რომ ამ ვიზიტს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს.

ამ ვიზიტის შემდეგ სერგეი შამბამ გამოცემა „იზრუსს“ ახალი ცნობა მიაწოდა. მისი განცხადებით, აფხაზეთსა და ისრაელს შორის საჰაერო მიმოსვლა დაიწყება.

ისრაელის ამბები ჩვენს ხელისუფლებას ბოლო დროს ცოტა მიავიწყდა ან შეიძლება შეგნებულად არ იხსენებენ, რადგანაც ყველამ შესანიშნავად იცის, რომ ისრაელი აფხაზეთის დამოუკიდებლობას არასდროს აღიარებს.

ეს ისრაელშიც ძალიან კარგად იციან. იციან ისიც, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას მხარს ჰამასი უჭერს. ჰამასი კი ისრაელისთვის დაუძინებელი მტერია.

სწორედ ჰამასის ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას ოში მელმანი გამოცემა „HA'ARETZ“-ში გამოქვეყნებულ წერილში.

სტატიის ავტორის თქმით, საქართველოს ვერ გაუგია, რატომ ინარჩუნებენ ისრაელის თავდაცვის ძალების გადამდგარი გენერლები „გლობალ გრუფიდან“ კონტაქტებს სეპარატისტულ ქვეყანასთან. მელმანის თქმით, ამ კავშირებმა ისრაელის საგარეო უწყება უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

— დაახლოებით სამი კვირის წინ მოსკოვში ორი ებრაელი გადამდგარი გენერალი ჩავიდა. ამ ვიზიტმა, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ისრაელისა და ქართული პრესის მეშვეობით ცნობილი გახდა, ისრაელი საქართველოსთან დიპლომატიურ ინციდენტში შეიყვანა და საგარეო საქმეთა მინისტრი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. მოსკოვში ყოფნისას გადამდგარი გენერლები — ისრაელ ზივი, სამხედრო საკონსულტაციო ფირმის „გლობალ გრუფის“ დამფუძნებელი, მფლობელი და ისრაელის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი და მეირ კლიფი, გლობალის ბოლოდროინდელი შენაძენი, ეჰუდ ოლმერტისა და ბენიამინ ნეთანიაჰუს ყოფილი სამხედრო მდივანი — სერგეი ბაღაფშს, საქართველოს სეპარატისტული რეგიონის აფხაზეთის პრეზიდენტს შეხვდნენ. ამ რეგიონის დამოუკიდებლობა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ აღიარა. მოგვიანებით ისინი აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასაც შეხვდნენ, — ვკითხულობთ სტატიაში.

მელმანი თავის მკითხველს იმასაც ახსენებს, თუ როგორ გავრცელდა ეს ინფორმაცია. ეს ცნობა პირველმა რუსულენოვანმა ვებ-გვერდმა „იზრუსმა“ გაავრცელა.

— მერე ეს ქართულ მედიას ხანძარივით მოედო. ციტირებდნენ ზივის სიტყვებს: ისრაელი აღიარებს რუსეთთან და აფხაზეთთან სტრატეგიული დიალოგის მნიშვნელობას და მხარს უჭერს ამ კავშირებსო.□„იზრუსი“ იტყობინებოდა, რომ ზივმა გამოხატა აფხაზეთის „არა შეტევითი სამხედრო ტექნიკით“ მომარაგების სურვილი. ამ ცნობამ საშინლად განარისხა საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირები და საქართველოს ელჩი ისრაელში, ვახტანგ ჯაოშვილი, დაუკავშირდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს იერუსალიმში და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს. ქართველებს გაუჭირდათ იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალების გადამდგარ გენერლებს იმ წარმონაქმნთან კავშირის სურვილი გაუჩნდათ, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას არ ულიარებია და რომლის მხარდამჭერთა შორისაა „ჰამასი“. რუსეთის გარდა, მსოფლიოს ქვეყნებიდან აფხაზეთი მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულზე მდებარე ქვეყანამ ნაურუმ აღიარეს. ამბობენ, რომ ნაურუმ აღიარებისთვის რუსეთისგან ათობით მილიონი დოლარი მიიღო, — წერს ოში მელმანი.

მისი თქმით, ქართველი ჩინოვნიკები იმანაც გააოგნა, თუ როგორ შეეძლო „გლობალს“, ასე ცინიკურად შეეთავაზებინა სამსახური საქართველოს მტრისთვის მაშინ, როდესაც თვითონ 2008 წლის ომამდე თბილისის სამხედრო კონსულტანტი იყო. ყველაზე მეტად საქართველოს მთავრობას იმის გაგება სურდა, მოქმედებდნენ თუ არა გენერლები ისრაელის მთავრობის თანხმობით.

— „გლობალმა“ და ზივმა კიდევ ერთხელ შეგვიქმნეს პრობლემები, — განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იმ გაუგებრობებზე მინიშნებით, რომლებიც აფრიკასა და სამხრეთ-ამერიკაში მოხდა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილე პინხას ავივიმ განაცხადა, რომ სამინისტრომ არაფერი იცოდა წინასწარ მოგზაურობის შესახებ.

— ინფორმაცია მედიის მეშვეობით მივიღეთ.□ჩვენ ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ არ ვაღიარებთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას და მისთვის არ დავუშვებთ არანაირი სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტს, — განაცხადა პინხას ავივიმ.

განცხადება გაიმეორა ისრაელის ელჩმა თბილისში იცხაკ გერბერგმა, რომლის თქმითაც, აფხაზეთთან დაკავშირებით ისრაელის პოზიცია ცხადია.

— ჩვენ არ ვაღიარებთ მას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ისრაელი მას არ მიჰყიდის შეიარაღებას. აფხაზეთში კერძო ბიზნესმენების ვიზიტი შესაძლებელია, მაგრამ ისინი ვერ ილაპარაკებენ ისრაელის მთავრობის სახელით და ვერ იქნებიან მისი წარმომადგენლები, — განაცხადა გერბერგმა.

თავდაცვის სამინისტროს პასუხი უფრო ორაზროვანი აღმოჩნდა. მის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ საკითხები, რომლებიც განიხილეს (ზივმა და კლიფიმ), არაფრით უკავშირდება სამხედრო სფეროს და, გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ლიცენზიები საერთოდ არ გაუცია.

სამინისტრომ განაცხადა, რომ ჩვეულებრივ ის არ იღებს წინასწარ ინფორმაციას ზივის უცხოური მოგზაურობების შესახებ და ის, როგორც წესი, არ გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას მისი გარიგებების შესახებ სხვადასხვა კომპანიასთან.

— „გლობალმა“ ცოტა მოგვიანებით გააცნობიერა ის, თუ როგორი უსიამოვნება გამოიწვია. კლიფიმ დაურეკა ავივის და მოგვიანებით ჯაოშვილსაც, ისრაელში საქართველოს ელჩსაც შეხვდა, რათა აეხსნა შეხვედრის მიზანი, რაც სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში ინვესტირების შესაძლებლობათა გარკვევა იყო.

„გლობალი“ არასდროს მოქმედებს ისრაელის სახელმწიფოსა და მისი საგარეო საქმეების საზიანოდ, ადვოკატების მეშვეობით განაცხადა კომპანიამ, — ვკითხულობთ სტატიაში.

ოშო მელმანის თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „გლობალმა“ და განსაკუთრებით ზევმა საერთაშორისო დიპლომატიურ ინციდენტში ამოყო თავი.

— 2009 წელს „გლობალი“ კაპიტან მუსა დადის კამარასთან, რომელიც იმ დროს დასავლეთაფრიკული ქვეყნის გვინეის დიქტატორი იყო, პრეზიდენტის გვარდიის შეიარაღების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. პროექტის ღირებულება 10 მილიონ დოლარს შეადგენდა და მოლაპარაკებები, რომლებშიც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, შლომო ბენ-ამიც მონაწილეობდა, თურმე ისრაელის თავდაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე მიმდინარეობდა. საბოლოოდ პროცესი საგარეო საქმეთა სამინისტროს ზეწოლით შეწყდა. სამთავრობო კომისიამ „გლობალი“ მთავრობის თანხმობის გარეშე ოპერირებისთვის დააჯარიმა, თუმცა კომპანიას იმის ნებართვა მისცა, რომ ამ თანხით მის თანამშრომლებს წვრთნები გაევლოთ და ისრაელიდან სამხედრო ექსპორტთან დაკავშირებული პროცედურები შეესწავლათ, — ნათქვამია წერილში.

მელმანი ზივის კოლუმბიურ თავგადასავალსაც ყვება. „გლობალი“ აქტიურობდა კოლუმბიაშიც, სადაც ბენ-ამის დახმარებით ქვეყნის სპეციალური და სადაზვერვო შენაერთების წვრთნის კონტრაქტი მიიღო. ამ შენაერთებს უნდა ებრძოლათ კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. აშშ-ის არმიის, ზივისა და „გლობალის“ სხვა კონსულტანტების დახმარებით კოლუმბიის მთავრობამ კარგად იმოქმედა, 2008 წელს გაბედული ოპერაცია ჩაატარა და გადაარჩინა პრეზიდენტობის კანდიდატი ინგრიდ ბეტანკური, რომელიც რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს ექვსი წლის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ. მაგრამ ამ ბოლო დროს გაირკვა, რომ იქაც კი, სადაც ზივმა ქება დაიმსახურა, ყველაფერი ისეთი ვარდისფერი არ ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.

ვიკილიქსის დოკუმენტებში, რომელიც ამას წინათ ვიკილიქსმა გამოაქვეყნა, კოლუმბიის მაღალი რანგის სამხედრო ჩინოვნიკები სასტიკად აკრიტიკებენ „გლობალს“ და იმასაც კი აცხადებდნენ, რომ „გლობალის“ თანამშრომლებმა მოიპოვეს კოლუმბიის არმიის საიდუმლო დოკუმენტები და რევოლუციური შეიარაღებული ძალებისთვის ამ ინფორმაციის მიყიდვას გეგმავდნენ.

სკანდალური ვიკილიქსის დოკუმენტებში ისიც გამოჩნდა, რომ აშშ-ის მთავრობა მძიმე ზეწოლას ახორციელებდა კოლუმბიისა და პანამის მთავრობებზე, რათა მათ არ გამოეყენებინათ „გლობალის“ მომსახურება. იმ მომენტისთვის კოლუმბიასთან „გლობალის“ კონტრაქტი ამოიწურა, ასე რომ, ზეწოლას აზრი აღარ ჰქონდა, მაგრამ პანამა დაჰყვა ვაშინგტონის მოთხოვნას და „გლობალთან“ ის 410-მილიონიანი კონტრაქტი გააუქმა, რომლის თანახმადაც, კომპანიას პანამის ჯარი უნდა გაეწვრთნა, — ნათქვამია სტატიაში.

# ამ ქვეყანაში უნაკლოდ არაფერი ხდება

## რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, ხოლო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი

გულიკო ბალა ე

პოლიტოლოგ ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, გირგვლიანის მკვლელობამ თავისი საქმე შეასრულა — ზვარაკად შეეწირა იმ ვითარებას, რომელიც იყო შექმნილი იმ პერიოდში.

დაღუპული ბიჭების ოჯახის წევრების აქტიურობამ, ხელისუფლებას მათი მკვლელობა რომ არ აპატიეს, პროცესი შეაჩერა.

ვახტანგ რჩეულიშვილი ფიქრობს, რომ გირგვლიანის მკვლელობის გამო შექმნილი საზოგადოებრივი აზრით შესაძლებელი გახდა ხელისუფლების შეჩერება — ხელისუფლებამ ეს სამოქმედოდ მიიღო.

რჩეულიშვილის თქმით, ხელისუფლებაში მყოფი ახალგაზრდული გუნდი უფრო მეტად რისკიანია. ისინი რადიკალურ რეფორმებს არ ერიდებიან, ამ ხელისუფლების მთავარ დამსახურებად კი საპატრულო პოლიცია მიაჩნია. მისი აზრით, საქართველოში პოლიცია რეალური ავტორიტეტია. თუმცა, რის ფასად დაჯდა ეს „ავტორიტეტი", ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— როცა სახელმწიფო პოლიტიკასა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაზეა საუბარი, იქ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი ერთად უნდა მოქმედებდეს, ერთსულოვანი უნდა იყოს. ამიტომაც მნიშვნელობა აქვს იმას, როგორ მოქმედებს გუნდი რევოლუციურ პირობებში, — განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, სხვა საქმეა, ხელისუფლებაში არსებული გუნდის მოქმედება მომავალში როგორ შეფასდება, ანუ მას შემდეგ, რაც სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებიდან წავლენ, რაც უეჭველია.

***— ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ სახელმწიფოს სათავეში მყოფი ახალგაზრდული გუნდის მოქმედებებს?***

— ხელისუფლებაში ახალგაზრდული გუნდი უფრო მეტად რისკიანია. მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას კი რისკი სჭირდება. 1972 წელს, საბჭოთა კავშირის დროს, როცა შევარდნაძე საქართველოს ცეკას პირველ მდივნად დაინიშნა, კორუფციასთან ბრძოლა იმით დაიწყო, რომ ყველა რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე შეცვალა, მათ ადგილზე კი ახალგაზრდები დანიშნა. რატომ? ახალგაზრდები თავიანთ მოსაზრებებს თავზე არ გახვევენ, რასაც ეუბნები, იმას აკეთებენ. ახალგაზრდა ძალიან დაუნდობელია. 25-30 წლის ახალგაზრდა ჯერ სახელმწიფო ინტერესის შესაბამისად იმოქმედებს, თავის შვილებს კი შემდეგ შეხედავს. ახალგაზრდა საკუთარ ტკივილსაც, ხალხის ტკივილსაც, ყველაფერს გვერდზე გადადებს და იმ საქმეს ტანკივით მიაწვება, რომლის გაკეთება პირველმა პირმა გადაწყვიტა, რაც სწორად მიაჩნია.

***— დაბრძენებული ადამიანები კარგად ვერ ასრულებენ დავალებებს?***

— მაგალითად, ჩემი ასაკის ადამიანმა შეიძლება უკან დაიხიოს. მე შეიძლება ჩემს სისწორეში ეჭვი შემეპაროს. ახალგაზრდული გუნდის უპირატესობა ისაა, რომ მას თავის მოქმედებაში ეჭვი არ ეპარება. მე შეიძლება ჩემს საკუთარ გადაწყვეტილებაში ეჭვი შემეპაროს, იმიტომ რომ ძალიან დიდი ფასია გადასახდელი ამა თუ იმ გადაწყვეტილების რეალიზაციაში, რეფორმისტული გუნდი კი ან ასე გადაწყვეტს, ან — ისე.

***— როგორ ფიქრობთ, ისტორია მათ ნამოქმედარს როგორ შეაფასებს?***

— სხვა საქმეა, ეს გუნდი რომ წავა (წავა, აბა, სულ მუდამ ხომ არ იქნება. ლიდერომანია დამთავრდება, საქართველოში საზოგადოება ზვიადისტებად, შევარდნაძისტებად, სააკაშვილისტებად აღარ იქნება დაყოფილი), სიტუაცია დალაგდება, როგორ შეაფასებენ ამ ახალგაზრდული გუნდის ნამოქმედარს. შემდეგ პოლიტიკური ბრძოლის ფორმა შეიცვლება. უმკაცრესი დაპირისპირება იქნება, მაგრამ პარლამენტის ჩარჩოებში. მიტინგები, გადატრიალებები აღარ იქნება. რეალურად ამას ხალხი ეგუება.

***— ამ ხელისუფლების რა მიღწევას გამოყოფდით?***

— აბა, ნახეთ, როგორია საპატრულო პოლიცია. საგზაო პოლიცია რომ არ მოგვწონდა, ნახეთ, საპატრულო პოლიციას ყველა როგორ ემორჩილება. სააკაშვილის კურსია თუ მერაბიშვილის კურსი, საქართველოში პოლიცია რეალური ავტორიტეტია. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი. ამავე დროს, ამას გირგვლიანის საქმე მოჰყვა. ე.ი. ამ ქვეყანაში უნაკლოდ არაფერი ხდება.



***— გირგვლიანისა და მისი მსგავსი საქმეების გარეშეც ხომ შეიძლებოდა გაკეთებულიყო საქმე?***

— შეიძლებოდა და სასურველი იქნებოდა. კარგი იქნებოდა, გირგვლიანი არ მოეკლათ (ღმერთმა ქნას, მსგავსი აღარ მოხდეს). ეს ტრაგედიაა, რომელსაც დედამისი ემსხვერპლა, ბაბუამისი ემსხვერპლა... რაც მოხდა, ყველას გვახსოვს, მაგრამ, მიუხედავად უზარმაზარი ტკივილისა, რომელიც არასოდეს განელდება ამ ოჯახებში, პარალელურად ვხედავთ, რომ ქვეყანა ფეხზე დადგა და, საბოლოო ჯამში, ისეთი პროდუქტი მივიღეთ, რომელიც მთელ საზოგადოებას სჭირდება.

***— რა პროდუქტი მივიღეთ?***

— პოლიციის ავტორიტეტის ამაღლება საზოგადოებაში და წესრიგის დაცვა. რეალურად, ჩვენ შევეჩვიეთ ამას. აბა, ნახეთ, რომელი მძღოლი დაგთანხმდებათ რიგიდან გამოსვლას და გვერდითა ხაზზე გადასვლას? ჩემ გვერდით უკვე აღარ არიან ასეთები. როგორ ეშინიათ? მეც კი ისე დავდიოდი, არაფერს ყურადღებას არ ვაქცევდი და არავინ მაჩერებდა.

***— ახლა გაჩერებენ?***

— თავს არ ვაჩერებინებ. ვცდილობ, არ გადავკვეთო ხაზი, არ დავარღვიო და არ გავაჩერებინო თავი. ერთხელ გამაჩერეს, რაღაც ხაზი გადავკვეთე და მითხრეს, ბატონო ვახტანგ, შენს საბუთებს... მე თვითონ იმდენად შევწუხდი, რომ იმის შემდეგ ვცდილობ, ყველა წესი დავიცვა. ეს ჩემნაირმა ადამიანმა, პოლიტოლოგმა, დადებითად უნდა შეაფასოს. როდესაც გირგვლიანის საქმეს ვაფასებ, ვხედავ, რომ გირგვლიანმა თავისი საქმე შეასრულა — ის ზვარაკად შეეწირა იმ პერიოდში არსებულ ვითარებას. საზოგადოებრივი აზრი მათ მხარეზე დადგა. ახლა ასეთი რაღაც აღარ მოხდება. ვისი დამსახურებაა ეს? გირგვლიანების ოჯახის — იმ გარდაცვლილი ქალის, ირინა ენუქიძის დამსახურებაა.

როცა ნასვამი მძღოლებისაგან ამერიკაში მრავალი ადამიანი დაზარალდა, იმ ადამიანებმა იტვირთეს საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება, რომელებსაც ავარიებში ოჯახის წევრები ჰყავდათ დაღუპული. ისეთი საზოგადოებრივი აზრი შექმნეს, რომ დღეს ამერიკაში მთვრალი მძღოლი ძალიან ძნელად თუ გაბედავს საჭესთან დაჯდომას. ამიტომაც გირგვლიანების ტრაგედიამ და მისგან გამოწვეულმა საზოგადოებრივმა რეზონანსმა პოლიციას შეაწყვეტინა ქუჩაში ახალგაზრდების ხოცვა... ან კიდევ, მეორე ბიჭი რომ დაიღუპა, საწყალი...

***— ვაზაგაშვილი, რობაქიძე...***

— დიახ, რობაქიძე...

***— ბატონო ვახტანგ, კიდევ უბედურება ისაა, რომ ყველა ისეთი ოჯახის შვილები დახოცეს, შთამომავლობა აღარ დარჩათ — უცოლშვილოები და დედისერთები იყვნენ და მათი მკვლელობით ოჯახები განადგურდნენ...***

— დაღუპული ბიჭების ოჯახის წევრების აქტიურობამ, ხალხის აქტიურობამ, მთავრობას ეს რომ არ შეარჩინეს, პროცესის შეჩერება გამოიწვია — ეს მთავრობამ სამოქმედოდ მიიღო. საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრება ასეთია. თუ საზოგადოებაში პროტესტის გრძნობა არ არის, ასეთ საკითხებზე საზოგადოებამ ხმა არ ამოიღო, მაშინ იმ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ, რაც ჩვენ გვინდა. ეს ისეთი პროცესია, რომ საზოგადოებამ რეაგირება უნდა მოახდინოს. ამაში ვხედავ საქართველოს გადარჩენას.

***— ე.ი. საზოგადოების, ოპოზიციის აქტიურობა აუცილებელია.***

— ოპოზიციას ცოტა შეცდომა მოუვიდა (როგორც მე მომივიდა შეცდომა), როცა სააკაშვილს რადიკალურად დაუპირისპირდა მაშინ, როცა მას დასავლეთი მხარს უჭერდა, ხოლო თვითონ ოპოზიცია ყველაფერში განწირული იყო. ამავე დროს, ოპოზიციის გარეშე ცხოვრება აბსოლუტურად სიკვდილისაკენ მიმავალი გზაა. ყველაფერი დადებითი ვერ იქნება, როგორი ჭკვიანი და კარგი პრეზიდენტი უნდა გყავდეს. კრიტიკა აუცილებელია. ადამიანი თავის გზაზე მიდიოდა და იმას ეუბნებოდნენ, უნდა გახსოვდეს, მომაკვდავი ხარ და ღმერთი არ ხარო. საზოგადოებისთვის აუცილებელია როგორც კარგი ხელისუფლება, ასევე — ოპოზიცია. ამიტომაც გვაქვს დღეს ასეთი პოლიტიკური სურათი. ოპოზიციაში ადამიანები ცხოვრებამ მიიყვანა. ვინ აღმოჩნდა ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსებიდან დღეს ყველაზე მომგებიან ვითარებაში? ქრისტიან-დემოკრატები, რომლებმაც ამერიკის რჩევა მიიღეს და პარლამენტში შევიდნენ. საბოლოო ჯამში, თუ სხვა პოლიტიკური ძალები ამ გაკვეთილს არ გაიაზრებენ და საპარლამენტო კანონიერი ბრძოლის გზას არ აღიარებენ, ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთ გზას არ გამოიყენებენ, ბურთი და მოედანი მხოლოდ მათ დარჩებათ, ვინც ევროპული ცივილიზებული გზით მიდიან — ალასანიასა და ქრისტიან-დემოკრატებს. ძალიან სწორი გააკეთა კონსტანტინე გამსახურდიამ, პარლამენტში რომ შევიდა. მე ძალიან დიდი პატივისცემა გამიჩნდა ამ ადამიანის მიმართ.

***— ზოგი მას ამის გამო აკრიტიკებდა...***

— მერე რა, აკრიტიკონ. კონსტანტინე გამსახურიამ თავისი საქმე ხუთიანზე გააკეთა, მამამისის დაღუპვის გარემოებების გამოძიებასთან დაკავშირებით კომისია შექმნა. რაც ამ ადამიანს აწუხებდა, იმაზე იმუშავა — არ ჩერდება არც ერთი წუთით, დასკვნა დადო. ოპოზიციაში ამას ოდესმე მიაღწევდა? ვერ მიაღწევდა. მე ამ ბრძოლას პატივს ვცემ. ის ოპოზიციაში ვერაფერს მიაღწევდა, გამოძიება ოპოზიციაში ყოფნით არ მოხერხდებოდა. მამამისის კარიკატურა გამოჩნდებოდა. ახლა გამოჩნდა ძალიან დაბრძენებულ პოლიტიკურ მოღვაწედ ჩემს თვალში. თუ პოლიტიკის კეთება გინდა, პარლამენტში უნდა იყო. როგორ შეიძლება გარედან პოლიტიკის კეთება. მეც ეს გზა გავლილი მაქვს. როდესაც არჩევნების წინა დღეს მაია სიიან ამოიღეს, ძალიან გავმწარდი და საარჩევნო კომისიის წინ ქუჩა გადავკეტე. პოლიცია მაგრად გვაწვებოდა. ამ დროს ჩემი მეგობარი მეუბნება, მოდი, ვახო, დავწვეთო. სად დავწვეთ-მეთქი? ქუჩაშიო. დავწვეთ და ხელს ვერ მოგვკიდებენო. ჩემი თავი იქ დაწოლილი რომ წარმოვიდგინე, ვუთხარი, აბა, წავედით სახლებში-მეთქი.

***— ბატონო ვახტანგ, მთავარი საკითხი, რომელიც ქვეყანას აწუხებდა და აწუხებს, ტერიტორიების დაბრუნებაა, რომელიც ვერც შევარდნაძის პერიოდში მოხერხდა და მით უმეტეს — ვერც სააკაშვილის დროს. რუსეთი, მაგალითად, აფხაზეთში, რასაც უნდა, იმას აკეთებს, სამხედრო ბაზის მშენებლობა გინდა თუ, ვთქვათ, სოჭის ოლიმპიადისთვის საშენი მასალების გატანა. თქვენ როგორ აფასებთ ამ კუთხით არსებულ სიტუაციას?***

— მიუხედავად ყველაფრისა, არავითარი დამოუკიდებელი აფხაზეთი არ არსებობს და არც ფიგურირებს. მაგალითად, აფხაზეთი რატომ არ მონაწილეობს დამოუკიდებლად ჩვენს ტერიტორიაზე ჩატარებულ ოლიმპიადაში? ეს ვისი წაგებაა? რუსეთის წაგებაა სწორედ იმიტომ, რომ არავითარი დამოუკიდებელი აფხაზეთი არ არსებობს. არც ერთი ოლიმპიური კომიტეტი დამოუკიდებლად აფხაზეთს არ ცნობს და მონაწილეობას არ მიაღებინებს.

***— ოლიმპიადაში აფხაზებს რუსეთი ხომ არ მიაღებინებს მონაწილეობას?***

— ვინ მიაღებინებს? აფხაზებს მონაწილეობას როგორ მიაღებინებს, რა, ამერიკა „აბსაიტშია"? როგორ გეკადრებათ. საბოლოო ჯამში, თუ სოჭში ოლიმპიადა ჩატარდება, ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას, ხოლო აფხაზები ვერ მიიღებენ. შეიძლება, რუსეთის გუნდში ითამაშონ, მაგრამ „დამოუკიდებელი" აფხაზეთი და „დამოუკიდებელი „სამხრეთ ოსეთი" ვერ იქნებიან. საკუთარ ტერიტორიაზე ალოკავენ თავისივე გადაფურთხებულს, როცა ვერ მიაღებინებენ მონაწილეობას.

რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, ხოლო აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ვერასოდეს იქნება დამოუკიდებელი, როგორც უნდა ეცადონ. ეს ყველაზე კარგად გაჟღერდება სოჭის ოლიმპიადაზე. ჩვენ გავიმარჯვებთ.

***— დევნილების დაბრუნება როგორ მოხდება?***

— ეს ჯერ არ მოხდება, მაგრამ დაფიქსირებულია, რომ ეს არის ოკუპირებული ტერიტორია და მომავალში ეს თავის შედეგს მოიტანს. ჩვენ ჯერ ის ტერიტორია ავაყვავოთ, რასაც ჩვენ ვაკონტროლებთ. ოკუპირებული ტერიტორია რუსეთთან დარჩება მანამ, სანამ არ მოხდება რუსეთის მომავლის განსაზღვრა. ბალტიისპირეთის ოკუპაციის ისტორია გახსოვთ? მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან, 1939 წლიდან რუსეთის ოკუპაციის დღიდან, დასავლეთი ბალტიისპირეთს აღიარებდა საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად. საბოლოო ჯამში, ბალტიისპირეთი გათავისუფლდა. დღეს მთავარია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიად აღიარეს. 20 წლის შემდეგ იქნება თუ 30 წლის შემდეგ, ეს ტერიტორია დაგვიბრუნდება.

***— ანუ რუსეთის მიერ წართმეული ტერიტორიების ოკუპირებულად აღიარება მათი დაბრუნების შანსია?***

— დიახ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულად აღიარება არის ამ ტერიტორიების დაბრუნების შანსი. როგორც დააბრუნეს ბალტიისპირეთი, ისე დავგვიბრუნდება ტერიტორიები ჩვენც. ამიტომ სჯობს, ჩვენც ისევე ოკუპირებული კი არ აღმოვჩნდეთ, როგორც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მასთან კი არ გავერთიანდეთ, არამედ დავუცადოთ, სანამ აფხაზეთი, ცხინვალი არ გათავისუფლდება. სხვა ისტორიული გზა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნებისა არ არის. რაც მთავარია, კეთილი ურთიერთობა გადარჩენილია. თუ ერთი თაობა, ომში ჩართული თაობა შერიგებას ვერ მოახერხებს, მომავალი თაობა თვითგადარჩენის მიზნით საქართველოსთან ყოფნას აირჩევს. ამას აფხაზები თავიანთი თვითგადარჩენის მიზნით გააკეთებენ. აფხაზები საქართველოზე ორიენტაციას იმიტომ კი არ აირჩევენ, რომ საქართველოს გადარჩენა უნდათ, თავიანთი თვითგადარჩენის ინსტინქტიდან გამომდინარე იმოქმედებენ. უფალმა ზოგი სახელმწიფო იმპერიად გააკეთა, ვთქვათ, ამერიკა, რუსეთი და ა.შ. ზოგი — პატარა სახელმწიფოდ შექმნა, — ზოგი — ავტონომიად. აფხაზების ხვედრი ავტონომიურობაა, იმიტომ რომ რეალურად მათ არ აქვთ ადამიანური რესურსი. 10 ათასი კაცით დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იქნება. ჩვენ არ გვაქვს იმპერიის რესურსი — 3-4 მილიონი ადამიანით იმპერია არ იქმნება. რუსეთს არ აქვს ზესახელმწიფოს რესურსი, იმიტომ რომ ადამიანური რესურსი არ ჰყოფნის, მაგრამ რუსეთს აქვს რესურსი, იყოს ძლიერი სახელმწიფო. ჩვენ გვაქვს რუსურსი, ვიყოთ ნორმალური სახელმწიფო, ხოლო აფხაზებს აქვთ რესურსი, ჰქონდეთ ავტონომია. ეს ყველაფერი პოლიტიკური რეალიზმიდან გამომდინარეობს. მსოფლიო ისტორია სახელმწიფოების ისტორიაა და სანთელ-საკმეველი თავის გზას იპოვის. ყველაფერი, რაც ვარდება ამ თეორიიდან, არ განხორციელდება.

# ვანო მერაბიშვილმა ძველი თბილისის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ძველი თბილისის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა.

შსს-ს ცნობით, შენობის გახსნას ესწრებოდნენ თბილისის მერი გიგი უგულავა, სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ალიკ სარქისიანი, ლიტვის შინაგან საქმეთა მინისტრი რაიმუნდას პალაიტისი და უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დელეგაცია.

თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე პოლიციის ახალ შენობაში ძველი თბილისის რაიონის სამმართველო და ამავე რაიონის პოლიციის მე-7 განყოფილება განთავსდება. ახალ შენობაში პოლიციის 70 თანამშრომელი იმუშავებს და სოლოლაკის მოსახლეობას მოემსახურება.



პოლიციის აღნიშნული განყოფილება, მსგავსად სხვა შენობებისა, გამჭვირვალეა. უახლოეს მომავალში თბილისში აშენდება და ფუნქციონირებას დაიწყებს პოლიციის კიდევ სამი ახალი შენობა. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილია.

2008 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის სხვადასხვა რაიონებში ააშენა და აამოქმედა პოლიციის განყოფილების ჩვიდმეტი ახალი შენობა, რომლებიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და გამჭვირვალეა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პატრიარქს მოოქროვილი წიგნი აჩუქეს

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ფოკანის სახელოსნოებში შექმნილი მოოქროვილი წიგნი „შვიდგზის ლოცვანი" საჩუქრად გადაეცა. ამ წიგნის შექმნაზე იუბილარი სახელოსნოების ხუთი ოსტატი მუშაობდა. წიგნის სრულად მოოქროვებისთვის 280 გრამი ოქრო დაიხარჯა, კალიგრაფმა კი შვიდგზის ლოცვანი ნუსხა-ხუცურით გადაწერა. წიგნის შემქმნელებმა გაითვალისწინეს დროის ფაქტორიც და თითოეული გვერდი ხელით გადაწერეს, რაც წიგნის საუკუნოვან გამძლეობაზე მეტყველებს.



სასტუმრო „რედისონში" „ფოკანის სახელოსნოების" 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოფენა მოეწყო. საქართველოს პატრიარქისთვის მიძღვნილი შვიდგზის ლოცვანი „ფოკანის სახელოსნოების" სხვა ნამუშევრებთან ერთად „რედისონში" გამოფინეს.

ქართული ტიხრული მინანქრის, ოქრომჭედლობისა და კერამიკის სახელოსნოების მაღაზიათა ქსელის „ფოკანის" ნამუშევრების გამოფენა მისმა უწმინდესობამ გახსნა. მან უნიკალური ნამუშევრების ავტორებს სთხოვა, ისეთი ფასი დაედოთ საკუთარი შედევრებისთვის, რომ მათი შეძენა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ექსპოზიციის გახსნას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მინისტრთა კაბინეტი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და სხვა ოფიციალური პირები და სტუმრები ესწრებოდნენ.

„ფოკანის სახელოსნოები" 2001 წელს დაარსდა. ქართული ტიხრული მინანქრის კეთების უძველესი ტრადიციების აღდგენის მიზნით საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით და ფოკას წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის იღუმენია ელისაბედის ძალისხმევით მონასტერში ამ ტრადიციების აღდგენა დაიწყო, დავით კაკაბაძის ხელმძღვანელობით კი იქვე დაარსდა ტიხრული მინანქრის სახელოსნო „ფოკანი". მას შემდეგ ფოკანის სახელოსნოების შემოქმედებითი სფერო გაფართოვდა — 2005 წელს მუშაობას შეუდგა ფაიფურის სახელოსნო, 2007 წელს — მოზაიკისა და მიკრომოზაიკის სახელოსნო, 2010 წლიდან კი სამკაულების დამზადება დაიწყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი ღვაწლის წყალობით, ქართული მინანქრის ნაკეთობების ევროპაში გახიზნული დიდი ნაწილი საქართველოში დაბრუნდა და დღეს ქართული საგანძურის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს.

იუბილარი სახელოსნოების ნამუშევართა ექსპოზიცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო და ფოკანის სახელოსნოების დაარსებიდან 10 წლის იუბილეს მიეძღვნა. ეს გამოფენა ორი წლის განმავლობაში პირველია, მიუხედავად იმისა, რომ „ფოკანის სახელოსნოები" უკვე 10 წლისაა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ათი წლის განმავლობაში ფოკანის სახელოსნოებში შექმნილი საუკეთესო ნამუშევრები როგორც კერძო კოლექციებიდან და საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებიდან, ასევე მათთან ერთად დამთვალიერებელმა ნახა ახალი ნაკეთობებიც — მინანქრით, მიკრომოზაიკითა და ძვირფასი თვლებით მორთული ნივთები და ხელით მოხატული ფაიფურის ჭურჭელი.

როგორც „ფოკანის" ხელმძღვანელმა დავით კაკაბაძემ აღნიშნა, მათი სახელოსნოების მიზანია, ქართულ საიუველირო წარმოებას უნიკალური თვითმყოფადობა დაუბრუნოს, აღადგინოს ძველი ქართული ხელოვნების მოტივები, განუმეორებელი მოხაზულობა და ორნამენტიკა და მაქსიმალურად გაავრცელოს მომხმარებლებში თავისი ახალი-ძველი სტილით ნაკეთი პროდუქცია. ფოკანის სახელოსნოები ორი ძირითადი მიმართულებით მუშაობს — საეკლესიო და საერო წარმოებაში.

„ფოკანის" სახელოსნოების ნაკეთობების მთავარი განმასხვავებელი თვისება უძველესი ქართული ორნამენტისა და საიუველირო ხელოვნების ნიმუშების სტილის დაცვა, მის საფუძველზე როგორც ტრადიციული კანონიკური წესების დაცვით საეკლესიო ნაკეთობების, ასევე თანამედროვე სამკაულების შექმნაა. ამით ფოკანი ტრადიციებს ახალ სიცოცხლეს სძენს.

დღეს საიუველირო საწარმო „ფოკანის სახელოსნოები" უკვე საკმაოდ პოპულარულია როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მან უკვე მიიღო ჯეროვანი აღიარება — 2011 წლის „ბასელვორდზე" და წარმატებით შეუდგა ბრენდისა და თავად ნატიფი ხელოვნების განვითარებას საქართველოში.

„ფოკანის სახელოსნოების" საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი საეკლესიო ნაკეთობები სამების საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოველში, უწმინდესისა და უნეტარესის საკუთრებაში, გეთსიმანიაში (მცხეთა), სამთავროს, ბოდბის, ფოკას მონასტრებსა და ზარზმაში მეუფე პეტრეს რეზიდენციაშია დაცული.

# საქართველოში, შესაძლოა, საწვავის ფასმა დაიკლოს

საერთაშორისო ბაზარზე ნავთობსა და ნავთობრპოდუქტებზე ფასების კლების გაგრძელების შემთხვევაში საწვავის ფასი საქართველოშიც დაიკლებს. ამგვარ პროგნოზს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი აკეთებს.

კავშირში აღნიშნავენ, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში საერთაშორისო სასაქონლო ბირჟებზე ნავთობსა და ნავთოპროდუქტებზე ფასების შემცირება დაფიქსირდა, საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ცვლილება კი საქართველოს შიდა ბაზარზე 2-3 კვირის შემდეგ აისახება.

— თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო თვეების განმავლობაში როგორც მსოფლიო ბაზრებზე, ასევე შესაბამისად საქართველოში საკმაოდ მაღალ ნიშნულზე იდგა საწვავის ფასები, ჩვენი კავშირის წევრი კომპანიები ითვალისწინებენ რა სოციალურ ფაქტორებს, აცხადებენ, რომ თუ მომდევნო კვირის დასწყისში კვლავ გაგრძელდება ფასების კლება, კომპანიები უკვე მომავალ კვირაშივე მოახდენენ ბენზინისა და დიზელის საწვავზე ფასების შემცირებას, — აცხადებენ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირში.

აქვე განმარტავენ, რომ ზოგადად საქართველოს შიდა ბაზარზე ფასების დინამიკა მთლიანად არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზრებზე არსებულ კონიუქტურაზე.

ინტერპრესნიუსი

# საქართველოში ინვალიდი ბავშვების უფლებები ირღვევა

ნათია ხურცილავა



**ინტერვიუ არასამთავრობო ორგანიზაცია „მზრუნველი მშობლები ინვალიდი ბავშვებისთვის" თავმჯდომარის მოადგილე მზია ქველაძესთან**

***— ქალბატონო მზია, თქვენ როგორც მშობელმა, რატომ გადაწყვიტეთ, რომ მსგავსი ორგანიზაცია შეგექმნათ?***

— ამ ორგანიზაციის შექმნა მშობელთა ინტერესებიდან წამოვიდა. დროთა განმავლობაში მშობლებს უკვე ინდივიდუალურად უჭირდათ იმ პრობლემების გადაჭრა, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები მოდიან და თავიანთ გულისტკივის გამოხატავენ. ჩვენი ორგანიზაცია ითვალისწინებს მშობლებისადმი ინდივიდუალურ დახმარებას. ჩვენთან, რუსთაველზე, კინოს სახლში შეუძლიათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები მოვიდნენ და თავიანთი პრობლემების შესახებ მოგვიყვნენ, ჩვენ ვეცდებით, რომ მათი გასაჭირი მივიტანოთ სახელმწიფომდე.

***— რა პრობლემები გაქვთ?***

— წელს განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა. ქალაქის საკრებულოდან გამოვითხოვეთ იმ პროექტების ნუსხა, რომელიც დაფინანსებული უნდა იყოს. გაირკვა, რომ მხოლოდ საზაფხულო დასვენება იქნება დაფინანსებული 12 დღის განმავლობაში. შარშანდელთან შედარებით რაოდენობა შემცირდა. იმდენი ბავშვი ველარ დაისვენებს წელს, რამდენმაც თუნდაც შარშან დაისვენა. ხაზგასმული იყო, რომ ეს პროგრამა შექმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. თუცმა, ქალაქის მერიამ მოგვწერა, რომ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი დაკმაყოფილებული იქნება. თუმცა, ქალაქში 18 წლამდე 1805 ბავშვია. ამ მონაცემის ოფიციალური დოკუმენტი არსებობს. ამ ციფრში შედის ყველა კატეგორია, მხოლოდ ცერებრალური დამბლა არა, სმენადაქვეითებული, მხედველობის არმქონე, ყველა კატეგორია. საერთოდ, საქართველოს მასშტაბით საპენსიო ასაკამდე 12 ათასია. საკმაოდ დიდი ციფრია.

***— რა ეკუთვნით ამ ბავშვებს და რას აკეთებს სახელმწიფო?***

— ამ ბავშვებს მხოლოდ 80 ლარი აქვთ პენსია. მხოლოდ გარკვეულ ნაწილს აქვს და ყველას არა 22-ლარიანი სოციალური დახმარება.

***— 22-ლარიან დახმარებას ყველა ვერ იღებს?***

— ვერა, თანაც ეს არის მხოლოდ ქალაქის მასშტაბით. თუ მოხვდა სიღარიბის ზღვარს მიღმა 57 ათასიან ქულაში, მაშინ 22 ლარი ეხსნება. არიან მშობლები, ვინც გადაამოწმეს და აღმოუჩინეს, რომ სახლში აქვთ, მაგალითად, თანამედროვე ტექნიკა. ჩვენთან არის ერთი მრავალშვილიანი ოჯახი, რომელიც იბრძვის, რომ არ მოუხსნათ ეს სტატუსი. სამი ოჯახი ერთ ბინაში ცხოვრობს, ოთხი შვილი ჰყავთ და მრავალშვილიანი სტატუსი მოუხსნეს. ეს ოჯახი მხოლოდ ბავშვების პენსიაზეა დარჩენილი. ორივე ბავშს ცერებრალური დამბლა აქვს. ასევე არიან მძიმე კატეგორიის ბავშვები, რომლებიც მედიკამენტოზურ მკურნალობას საჭიროებენ. რადგან დედამ ვერ გაიმეტა, რომ შვილი ჩააბაროს ბავშვთა სახლს, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო არ უნდა დაეხმაროს. სახელმწიფო გვეუბნება, ჩავაბაროთ ეს ბავშვები ბავშვთა სახლებს, თან უნდათ, რომ ბავშვთა სახლებიდან გამოიყვანონ და ოჯახებში დააბრუნონ. ოჯახებს კი 300 ლარს უხდიან. გასაკვირია, მე დედას, რატომ მაძლევს 80 ლარს. არიან ბავშვები, რომლებიც უმძიმეს მდგომარეობაში არიან, ვერ ხევდავენ, არ ესმით, რეფლექსების დონეზე არიან, მაგრამ დედა ვერ იმეტებს, რომ ბავშვთა სახლს ჩააბაროს. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი შრომაა ჩადებული ამ ბავშვების მოვლა-პატრონობაში. არიან ოჯახები, რომლებსაც არც სახლი დარჩათ, არც კარი — ყველაფერი გაყიდეს; სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძვიან, რომ როგორმე გადაარჩინონ ეს ბავშვები.

***— ამ ბავშვებისთვის თუ არსებობს ქალაქში, მაგალითად, პანდუსი, ხმოვანი შუქნიშნები? რა პრობლემებს აწყდებით, როდესაც მათი გადაადგილება გიწევთ?***

— მაგალითად, ეს ხომ არის თბილქალაქ პროექტის შენობა, რომ ამოვედი, ვნახე ორი რელსია დაწებებული კიბეზე, სასაცილოა. მე პროფესიით არქიტექტორი ვარ და შემიძლია ვთქვა, ქალაქში ვერ ნახავთ რეალურ პანდუსს, რომელიც მართლა უზრუნველყოფს ასეთი ადამიანის გადაადგილებას. პანდუსი უნდა იყოს 30-გრადუსიანი დახრით, რომ მასზე ეტლის აყვანა მოვახერხო. ვინც ეტლს არის მიჯაჭვული, იქ უკვე წონის პრობლემა არის, ამდენად, ეს პანდუსი ვერ უძლებს. ქალაქში გადასასვლელი ხიდები რომ გააკეთეს, პანდუსებია და ორი თხელი რელსი დადეს. 45-გრადუსიანი დახრაა, არ არსებობს, იქ ეტლიანი ბავშვი ავიდეს, ან აიყვანო, ან ჩამოიყვანო, ეს წარმოუდგენელია.

***— გამოდის, ფორმალურად არის?***

— დიახ, ფორმალურად არის. რადგან არანორმალური ძალის პატრონი უნდა იყო, რომ აიყვანო და თუ აიყვან, ჩამოყვანის დროს შეიძლება დაილეწოს ბავშვი.

***— რაც შეეხება ტრანსპორტს?***

— ეს კატასტროფაა, რომ გინდოდეს, ეტლიანი ბავშვი სადმე წაიყვანო, ამას ვერ გააკეთებ. გასულ კვირას მქონდა შემთხვევა, ერთ-ერთ ღონისძიებაზე ვიყავით დაპატიჟებული, რომელიც სკოლამ გამართა, სადაც ეტლიანი ბავშვები მოიყვანეს, იმ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, საიდანაც ავტობუსები (პანდუსიანი) იქირავეს, ერთ საათში 30 ლარი მოითხოვეს. თუ ავტობუსს პანდუსი არ აქვს, ვერ აიყვან, თუ პანდუსი აქვს, მხოლოდ სამი ეტლი ეტევა. ხომ შეიძლება ქალაქს ჰქონდეს ისეთი ავტობუსი, სადაც, მაგალითად, ათი ეტლი დაეტევა, რომ მიხვიდე, განაცხადი გააკეთო და დაიქირავო. რაღაც ღონისძიებაზე ხომ უნდათ ამ ბავშვებს დასწრება.

***— სკოლებში თუ არის პანდუსები, ამ მიმართულებით რა პრობლემები გაქვთ?***

— სულ ორი სკოლა არის, რომელსაც ჰყავს ავტობუსი და ხუთი ეტლი ეტევა. ეს არი მე-10 და 180-ე სკოლები. დანარჩენ სკოლებს არ აქვთ. ლიფტი მხოლოდ სამ სკოლას აქვს. არც აქვთ სურვილი, რომ ამაზე იფიქრონ. დაიწყეს პროექტი, რომელსაც „ნორვეგიასთან ურთიერობის პროექტი" ჰქვია. ნორვეგიელები ცდილობენ, მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს ამის იქით არაფრის გაგრძელება აღარ უნდა. ხომ შეიძლება განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ერთ სკოლაში მაინც გააკეთოს ლიფტი, ამით ხომ შემსუბუქდება ცოტათი მაინც მდგომარეობა, მაგრამ არა და როგორც ჩანს, არც აპირებენ. არის რამდენიმე სკოლა, რომელიც ნამდვილად საჭიროებს ლიფტს. სულ პირველს სართულზე ხომ ვერ იქნებიან, კლასების მიხედვით ზედა სართულებზე უწევთ ასვლა, როგორ უნდა გადაადგილდნენ? ამიტომ სკოლის დირექცია იძულებულია, რომ ველარ მიიღოს ბავშები და ურჩევნიათ, რომ მშობლებს უარი უთხრან ბავშვების მიღებაზე. სკოლებს, იმ დაწესებულებებს, სადაც კულტურული ღონისძიებები ტარდება, პანდუსები არ აქვთ. მაგალითად, კინოთეატრ „ამირანში" შეიძლება შეიყვანო ეტლით ბავშვი, ამბობენ, რომ ფილარმონიაშიც გაკეთდაო, მაგრამ მე არ მინახავს.

***— კიდევ თუ არის ისეთი დაწესებულება, სადაც პანდუსი არის?***

— მაგალითად, მარჯანიშვილის თეატრში შეიძლება ეტლიანის მიყვანა. ადრე ოპერისა და ბალეტის თეატრში ხერხდებოდა შეყვანა, მაგრამ ახლა რემონტზეა. მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის სასახლე არ არის ადპტირებული. მე არ ვსაუბრობ ჩვენს შვილებზე, პრეზიდენტს სტუმარი რომ ჩამოუვიდეს, რომელიც ეტლში ზის, როგორ მიიღებს ან როგორ დაათვალიერებინებს სასახლეს. როდესაც ჩვენ დაგვპატიჟეს, მე ხელში მყავდა ჩემი შვილი აყვანილი და ისე მოვატარე. სტუმარსაც ხელში ხომ არ აიყვანს. რაც შეეხება გადასავლელებს, არც ეს არის. ხმოვანი შუქნიშნები არ შემხვედრია. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, კომუნისტების დროს უფრო იყო ყურადღება. მაგალითად, მეტროში ვერ ჩავიყვან ეტლით ბავშვს. ორი დღის წინ ვიყავი მერიაში და ვნახე, რომ პანდუსი არის. როგორც ჩანს, ახლა მოახერხა, საკრებულოს, პარლამენტს არ აქვს.

***— თქვენი მოთხოვნა რა არის?***

— ჩვენ ვითხოვთ სამედიცინო დაზღვევას ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე. მიუხედავად იმისა, არის თუ არა მოხვედრილი სოციალურად დაუცველ ფენაში. ასევე ვითხოვთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ფსიქროტროპულ პრეპარატებს მის დაფინანსებას, ნაწილობრივ მაინც. ასევე ვითხოვთ, ფორმა ასი უფასოდ გაიცეს ამ ბავშვებისთვის. ყველა ბავშვი იყოს დაკმაყოფილებული საზაფხულო სარეაბილიტაციო საგზურებით. იყოს ქალაქში ავტობუსები, რითაც შეეძლებათ ამ ბავშვებს გადაადგილება. ასევე ინკლუზიური სწავლების პროექტში ჩართული სკოლები აღჭურვილი იყოს ლიფტებით. გაკეთდეს ქალაქში შუქნიშნები. ასევე ვითხოვთ, გადასასვლელებზე დამონტაჟდეს ისეთი სისტემა, როდესაც ღილაკზე თითის დაჭერის დროს შესაბამისად შეჩერდება მოძრაობა. მაგალითად, რუსთაველის პროსპექტზე ვერ გადავა ეტლიანი, ვერ მივა ვერც თეატრში, ვერც ოპერაში, ვერც ტაძარში. მოვითხოვთ, დაცულ იქნან მეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები, რომ არ მოყვნენ სამსახურში შემცირებებში. ვინც განსაკუთრებით საჭიროებს სოციალურ დახმარებას, მას მეტი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსგან ფულადი დახმარება. ასევე მინდა ყურადღება გავამახვილო წამლის ვაუჩერებზე, სადაზღვევო კომპანიები წამლებს ნუ დაგვიკონკრეტებენ, რადგან იქ ჩამოწერილი წამლები იმდენად იაფია, რომ იმას იყიდის ყველა მშობელი, უკეთესია ის თანხა პირადად გადაეცეს ოჯახს. რთული სიტუაციაა, მაგრამ სახელმწიფო ვალდებულია, რომ ამ ადამიანების ცხოვრება შეუმსუბუქოს, ეს ვალდებულება სახელმწიფოს აქვს.

# ავთანდილ ვარსიმაშვილი: „თავს არ ვიმართლებ!“

ეკა ირემაშვილი



გრიბოედოვის თეატრის დასი და მისი ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი რუსეთში რიგით მეცამეტე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალ „ბალტიის სახლზე“ იმყოფებოდა. გრიბოედოვის იუბილარმა თეატრმა, რომელსაც წელს 165 წელი შეუსრულდა, ფესტივალზე ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი „გეტო“ წარადგინა. რუსეთში ქართული თეატრალური დასის გასტროლებს საქართველოში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა — ზოგმა მათი საქციელი გაამართლა, ზოგმა კი გააკრიტიკა და ოკუპანტ ქვეყანაში ჩასვლის გადაწყვეტილების მიღება დაუწუნა.

როგორც ავთანდილ ვარსიმაშვილი ამბობს, თავის მართლებას არ აპირებს, მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ რუსეთი ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყანაა, მათ წინააღმდეგ კი ყველამ ჩვენი საქმით უნდა ვიბრძოლოთ.

**ავთანდილ ვარსიმაშვილი, გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელი:**

— ეს არის საერთაშორისო ფესტივალი „ბალტიის სახლი“, რომელიც ტარდება ყოველწლიურად. მასში მონაწილეობას იღებს მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი თეატრალური დასი. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მასში რუსეთი საერთოდ არ იღებს მონაწილეობას, უბრალოდ, რუსეთის ტერიტორიაზე ტარდება. ეს არის რუსულენოვანი თეატრების ფესტივალი. ორგანიზატორი იყო რუსეთი, მაგრამ ეს არ არის გასტროლები რუსეთში.

***— რატომ წახვედით ამ ფესტივალზე?***

— იმიტომ რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ფესტივალია. ეს არის შეხვედრა იმ კოლეგებთან, რომლებიც რუსეთს მიღმა მუშაობენ. მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მივიღოთ მონაწილეობა ფესტივალებში, შეხვედრებში, ისევე, როგორც სპორტსმენებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ოლიმპიადებში.

***— ამის გამო ქართველმა საზოგადოებამ რომ გაგაკრიტიკათ, იცით?***

— ეს რომ ყოფილიყო კომერციული გასტროლები, მაშინ ამ კრიტიკას მივიღებდით და ვიქნებოდით კიდეც გასაკიცხები და არაწესიერი ადამიანები, მაგრამ, როცა ჩადიხარ და ჩაგაქვს შენი კულტურა, თან უჩვენებ მათ, რომ შენ მათზე ძლიერი ხარ, არ შემეშინდება ამის ხმამაღლა თქმის, პირიქით, ეს ძალიან საამაყო მისიაც არის. ქართული თეატრი ასი თავით მაღლა დგას, ვიდრე რუსული თეატრი. მაქვს კავშირები და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ ამას.

***— როგორ მიგიღეს რუსებმა?***

— მოდიონენ მათი კრიტიკოსები, მაყურებლები, ჟურნალისტები, კოლეგები და გვაფასებდნენ ძალიან დადებითად.

***— ანუ თავს არ იმართლებთ?***

— აბსოლუტურად არ ვიმართლებ თავს. არ დაგავიწყდეთ, იქ რამდენი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. იმ თანამემამულეებს უნდა ვუჩვენოთ ჩვენი სპექტაკლები და ტკივილები. ასეთი ფორუმების დროს ჩასვლა აუცილებელია. რუსული პრესა მეკითხებოდა, როგორ ვუყურებდი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას. არ დამიმალავს, რომ ჩვენ ჩავედით მტრულ ქვეყანაში, მაგრამ, ჩავედით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ ჩვენი ნამუშევრები, ვაჩვენოთ ჩვენს თანამემამულეებს ჩვენი სპექტაკლი და ისინიც დარწმუნდნენ, რა შეგვიძლია.

***— ამ ფესტივალის ხშირი სტუმარი ხართ?***

— საკმაოდ ხშირად ჩავდიოდი, მაგრამ ომის შემდეგ პირველად ჩავედი. ორი წელიწადი არ ჩავდიოდი, მაგრამ წელს იმდენად კარგი ქვეყანა იყო ჩამოსული, არ უნდა გამოგვეტოვებინა. ასეთი ფორუმები ხელიდან არ უნდა გავუშვათ. დიდი ყურადღებით უნდა შევხედოთ ჩვენს გასვლებს იქითკენ. ეს რომ კომერციული გასტროლები ყოფილიყო ან პუტინის სასარგებლო აქცია, ან პოლიტიკური სარჩული სდებოდა, მაშინ არავითარ შემთხვევაში არ მივიღებდით მონაწილეობას, მაგრამ, როცა თეატრალური სამყაროს თავყრილობა და შეჯიბრებაა, მაშინ აუცილებლად უნდა წავიდეთ და ყველას დავანახვოთ, რა შეგვიძლია.

***— რატომ აირჩიეთ გეტო?***

— გრიბოედოვში ბევრი კარგი სპექტაკლია, მაგრამ გეტო იმით არის კარგი, რომ აქ არის არაჩვეულებრივი მუსიკა სოსო ბარდანაშვილის, ჩვენი თანამემამულის. ეს არის მუსიკალური სპექტაკლი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სპექტაკლი დააინტერესებდა რუს მაყურებელს და ასეც მოხდა. შეიძლება, უკეთესი სპექტაკლებიც გვაქვს, მაგრამ სოსოს მუსიკა ძალიან მომწონს, თან სპექტაკლში იმაზეა ლაპარაკი, რომ თეატრი ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი რამ არის. ეს სპექტაკლი იმ კითხვებსაც პასუხობდა, თუ რატომ ჩავედით პეტერბურგში. ვფიქრობ, სწორად გავთვალე.

***— როგორი იყო რეაქცია?***

— იცით, რამხელა მიღება და შეხვედრა გაგვიმართა ჩვენმა ქართულმა დიასპორამ ჩვენი სახელოვანი ბალერინას ირმა ნიორაძის ხელმძღვანელობით? ფატი წერეთელმა, არაჩვეულებრივმა ქალბატონმა, თავის სახლში გვიმასპინძლა. საკმაოდ ბევრი ადამიანი მოდიოდა და მადლობას გვიხდიდა იმისათვის, რომ იქ ჩავედით და ვითამაშეთ. ხაზგასმით და პირველად ვამბობ ხმამაღლა, რომ რუსეთი ჩვენი მტერი ქვეყანაა, მაგრამ მტერთანაც საჭიროა საუბარი, ყველა ფრონტზე ბრძოლა. ჩვენი მხრივ, ეს არის კულტურის ფრონტზე ბრძოლა. მე არ ვარ დიპლომატი და ვერ დავიწყებ განცხადებების გაკეთებას. მე შემიძლია, სპექტაკლებით ვიბრძოლო. ეს ბრძოლაა, როცა ჩადიხარ და ებრძვი მათ, თუნდაც ვილაცას რომ გაალიზიანებ იმით, რომ მასზე უკეთესი ხარ.

***— ეს იგრძენით?***

— კი, ეს ვიგრძენი განხილვების დროსაც. იცით, როგორ იყო? პროფესიონალურ შენიშვნებსაც რომ ვერ გაძლევენ და მორალურ მხარეზე აკეთებენ აქცენტს. როცა ასეთი საუბარი იწყება, ე.ი. ისინი გალიზიანებულები არიან. ღიზიანდებიან, როცა სპექტაკლის შემდეგ მაყურებელი დიდხანს ყვირის „ბრავოს“. ყველა ჩვენგანმა უნდა იბრძოლოს თავის ფრონტზე. ჩვენი ბრძოლის ველი კულტურის ხაზია. ეს არის ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყანა და ჩვენც შესაბამისად უნდა ვუპასუხოთ. არწასვლა, დამალვა და ენის გამოყოფა უფრო პასიური და ცუდი მდგომარეობაა. არც ერთ ჩვენგანს იქ არ დაუწყია საქართველოს ლანძღვა და რუსეთის ქება. რუსეთის პრესისთვის მიცემულ ყველა ინტერვიუში პირდაპირ ვამბობ — „თქვენ ხართ ჩვენი მტერი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ ჩამოვედით“. მიუხედავად იმისა, არასოდეს დამიმალავს ბოლო 7 წლის მანძილზე, რომ ვარ ამ ხელისუფლების მეგობარი, არასოდეს საჯაროდ დეკლარირება არ გამიკეთებია იმისი, რომ ჩვენი ხელისუფლება კარგი და არაჩვეულებრივია. ვთვლი, რომ ყველამ თავის პროფესიაში უნდა აკეთოს საქმე. პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ. როცა მოდიოდნენ და რაღაცს მეკითხებოდნენ სააკაშვილზე, მსოფლიოს ვერც ერთი ადვოკატი ვერ ილაპარაკებს იმდენ კარგს ჩვენს ხელისუფლებაზე, რამდენიც მე ვილაპარაკე. ვამბობდი, თქვენს მახინჯ ხელისუფლებას მიხედეთ, ლილიპუტების ქვეყანას, რომელმაც დაიპყრო ეს ქვეყანა და ვერ გასუნთქებენ წესიერად-მეთქი.

***— შემოთავაზებები მიიღეთ?***

— შემოთავაზებები სულ მაქვს რუსეთიდან, ახლაც ბევრი წინადადება მაქვს სპექტაკლების დადგმასთან და გასტროლებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ შედის ჩემს ინტერესებში. მაშინ გამოვა, რომ ჩავდივარ რუსეთში ფულის გასაკეთებლად და დავემსგავსები ზოგიერთ ოპოზიციონერს, რომელიც რუსეთში მხოლოდ იმისთვის ჩადის, რომ ფული აიღოს. ეს მე არ მინდა.

***— ანუ უარს ამბობთ?***

— კი, უარს ვამბობ. თქვენს მოსვლამდე 15 წუთით ადრეც იყო ზარი სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით.

***— ფესტივალში მონაწილე ქვეყნებმა მიგიწვიეს თავისთან?***

— განსაკუთრებით დაინტერესდა ბალტიისპირეთი. ამიტომ მოვაწერე ხელი ესტონეთთან და ლატვიასთან თანამშრომლობის ხელშეკრულებებს. ნამდვილად ჩავალ იქ, იმიტომ რომ, ისინი რუსეთისგან განსხვავებით, ისინი ჩვენი მეგობარი ქვეყნები არიან. 2012 წელს ჩვენ უკვე დავგეგმეთ გასტროლებიც და სპექტაკლის დადგმაც. უბრალოდ, რუსეთი ბაზარია, იქ თუ არ ჩახვედი, სხვასთან ვერ მოაწერ ხელს.

***— დიდი ქვეყანაა და, ალბათ, ვერ გავექცევით...***

— რუსეთისგან გაქცეულები ვართ, დამიჯერეთ. იცით, რას დაემსგავსნენ? დიდი ხანია პეტერბურგში არ ვყოფილვარ და მიტოვებული, ჭუჭყიანი შთაბეჭდილება დატოვა ქალაქმა. არც შევადარებ იმ ქალაქს ჩემს ლამაზ, არაჩვეულებრივ, განათებულ, სუფთა თბილისს, მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტურული შედევრები აქვთ. პეტერბურგის აეროპორტი რომ არის, ჩვენ ეგეთი მარნეულშიც აღარ გვაქვს, უხეში, თავხედი ხალხია მომსახურე პერსონალი, მხოლოდ ქართველებს კი არა, ყველას ეუხეშებიან. თავი საბჭოთა კავშირში მეგონა. 70-იანის ბოლოს დარჩნენ. მათი მატარებელი იქ გაჩერდა.

***— თეატრალური სეზონი მთავრდება. პრემიერები კიდევ გაქვთ დაგეგმილი?***

— გრიბოედოვში ახლახან გვქონდა პრემიერა. დავდგი გოგოლის „ქორწინება“. ძალიან კარგი სპექტაკლი გამოვიდა. შედეგმაც არ დააყოვნა — მთელ მაისზე უკვე გაყიდულია ბილეთები. ძალიან მახარებს ეს ფაქტი. ბოლო პერიოდში მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენს სპექტაკლებზე ერთი თვით და ხანდახან ორი თვით ადრეც იყიდება ხოლმე ბილეთები. თან გრიბოედოვის თეატრი რუსულენოვანი და სპეციფიკური თეატრია. როცა ერთი თვით ადრე იყიდება ბილეთები, ეს მხოლოდ ბედნიერებაა.

***— რა ხდება თავისუფლად თეატრში?***

— ჩვენ გვქონდა გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქალის“ პრემიერა. მას მოჰყვა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“, მაია დობორჯგინიძის შესანიშნავი სარეჟისორო დებიუტი შედგა სპექტაკლით „თაფლობისთვე“. სეზონს დავხურავთ იბსენის „ნორათი“. ეს იქნება ძალიან საინტერესო ექსპერიმენტული სპექტაკლი.

***— იბსენს თქვენ დგამთ?***

— არა, ეს არის ვანო ხუციშვილის სპექტაკლი, რომელიც ჩემი მაგისტრანტია და მისი სადიპლომო სპექტაკლი იქნება.

***— თქვენი ახალი ფილმი „მიდი, ძმაო, მიდი!“ როდის გამოვა კინოთეატრებში?***

— ჩვენი ფილმი „მიდი ძმაო, მიდი!“ თბილისის კინოთეატრებში 12 მაისიდან გამოდის.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ყავლაშვილის პროექტის იზოლირებული ბინა 16 (17), ნუცუბიძის ფერდობი IV, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარის, ბ/აირი, გაჯით გალესილი, მეტალოპლასტმასის ფანჯრები, სამზარეულო-შემოსასვლელი მეტლახის იატაკით, პლასტმასის მილებით, რკინის კარი, ტელეფონი, აიეტი, ინტერნეტი. ტელ: 855 75 03 35; 871 004 160.

**ნათელმხილველი მანანა**
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბაიქაზე, ბედის გახსნაზე, ნაიმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.
**მიღება წინასწარი შეთანხმებით!**
მის.: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6. ტელ:
**897-29-27-50.**

## ტესტი

## როგორი პარტნიორია თქვენი მეუღლე?



***1. თუ თქვენი მეუღლე ცუდ ხასიათზეა, წამოგყვებათ თუ არა წვეულებაზე, სადაც ყველანი ცოლებით არიან დაპატიჟებული?***

ა) წამალს დალევს და წამოგყვებათ; ბ) წამოგყვებათ, ოღონდ საყვედურებით თავს მოგაბეზრებთ; გ) არ წამოვა და არც თქვენ გაგიშვებთ; დ) ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უარს გეტყვით.

***2. თუ თქვენმა შემოსავალმა მკვეთრად იკლო, თქვენი მეუღლე:***

ა) თავად დაიწყებს ფულის შოვნას; ბ) საყვედურებით გულს გაგიწყალებთ; გ) განქორწინებით დაგემუქრებათ, დ) ისევე გააგრძელებს ხარჯვას, როგორც ხარჯავდა.

***3. სამსახურში ძალიან დაკავებული ხართ, შინ თითქმის არ იმყოფებით და თქვენი ცოლი თქვენი არყოფნისას:***

ა) ოჯახს უვლის; ბ) ტელეფონით გირეკავთ და გსაყვედურობთ, რომ სამსახურში გაცვალეთ; გ) თქვენთვის ახალ სამუშაოს ეძებს; დ) საყვარელს გაიჩენს.

***4. თქვენს ცოლთან გაკავშირებთ:***

ა) საერთო ინტერესები და მეგობრები; ბ) საერთო საქმიანობა; გ) ყველაფერი; დ) მხოლოდ საწოლი.

***5. თუ სამწლიან მივლინებაში გაგგზავნეს, თქვენი მეუღლე:***

ა) პრობლემას არ შექმნის; ბ) გამოგყვებათ, ოღონდ საყვედურებით გულს გაგიწყალებთ; გ) გამოგყვებათ, თუ ნორმალურ პირობებს უზრუნველყოფს; დ) არ გამოგყვებათ.

***6. თუ სამსახურში პრობლემები გაქვთ და სულ გაღიზიანებული ხართ, თქვენი მეუღლე:***

ა) ცდილობს, გაგამხნევოთ; ბ) საკუთარი პრობლემებისადმი თქვენი ყურადღების მიქცევას ცდილობს; გ) გირჩევთ, როგორ გაუმკლავდეთ პრობლემებს; დ) საერთოდ არ გაქცევთ ყურადღებას.

***7. შექების თვალსაზრისით თქვენი მეუღლე:***

ა) მეტად გულუხვია; დ) მაშინ გაქებთ, როდესაც რამეს გჩუქნით, გ) უფრო გაკრიტიკებთ, ვიდრე გაქებთ; დ) არ გაქებთ და სულ გაკრიტიკებთ.

**პასუხები შეაფასეთ: ა — 1, ბ — 2, გ — 3, დ — 4**

### პასუხები

**7-11 ქულა:** თქვენი მეუღლე არამცთუ საიმედო პარტნიორია, არამედ აქტიურად გეხმარებთ კარიერის განვითარებაში. დარწმუნებული იყავით, რომ ყოველთვის მხარს დაგიჭერთ და გაგებით მოეკიდება თქვენს პრობლემებს.

**12-16 ქულა:** თქვენს მეუღლეს აშკარად მომხმარებლური მიდრეკილებები გააჩნია და კარიერას თუ განივითარებთ — აშკარად მისი დახმარების გარეშე. იმავდროულად, დარწმუნებული იქნება, რომ მის გარეშე ვერაფერს გახდებოდით.

**17-22 ქულა:** თქვენი მეუღლე ბუნებით დამრიგებელია, მიაჩნია, რომ საითაც სურს, იქით გიბრუნებს პირს. ასეთ ადამიანებს თავად არ შეუძლიათ რეალიზება და იმედისმომცემ ქმარზე ამყარებენ იმედებს.

**23-28 ქულა:** თქვენი მეუღლე თქვენდამი სრულ გულგრილობას ამჟღავნებს. მისთვის სულ ერთია, დღეს ისადილეთ თუ არა, როგორ მიდის სამსახურში თქვენი საქმეები. ერთმანეთთან საერთო თითქმის არაფერი გაქვთ.

**გ. თ.**

## სამგლოვიარო განცხადებები



დედა ნუნუ გულედანი, მეუღლე მზია მიქაძე, ძმა სანდრო, შვილები სანდრო, სოფო, სალომე გობრონიძეები, ბიძა სლავა გულედანი, ბიძაშვილი გია გულედანი, მამიდა ია გობრონიძე, მამიდაშვილი დათო გამყრელიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზაზა ალექსანდრეს ძე გობრონიძე**

პანაშვიდი 9, 10, 11 მაისს, 17 საათზე. მის.: კახეთის გზატკეცილი, 65.

დაკრძალვა: 12 მაისს. გამოსვენება თბილისის ზღვის სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიიდან 14 საათზე.

---

აპოლონ, ომარ, დავითი, თენგო, მალხაზ, სიმონ, ტოლია, ვაჟა, ბესიკ, ოთარ წოწორიები და სოფ. ლეციცხვაიეს მცხოვრებნი თანაგრძნობას ვუცხადებთ გენადი, მაგული და მარინა წოწორიებს ძმისა და მეუღლის

**მელორ კორნელის ძე წოწორიას**

გარდაცვალების გამო.

---

კლუბი „მერწყული" ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანადგომას უცხადებს კლუბის პრეზიდიუმის წევრს ნოდარ (ბიგი) ჩხოლარიას დედის

**მთვარისა გოგუას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## უსამა ბინ ლადენი „ალ კაიდას" ბოლომდე ხელმძღვანელობდა

აშშ-ის ხელმძღვანელობის განცხადებით, უსამა ბინ ლადენი სიცოცხლის ბოლომდე „ალ კაიდას" ხელმძღვანელობაში აქტიურად მონაწილეობდა.

ეს განცხადება ეწინააღმდეგება მანამდე გამოთქმულ მოსაზრებას, თითქოს ბინ ლადენი ამერიკელებს ემალებოდა და ამიტომ ტერორისტული ოპერაციების დაგეგმვაში ველარ მონაწილეობდა.

ეს განცხადება პენტაგონის მიერ უსამა ბინ ლადენის ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ გავრცელდა. ეს



ჩანაწერები ამერიკელებმა იმ თავშესაფარში ნახეს, სადაც უსამა ბინ ლადენი 2 მაისს ამერიკელმა სპეცრაზმელებმა მოკლეს.

ამ ჩანაწერებში უსამა ბინ ლადენი მის შესახებ სატელევიზიო გადაცემას უყურებს, გარდა ამისა, ამერიკელებისადმი მიმართვას ამზადებს. გარდა ამისა, ვაშინგტონში ამერიკელმა სამხედროებმა ბინ ლადენის პროპაგანდისტული ვიდეორგოლიც აჩვენეს. სპეცოპერაციის დროს ნაპოვნი ვიდეომასალებიდან ხუთი ფრაგმენტი იქნა ნაჩვენები.

ერთ-ერთ ვიდეოზე, რომელიც 2010 წლის ნოემბერშია გადაღებული, უსამა ბინ ლადენი კამერის წინ საუბრობს, მაგრამ აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ეს ჩანაწერი აუდიოთანხლების გარეშე აჩვენა. პენტაგონის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ვიდეორგოლი ამერიკისადმი მიმართვას წარმოადგენდა.

კიდევ რამდენიმე ვიდეოკლიპი მთავარი მიმართვის რეპეტიციას წარმოადგენდა. პენტაგონის მაღალი რანგის წარმომადგენლების თქმით, 2 მაისს ამერიკელებმა ხელში ჩაიგდეს ინფორმაცია, რომელიც თავისი ოდენობით მსხვილი ტერორისტების წინააღმდეგ ოდესმე ჩატარებული ერთი ოპერაციის დროს მოპოვებულ ინფორმაციას აღემატება.

მიმომხილველების თქმით, ამერიკელმა ხელისუფლებმა ეს ნაბიჯი სკეპტიკოსების გასაჩუმებლად გადადგეს და სურდათ დაერწმუნებინათ ისინი, რომ 2 მაისის ოპერაციის დროს უსამა ბინ ლადენი ნამდვილად დაიღუპა.

სპეცსამსახურების წარმომადგენლები კვლავაც აგრძელებენ ოპერაციის დროს მოპოვებული კომპიუტერების, ლაზერული ფირფიტების, დასამახსოვრებელი მოწყობილობების შესწავლას.

ამერიკელების ვარაუდით, უსამა ბინ ლადენი ამ სამალავში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში იმალებოდა.

პენტაგონის დაზვერვის წარმომადგენლების თქმით, ამ დროის განმავლობაში უსამა ბინ ლადენი „ალ კაიდას" ხელმძღვანელობის წამყვან ფიგურად რჩებოდა, ტერორისტული ჯგუფის საქმიანობის სტრატეგიას ამუშავებდა და აბოტაბადში ყოფნის დროს უშუალოდ მონაწილეობდა ტერაქტების დაგეგმვაში.

ამერიკელი ჩინოსნების თქმით, უსამა ბინ ლადენი ნომინალური ლიდერი არ ყოფილა და ორგანიზაციას აქტიურად ხელმძღვანელობდა. ამერიკელების თქმით, ბინ ლადენის ერთ-ერთი მეუღლე, რომელიც ოპერაციის დროს დაიჭრა, უკვე გამომჯობინდა და ხელისუფლებმა მისი დაკითხვა დაიწყეს.

26 წლის იემენელი ამალ აჰმედ აბდულ ფათჰის თქმით, მისი ქმარი ჯანმრთელი იყო და თავს შესანიშნავად გრძნობდა.

პაკისტანელი ხელისუფლების თქმით, მათ ამერიკელებისაგან მისი ექსტრადიციის მოთხოვნა არ მიუღიათ.

პაკისტანის ხელისუფლებმა, გარდა ამისა, განაცხადეს, რომ აბოტადაბის ვილაში გადასვლამდე იგი მახლობელ სოფელში ცხოვრობდა. ამერიკელი სამხედროების რეიდის დროს, „ალ კაიდას" ლიდერის გარდა, ერთი ქალი და სამი მამაკაცი დაიღუპა, უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი ვაჟის ჩათვლით. პაკისტანის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ოპერაციის შემდეგ მისი სამი ცოლი და 13 შვილი სხვა ადგილას გადაიყვანეს.

## პოლ მაკარტნი მესამედ აპირებს დაქორწინებას



ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა, ანსამბლ „ბითლზის" ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა სერ პოლ მაკარტნიმ დაქორწინება გადაწყვიტა. როგორც მუსიკოსის აგენტმა სტიუარტ ბელმა განაცხადა, 68 წლის მაკარტნის რჩეული ნიუიორკელი ბიზნესვუმენი, 51 წლის ნენსი შეველი გახლავთ. წყვილი ერთმანეთს უკვე ოთხი წელია ხვდება. მათი მომავალი ქორწინების ადგილი, დრო და სხვა დეტალები არ გაუმხელიათ. პოლ მაკარტნი ორჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი მეუღლე, ლინდა, 1998 წელს ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა. მეორე მეუღლეს, ყოფილ მოდელ ჰიზერ მილსს მუსიკოსი 2008 წელს ექვსწლიანი ქორწინების შემდეგ სკანდალურად გაშორდა. არც ნენსი შეველია გამოუცდელი ქორწინებების თვალსაზრისით. 20 წლის განმავლობაში იგი ამერიკელი იურისტისა და პოლიტიკოსის ბრიუს ბლეიქმენის ცოლი იყო. ამჟამად იგი ნიუ იორკის სატრანსპორტო სამმართველოს დირექტორთა საბჭოს წევრია, გარდა ამისა, მისი ოჯახის კუთვნილი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

## ეგვიპტის ხელისუფლები მუსლიმანებისა და ქრისტიანების გაშველებას ცდილობენ

ეგვიპტის ხელისუფლების განცხადებით, კაიროს ერთ-ერთ გარეუბანში მუსლიმანებისა და ქრისტიანების შეტაკების შედეგად არანაკლებ შვიდი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაიჭრა.

კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მუსლიმანები იმბაბში ქრისტიანულ ეკლესიას შემოერტყნენ გარს და იქ მყოფი ქალის გათავისუფლება მოითხოვეს.

ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქალი ეკლესიაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჰყავდათ დატყვევებული, რადგან მას ისლამის მიღება სურდა.

მოჩხუბრების გასაშველებლად პოლიციამ და ჯარისკაცებმა, რომლებსაც ტანკები უჭერდნენ მხარს, ცეცხლი გასხნეს და ცრემლსადენი გაზი გააფრქვიეს.

თვითმხილველების თქმით, სუნიტური ისლამის რადიკალური მიმდინარეობის, სალაფიტების 500-მდე წარმომადგენელმა კაიროს ჩრდილო-დასავლეთით კოპტური ეკლესიის მახლობლად მოიყარა თავი და ქალის გათავისუფლება მოითხოვა.

მათ მღვდელმსახურები და მრევლი დაუპირისპირდა, ჯერ მორალურად, შემდეგ კი ფიზიკურად, რაც სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთს სროლა აუტეხეს, ქვები და ცეცხლწამკიდი ჭურვები დაუშინეს ერთმანეთს.

სააგენტო ფრანს პრესის თქმით, ეკლესიის მღვდელმა მამა გერმინამ განაცხადა, რომ მუსლიმანების ჯგუფმა ეკლესიაზე იერიშის მიტანა სცადა.

ერთ-ერთი მუსლიმანი ამტკიცებს, რომ სროლა კოპტებმა დაიწყეს.

მისი თქმით, ისინი მშვიდობიანი მოქალაქეები არიან და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას მანამ არ დატოვებენ, სანამ მათი ოპონენტები იარაღს არ დაყრიან, დამნაშავეებს კი სასამართლოს არ გადასცემენ.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეგვიპტელ სუნიტებსა და ქრისტიან კოპტებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად დაიძაბა. სუნიტები ეგვიპტეში უმრავლესობას შეადგენენ, კოპტები — მოსახლეობის 10%-ს.

ამასთან, ანტისამთავრობო გამოსვლების დროს ტაჰრირის მოედანზე როგორც მუსლიმანები, ასევე ქრისტიანები პატივისცემით ეპყრობოდნენ ერთმანეთს და მათ, ვინც გამოსვლების დროს ლოცულობდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი



1. სასახლე იტალიაში; 2. გაზაფხულის თვე; 3. მასმედიის სახეობა; 4. ... პაჩინო; 5. ჯეი ...; 6. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 7. ძვირფასთვლებიანი გვირგვინი; 8. ფარული დაცინვა; 9. „ნატვრის ხის" პერსონაჟი; 10. მონღოლური ფული; 11. ნუშის ლიქიორი; 12. ... მორჩილაძე; 13. გერმანული ავტომარკა; 14. ტბა აფრიკაში; 15. ცეცხლის ანადენი; 16. მექსიკის დედაქალაქი; 17. წყვილთა საბალო ცეკვა; 18. მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 19. ფეხიანი სასმისი; 20. ..., იგრეკ, ზეტ; 21. ვიტამინების ნაკლებობა ორგანიზმში; 22. მუხის ნაყოფი; 23. მოპედის სახეობა; 24. ძალიან მაგარი ქვა; 25. ყურძნის ჯიში; 26. მოხრილი უკეცი დანა; 27. მთათა სისტემა აზიაში; 28. ტყის ვაწლი; 29. ძალიან პატარა, ნამცეცა; 30. დრო, ხანი; 31. ესპერანტოს ვარიანტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პუანტი; 2. საბვეი; 3. ნაფტუსია; 4. ჩედერი; 6. ეჩხაბერი; 8. ელინგი; 11. სოლიტერი; 12. ფოლორცი; 16. ციცქა; 17. პოტიე; 18. ფშავი.

**თარაზულად:** 1. პუნსონი; 5. პირეი; 7. სალომეა; 9. ნაღველი; 10. ქეცბაია; 13. გურიელი; 14. დოკერი; 15. ჟოქო; 19. ჰოკაიდო; 20. დომკრატი; 21. ყანდარელი; 22. მილანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. კლიმატი; 3. ილინოისი; 4. ასტრონომი; 5. ყანწი; 6. ეკლერი; 8. დუქანი; 11. როკფორი; 14. აბასთუმანი; 15. დომკრატი; 16. ტახომეტრი; 17. კონკია; 19. კირთაძე; 21. ფიჭვი; 22. უბისა.

**თარაზულად:** 1. სკლიანკა; 5. ყორე; 7. ნადალი; 9. ლივინგსტონი; 10. ლარიქსი; 12. ტრიკონი; 13. მცონარა; 16. ტერაკოტა; 17. კაფი; 18. აკიდო; 20. პათოლოგი; 22. ურასა; 23. ითხვისი; 24. ტალინი; 25. ვარნა.

შედით საიტზე atb.ge

# ქართული კალათბურთის ახალი პრობლემა — ქალები გადამალეთ

**შსს — სოხუმი 75:79**
**(29:21, 14:15, 1§:14, 24:28**

**შსს:** ი.ბერიშვილი (9), ბ.ლეჟავა (18), კოტონი (6), დ.ბარბაქაძე (5), იმნაძე (6); ლაფანაშვილი (3), ნიკოლაძე (10), მარკოიშვილი (6), ტუჯანი-ტალბა (11), შერმადინი (1)

**სოხუმი:** ფარღალავა (18), ჰარისი (14), ჩლაიძე (8), ფაცაცია (20), რ.დამუსი (5), შანიძე (3), სორდია (2), კ.დამუსი (9)

ქართველებს ერთი ასეთი გამოთქმა აქვთ — ქალს ძაღლიც არ შეუყეფსო, მაგრამ თურმე ისეც ხდება, რომ სჯობს ძაღლმა შეუყეფოს. საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატის მეოთხედფინალური პლეი-ოფის მატჩისას ქვეყნის პირველობის ერთ-ერთმა საუკეთესო კალათბურთელმა მანდილოსანს სცემა... ბესო ლეჟავამ მატჩის არბიტრი, მაკა კუპატაძე არ დაინდო და უმოწყალოდ სცემა... ორ მეტრამდე ჯეელის მიერ ნაცემი ქალბატონი მოედანზე დაეცა და ტიროდა... ძირითადი დროის დასრულებამდე 13,3 წამით ადრე, როგორც პრესლოჟიდან ჩანდა, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, მოედნის ერთ-ერთმა მსაჯმა მაკა კუპატაძემ, მოედნიდან ბესიკ ლეჟავა გააძევა (როგორც შემდეგ გაირკვა, სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის). ამის შემდეგ, ბესო ლეჟავა კუპატაძეს ეცა, ჯერ სახეში თავი ჩაარტყა, შემდეგ მუცლის არეში წიხლი მოუქნია. ნაცემი, შეურაცხყოფილი მანდილოსანი იქვე ჩაიკეცა და ატირდა. აღელვებული ლეჟავა არც ამის შემდეგ ცხრებოდა და თანაგუნდელებმა მოედნიდან ძლივს გაიყვანეს. ამ ინციდენტში გულშემატკივრებიც ჩაერივნენ და სიტუაცია მცირე ხნით უმართავი გახდა. მართალია, ქომაგები მალე დაშოშმინდნენ, მაგრამ მატჩი კომისარმა შეწყვიტა და ანგარიში (79:75) უცვლელი დატოვა.



არადა, მეოთხედფინალში მოასპარეზე შსს-სოხუმის მესამე, დამატებითი შეხვედრა სანახაობრივად უაღრესად საინტერესო გამოდგა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხანაც — მეორე. ბოლო წამებამდე გამარჯვებული ვინაობას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. შსს-ს მხრიდან, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბესო ლეჟავა, ხოლო ზღვისპირელთაგან, ლევან ფაცაცია და ლაშა ფარღალავა აქტიურობდნენ. ძირითადი დროის დასრულებამდე სამი წუთით ადრე, შსს რვა ქულით (70:62) დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი აქ მორჩა, მაგრამ „სოხუმის" კალათბურთელები არ გატყდნენ, ბოლომდე იბრძოლეს და დაუფასდათ კიდეც. აღსანიშნავია, რომ 2-წუთიანი მონაკვეთი „სოხუმმა" 16:2 მოიგო და 78:72 დაწინაურდა.

ბოლო წუთებში მოვლენები ასე განვითარდა: ძირითადი დროის დასრულებამდე რჩება 53 წამი. კოტონი სამქულიანით ამცირებს სხვაობას — 75:78. „სოხუმის"□ შეტევის დასრულება ფაცაციამ ითავა, მაგრამ სამქულიანი ააცილა. რჩება 22,7 წამი — ამჯერად, ლეჟავას სამქულიანი ასცდა მიზანს და შსს ისევ მდევრის როლში დარჩა. დროის გაწელვის გამო, ტუჯანი-ტალბა ფარღალავასთან ჯარიმდება. სოხუმელთა ლიდერი ორიდან ერთ საჯარიმოს აგდებს — 79:75 და წინ „სოხუმია". შსს-ს ისღა დარჩენია, მატჩის გადასარჩენად სამქულიანი სროლა შეასრულოს. ძალოვნებმა შეტევის დასრულება ისევ ლეჟავას ანდეს, მაგრამ ბურთი კალათაში არც ამჯერად ჩაეშვა. „სოხუმის" საპასუხო შეტევას კი დასრულება არ ეწერა... არა მარტო შეტევას, არც მატჩს — შემდეგ მოხდა ის, რასაც მხოლოდ ამაზრზენი ფაქტი შეგვიძლია ვუწოდოთ.

ასეა, თუ ისე, „სოხუმი" ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე „არმია" იქნება, მეორე ნახევარფინალურ წყვილს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ქუთაისის" გუნდები შეადგენენ.

პ.ს. გუშინვე, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა აღნიშნულ ინციდენტი და შსს-ს მოთამაშე ბესიკ ლეჟავას მიეცა დისკვალიფიკაცია 2013 წლის 1 იანვრამდე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბის მიერ მოწოდებული ინფორმაციით შსს-ს კლუბის ხელმძღვანელობა ეთანხმება კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას ბესიკ ლეჟავას წელიწად-ნახევრიანი დისკვალიფიკაციის შესახებ და თავის მხრივ ლეჟავას აჯარიმებს 5.000 ლარით. აღნიშნული ინფორმაციის შესახებ კალათბურის ფედერაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბის პრეზიდენტმა, ლევან მიქაბერიძემ განუცხადა.

# სლავენ ბილიჩი: „საქართველოს აუცილებლად მოვუგებთ"

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩამდე ხორვატიისა და საქართველოს ნაკრებებს შორის 3 კვირა დარჩა, მაგრამ გუნდების მთავარი მწვრთნელები უკვე იწყებენ მომავალ მატჩზე ფიქრს.

ჯერჯერობით, თემურ ქეცბაია არაფერს ამბობს, სამაგიეროდ, მისი ვიზავი სლავენ ბილიჩი შურისძიების გრძნობით არის გამსჭვალული და გაიძახის, 3 ივნისს ქართველებს აუცილებლად დავამარცხებთო.

ამ სიტყვებს სლავენ ბილიჩი თბილისში ჩამოსვლამდეც ამბობდა, მაგრამ საქართველოდან ნირწამხდარი წავიდა. ვნახოთ, რა მოხდება 3 ივნისს, მანამდე ბილიჩს მოვუსმინოთ.

— თბილისში რომ წავაგეთ, პასუხისმგებლობა ჩემს თავზე ავიღე. კრიტიკას თვალებში პირდაპირ ჩავხედე. მეტოქე სუსტი არ იყო, მაგრამ უნდა მოგვეგო. ეს ჩვენი დღე არ იყო. თამაშის სცენარი ისეთი იყო, ყველა ფეხბურთელი ფიქრობდა, ახლა გავიტანდით გოლს, აი, ახლაო, მაგრამ ეს არ მოხდა. და მაინც, სპლიტში საქართველოს დავამარცხებთ. ეჭვი არ შეგეპაროთ. საქართველოში წაგებას ვერ წარმოვიდგენდი. იცით, რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ყველა გუნდს ემართება უსიამოვნო სიურპრიზი. შოკირებულები ვიყავით. ყველაფერი ჩვენს ხელშია და თუ მომდევნო მატჩებში არ დავუშვებთ მსგავს შეცდომებს, ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ, — განაცხადა ბილიჩმა, რომელსაც ისიც ჰკითხეს, რომ ნაკრებში სიტუაცია მას შემდეგ გაუარესდა, რაც ბილიჩის თანაშემწე რობერტ პროსინეჩკი სერბეთში წავიდა და □„ცრვენა ზვეზდას" თავკაცი გახდა.

— ეს სულელური კითხვა ადრე დამისვეს. რა ვუპასუხო? პროსინეჩკი სამწვრთნელო პერსონალის მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ, თუმცა, იგივე ითქმის სხვა სპეციალისტებზეც. თბილისში წაგება მის არყოფნას რომ დავაბრალოთ, აბსურდი გამოვა. ამას მხოლოდ მდარე აზროვნების ადამიანი თუ მოიფიქრებს, ან ისეთი, რომელიც წაგების მიზეზებს უაზრო რაღაცებში ეძებს, — აღნიშნა ბილიჩმა.

ხორვატთა თავკაცს ნაკრების თითოეულ რგოლში არსებულ მდგომარეობაზე ჰკითხეს:

— ვედრან რუნიეს პრობლემები აქვს, მაგრამ ის მაინც ჩვენი საუკეთესო მეკარეა, რაც ფრანგებთან მატჩშიც დაამტკიცა. ძალიან მინდოდა, დარკო სუბაშიჩი მალე დაწინაურებილიყო გუნდში, მაგრამ ის ვერ პროგრესირებს. მცველი იოსიპ შიმუნიჩი ვერ თამაშობს „ჰოფენჰაიმში". მართალია, ის გულგატეხილი საუბრობს, მაგრამ 33 წელი არაა ის ასაკი, ფეხბურთელი აუცილებლად რომ ამთავრებდეს კარიერას. ვფიქრობ, შიმუნიჩს ძალიან უყვარს თავისი საქმე და კიდევ ითამაშებს მაღალ დონეზე. ვედრან ჩორლუკა დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე ძლიერია. პროგრესირებს დეიან ლოვრენიც და იმედი მაქვს, გორდონ შინდელფელდიც მწყობრში იქნება. რაც შეეხება ნახევარდაცვას, საქართველოსთან ვერ ითამაშებენ დისკვალიფიცირებული ნიკო კრანჩარი და ტრავმირებული ივან რაკიტიჩი. სხვა გზა არაა, მათი შეცვლა მოგვიწევს. გვყავს კარგი ფეხბურთელები და ნუ ინერვიულებთ. თავდამსხმაში მიუნხენის „ბაიერნის" ფორვარდ ივიცა ოლიჩის ქართველებთან თამაში თითქმის გამორიცხულია, სამაგიეროდ, მწყობრშია დონეცკის „შახტარის" ედუარდო, რომელიც 26 მარტს ტრავმირებული იყო, — მშვიდად საუბრობს ბილიჩი.

# ალეგრის პირველი ტიტული

იტალიური „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა, მასიმილიანო ალეგრიმ, სტუმრად „რომასთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ (0:0), პირველი ტიტულის მინიჭებისთვის შეგირდებს მადლობა გადაუხადა. ეს კი მილანელთა 18-ე სკუდეტოა ისტორიის მანძილზე.

მედიასთან საუბარში, „კალიარის" ექს-თავკაცმა, რომელმაც „მილანი" გასულ ზაფხულში ჩაიბარა, განვლილ გზაზე, გამარჯვების მნიშვნელობასა და იმ შეთანხმებაზე ისაუბრა, რომელსაც მან და კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ ჯერ კიდევ სეზონის დაწყების წინ მიაღწიეს.

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერი „რომასთან" მატჩში გადაგვეწყვიტა, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის მე-4 ადგილის დასაკავებლად. შეუდარებლად კონცენტრირებულები ვიყავით და მილანში ტიტულით ხელდამშვენებულნი ვბრუნდებით. მოცდა საჭირო აღარაა და მადლობა მინდა გადავუხადო ბიჭებს, პრეზიდენტს, რომელიც მენდო და შანსი მომცა. „მილანის" ფეხბურთელებს არაერთი ჯილდო აქვთ მოგებული, მაგრამ პროფესიონალებად დარჩნენ და გუნდის მორიგი წარმატებისათვის მაქსიმუმი გაიღეს. სწორედ ამის ხარჯზე მოვახერხეთ ტიტულის მოპოვება. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე ჯერ კიდევ არ მჯერა, ქვეყნის ჩემპიონები რომ ვართ. ეს წარმოუდგენელი ბედნიერება და უდიდესი გამართლებაა. ჩემს ხელში დიდებული გუნდია, რომლის ფეხბურთელებიც მუდამ ერთმანეთის პატივისცემაში არიან. სეზონის საუკეთესო მომენტი დერბი იყო. მეორე დერბის შემდეგ, „ინტერი" უკან მოვიტოვეთ. სეზონის დაწყებამდე, მე და გალიანი შევთანხმდით, რომ თუ სკუდეტოს მოვიგებდით, ვერსილის ეკლესიაში ფეხით წავიდოდით. ახლა ორივეს მცირე მოგზაურობა მოგვიწევს,— ბედნიერებას ვერ მალავდა 43 წლის ახლადგამომცხვარი ჩემპიონი მწვრთნელი.

# იმერული კლუბები თანაბრად დაისაჯნენ

დასაწყისი მე-16 გვერდზე

გააცნეს საკუთარი მოსაზრებები და პოზიციები. საკითხის განხილვა საკმაო ხანს გაგრძელდა, რის შემდეგაც, კლუბების წარმომადგენლებმაც დატოვეს დარბაზი და კომიტეტის წევრები მუშაობას შეუდგნენ. საბოლოო განაჩენი კი, ასეთია:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, სადავო არაფერი ყოფილა და საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის ფეხბურთელს ლევან კაკუბავას ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 100 ლარი ფულადი ჯარიმა დაეკისრა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელი მერაბ გიგაური, მატჩის შემდეგ მაყურებლის მიმართ აპელირებისა და არაეთიკური მოქცევისთვის დაისაჯა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 200 ლარით.

ამავე კლუბის მეკარე ომარ მიგინეიშვილს კი არასპორტული საქციელისთვის, კერძოდ, იმისთვის, რომ მან ბურთის მომწოდებელ ბავშვს ხელი ჰკრა, ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია და 100 ლარი ჯარიმა დაეკისრა. თუმცა, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, სანქციებს ვერც კლუბები გადაურჩნენ.

მატჩის განმავლობაში, ორივე გუნდის ფეხბურთელების არასპორტული მოქმედებისთვის, ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის, რამაც, სტადიონზე ისედაც დაძაბული სიტუაცია უფრო მეტად დაძაბა, მატჩის შემდგომი არეულობა გამოიწვია და რასაც, შესაძლოა, უმართავი პროცესები და უმძიმესი შედეგები მოჰყოლოდა, სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მატჩის მონაწილე ორივე საფეხბურთო კლუბი 7-7.000 ლარით დაისაჯა.

სადისციპლინო კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ ზესტაფონის სტადიონისთვის მიყენებულ ზარალს და ქუთაისელი გულშემატკივრებისა და მათი ავტომანქანების დაზიანების საკითხს შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-უიგანი ........ 1:1
ბოლტონი-სანდერლენდი ........ 1:2
ვესტ ჰემი-ბლექბერნი ........ 1:1
ნიუკასლი-ბირმინგემი ........ 2:1
ევერტონი-სიტი ........ 2:1
ტოტენჰემი-ბლექპული ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 35 | 21 | 10 | 4 | 71:33 | 73 |
| 2.ჩელსი | 35 | 21 | 7 | 7 | 66:28 | 70 |
| 3.არსენალი | 35 | 19 | 10 | 6 | 68:36 | 67 |
| 4.სიტი | 36 | 18 | 9 | 9 | 54:33 | 63 |
| 5.ტოტენჰემი | 35 | 14 | 14 | 7 | 51:44 | 56 |
| 6.ლივერპული | 35 | 16 | 7 | 12 | 54:39 | 55 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49:50 | 46 |
| 9.ფულემი | 35 | 10 | 15 | 10 | 43:37 | 45 |
| 10.ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51:52 | 44 |
| 11.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 43:56 | 44 |
| 12.ვესტ ბრომ. | 35 | 11 | 10 | 14 | 51:65 | 43 |
| 13.სტოკი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:43 | 42 |
| 14.ას. ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45:58 | 42 |
| 15.ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42:56 | 39 |
| 16.ბირმინგემი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:52 | 39 |
| 17.უიგანი | 35 | 7 | 15 | 13 | 36:56 | 36 |
| 18.ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49:71 | 36 |
| 19.ვულვზი | 35 | 9 | 7 | 19 | 38:61 | 34 |
| 20.ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41:64 | 33 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-მილუოლი ........ 1:0
ბარნლი-კარდიფი ........ 1:1
ბრისტოლი-ჰალი ........ 3:0
ქპრ-ლიდსი ........ 1:2
კრ.პალასი-ნოტინგემი ........ 0:3
ლესტერი-იფსვიჩი ........ 4:2
მიდლსბრო-დონკასტერი ........ 3:0
ნორვიჩი-ქოვენთრი ........ 2:2
პრესტონი-უოტფორდი ........ 3:1
რედინგი-დერბი ........ 2:1
სკანთორპი-პორთსმუთი ........ 1:1
სუონსი-შეფილდი ........ 4:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-ბარი ........ 2:1
რომა-მილანი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61:23 | 78 |
| 2.ინტერი | 35 | 21 | 6 | 8 | 62:39 | 69 |
| 3.ნაპოლი | 35 | 21 | 5 | 9 | 55:34 | 68 |
| 4.ლაციო | 35 | 18 | 6 | 11 | 46:33 | 60 |
| 5.რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55:49 | 60 |
| 6.უდინეზე | 35 | 18 | 5 | 13 | 61:42 | 59 |
| 7.იუვენტუსი | 35 | 15 | 11 | 9 | 53:42 | 56 |
| 8.პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55:59 | 53 |
| 9.ფიორენტინა | 35 | 12 | 13 | 10 | 45:38 | 49 |
| 10.ჯენოა | 35 | 12 | 9 | 14 | 38:40 | 45 |
| 11.კალიარი | 35 | 12 | 8 | 15 | 42:44 | 44 |
| 12.ბოლონია | 35 | 11 | 10 | 14 | 34:47 | 40 |
| 13.კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 33:35 | 42 |
| 14.პარმა | 35 | 10 | 11 | 14 | 37:46 | 41 |
| 15.ჩეზენა | 35 | 9 | 8 | 16 | 33:47 | 37 |
| 16.კატანია | 35 | 10 | 10 | 15 | 35:47 | 40 |
| 17.ლეჩე | 35 | 9 | 8 | 18 | 40:61 | 35 |
| 18.სამპდორია | 35 | 8 | 12 | 15 | 30:42 | 36 |
| 19.ბრეშა | 35 | 7 | 10 | 18 | 31:47 | 31 |
| 20.ბარი | 36 | 4 | 9 | 23 | 23:54 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ატალანტა-პორტოგრუარო ........ 4:1
კროტონე-ნოვარა ........ 0:3
მოდენა-გროსეტო ........ 1:1
პადოვა-ასკოლი ........ 3:1
პიაჩენცა-სასუოლო ........ 1:0
სიენა-ტორინო ........ 2:2
ტრიესტინა-ჩიტადელა ........ 3:2
ფროსინონე-ვიჩენცა ........ 4:0
ემპოლი-ალბინოლეფე ........ 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბილბაო-ლევანტე ........ 3:2
ვალენსია-სოსიედადი ........ 3:0
ხიხონი-დეპორტივო ........ 2:2
ხეტაფე-ალმერია ........ 2:0
ატლეტიკო-მალაგა ........ 0:3
ერკულესი-რასინგი ........ 2:3
სევილია-რეალი ........ 2:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 89:19 | 88 |
| 2.რეალი | 35 | 26 | 5 | 4 | 87:31 | 83 |
| 3.ვალენსია | 35 | 20 | 6 | 9 | 60:42 | 66 |
| 4.ვილიარეალი | 34 | 18 | 6 | 10 | 53:40 | 60 |
| 5.ბილბაო | 35 | 17 | 3 | 15 | 55:51 | 54 |
| 6.ატლეტიკო | 35 | 15 | 7 | 13 | 55:47 | 52 |
| 7.სევილია | 35 | 15 | 7 | 13 | 54:55 | 52 |
| 8.ესპანიოლი | 34 | 15 | 3 | 16 | 42:47 | 48 |
| 9.ხიხონი | 35 | 10 | 13 | 12 | 33:39 | 43 |
| 10.ლევანტე | 35 | 12 | 7 | 16 | 39:49 | 43 |
| 11.მალიორკა | 34 | 12 | 6 | 16 | 35:47 | 42 |
| 12.მალაგა | 35 | 12 | 6 | 17 | 50:64 | 42 |
| 13.სოსიედადი | 35 | 13 | 2 | 20 | 45:61 | 41 |
| 14.ხეტაფე | 35 | 11 | 7 | 17 | 46:55 | 40 |
| 15.რასინგი | 35 | 11 | 10 | 14 | 37:51 | 40 |
| 16.სარაგოსა | 34 | 10 | 9 | 15 | 35:47 | 39 |
| 17.დეპორტივო | 35 | 9 | 12 | 14 | 29:44 | 39 |
| 18.ოსასუნა | 34 | 10 | 8 | 16 | 38:41 | 38 |
| 19.ერკულესი | 35 | 9 | 6 | 20 | 32:56 | 33 |
| 20.ალმერია | 35 | 5 | 11 | 19 | 32:61 | 26 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სელტა-ხირონა ........ 0:4
ბარსელონა ბ-ალბასეტე ........ 2:1
კარტახენა-პონფერადინა ........ 1:1
ნუმანსია-ვალიადოლიდი ........ 3:3
რაიო-სალამანკა ........ 1:2
ტენერიფე-უელვა ........ 1:0
უესკა-ვილიარეალი ბ ........ 3:0
ხერესი-ლას პალმასი ........ 2:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-კიოლნი ........ 0:2
ლევერკუზენი-ჰამბურგი ........ 1:1
გლადბახი-ფრაიბურგი ........ 2:0
ვერდერი-დორტმუნდი ........ 2:0
ვოლფსბურგი-კაიზერი ........ 1:2
ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი ........ 1:2
ზ.პაული-ბაიერნი ........ 1:8
შალკე-მაინცი ........ 1:3
შტუტგარტი-ჰანოვერი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 33 | 22 | 6 | 5 | 64:21 | 72 |
| 2.ლევერკუზ. | 33 | 19 | 8 | 6 | 63:44 | 65 |
| 3.ბაიერნი | 33 | 18 | 8 | 7 | 79:39 | 62 |
| 4.ჰანოვერი | 33 | 18 | 3 | 12 | 46:44 | 57 |
| 5.მაინცი | 33 | 17 | 4 | 12 | 50:38 | 55 |
| 6.ნიურნბერგი | 33 | 13 | 8 | 12 | 46:42 | 47 |
| 7.ფრაიბურგი | 33 | 13 | 5 | 15 | 41:49 | 44 |
| 8.ჰამბურგი | 33 | 12 | 8 | 13 | 45:51 | 44 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 33 | 11 | 10 | 12 | 49:48 | 43 |
| 10.კაიზერი | 33 | 12 | 7 | 14 | 45:49 | 43 |
| 11.შტუტგარ. | 33 | 12 | 6 | 15 | 60:57 | 42 |
| 12.ვერდერი | 33 | 10 | 11 | 12 | 45:58 | 41 |
| 13.კიოლნი | 33 | 11 | 5 | 16 | 45:61 | 41 |
| 14.შალკე | 33 | 11 | 7 | 15 | 37:42 | 40 |
| 15.ვოლფსბ. | 33 | 8 | 11 | 14 | 40:47 | 35 |
| 16.გლადბახი | 33 | 10 | 5 | 18 | 47:64 | 35 |
| 17.აინტრახტი | 33 | 9 | 7 | 17 | 30:46 | 34 |
| 18.ზ. პაული | 33 | 8 | 5 | 20 | 34:66 | 29 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

არლე-სენტ ეტიენი ........ 0:1
ბორდო-სოშო ........ 0:4
ბრესტი-ნიცა ........ 0:0
კაენი-ლანსი ........ 1:1
ლორიანი-ტულუზა ........ 0:0
ნანსი-ლილი ........ 0:1
ოსერი-მონპელიე ........ 1:0
მონაკო-პსჟ ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 34 | 18 | 12 | 4 | 60:31 | 66 |
| 2.მარსელი | 33 | 17 | 11 | 5 | 51:30 | 62 |
| 3.პსჟ | 34 | 15 | 12 | 7 | 51:35 | 57 |
| 4.ლიონი | 33 | 15 | 11 | 7 | 55:33 | 56 |
| 5.რენი | 33 | 14 | 10 | 9 | 33:26 | 52 |
| 6.სოშო | 34 | 14 | 7 | 13 | 52:40 | 49 |
| 7.ლორიანი | 34 | 12 | 12 | 10 | 42:39 | 48 |
| 8.სტ.ეტიენი | 34 | 12 | 12 | 10 | 42:40 | 48 |
| 9.ბორდო | 34 | 10 | 15 | 9 | 40:39 | 45 |

# ანატოლი პისკოვეცი: „ქართველები უბრალოდ ემოციურები და ტემპერამენტიანები არიან“

„გაგრას“ უკრაინელმა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი პისკოვეცმა „სპორტ-ექსპრეს ვ უკრაინესთან“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში დარჩენასა და პირველ ლიგაში მუშაობას არ ნანობს.

***— საქართველოში რამ ჩაგიყვანათ?***

— საქართველოში შარშან, კლუბის პრეზიდენტის, ბესო ჩიხრაძის მიწვევით ჩავედი, რომელსაც ადრე ვიცნობდი. ჩემი ამოცანა იყო, გადამერჩინა გუნდი, რომელსაც ნახევარი წლის განმავლობაში თამაში მოგებული არ ჰქონდა. სიტუაცია, პირდაპირ რომ გითხრათ, შესაშური არ იყო — ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ 9 მატჩი რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე წრეში ურიგოდ არ გვითამაშია, ეს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა. პირველ ლიგაში მუშაობა ჩემთვის სასირცხვილო არ ყოფილა, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტის მიმართ უდიდესი პატივისცემის გამო და ამას არც ვნანობ. ახლა პირველ ლიგაში ვლიდერობთ და თასის ფინალში ვართ გასული.

***— უცხო ქვეყანაში რამდენად კომფორტულად მუშაობთ?***

— ჩემთვის მთავარია, რომ მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთგაგება იყოს. სხვაგვარად საქმე არ გამოვა. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ზოგიერთი კლუბის პრეზიდენტები, ამ შემთხვევაში უკრაინაზე ვსაუბრობ, თავად განსაზღვრავდნენ მატჩზე გუნდის შემადგენლობას, წყვეტდნენ, რომელი ფეხბურთელი უნდა შეეძინათ და გუნდიდან ვინ უნდა გაეშვათ, საწვრთნელ პროცესში ერეოდნენ. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელი თავისი გუნდის ფეხბურთელებისთვის ავტორიტეტი როგორ გახდება?

***— ე.ი. უკრაინული ჩემპიონატი არ გიზიდავთ?***

— რა თქმა უნდა, სამშობლოში მუშაობა მსურს. თუმცა, ვერაფრის დიდებით ვერ მოვითმინე, როდესაც ჩემს უშუალო სამწვრთნელო საქმიანობაში ვიღაც ერეოდა და საკუთარ დილეტანტურ აზრებს თავს მახვევდა. სამწუხაროდ, უკრაინული კლუბების ყველა ხელმძღვანელი სამწვრთნელო შტაბთან არცთუ კორექტულად და საქმიანად ურთიერთობს. ალბათ, მხოლოდ კიევის „დინამოს“, დონეცკის „შახტარის“, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ და ხარკოვის „მეტალისტის“ პრეზიდენტები არიან გამონაკლისნი. საერთოდ, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს.

***— საქართველოს პირველი ლიგის სპეციფიკა რაში მდგომარეობს?***

— ჩემი აზრით, საქართველოში პირველ ლიგაში უფრო რთულია თამაში, ვიდრე უმაღლესში. გუნდების უმრავლესობა დასავლეთ საქართველოდანაა, სადაც ძალიან შეურიგებელი ხალხი ცხოვრობს — ნამდვილი მებრძოლები არიან.

***— უკრაინელებთან უფრო ადვილია?***

— ვერ გეტყვით... „კრივბასში“ იაქსამანიცკი და კოტოვიც მყოფნიდა. აი, ეს იყო კომპანია! ქართველები უბრალოდ უფრო ემოციურები და ტემპერამენტიანები არიან.

***— დისციპლინის მხრივ პრობლემები გაქვთ?***

— არა. ქართველებს უფროსისა და სტუმრის მიმართ პატივისცემა სისხლში აქვთ. თუმცა, ეს მთავარი არაა. თუ ხედავენ, რომ მწვრთნელს სარგებლობა მოაქვს, რის შედეგად, ისინი პროფესიონალებად იზრდებიან, ეს ბიჭები არასოდეს გიღალატებენ. მაგალითად, თუ ფეხბურთელი ვარჯიშზე არაფხიზელ მდგომარეობაში მივა, ამაში დამნაშავე უშუალოდ მწვრთნელია.

***— „გაგრას“ სათამაშო სქემაში უპირველეს ყოვლისა რა შეცვალეთ?***



— 3 ცენტრალური მცველით თამაში დავიწყეთ. ჩვენ ლიგაში ერთადერთი გუნდი ვართ, ვინც ასეთი სქემით თამაშობს. სხვა კლუბები 4 მცველით თამაშობენ, რომლებიც ერთ ხაზზე არიან განლაგებული. კლუბის პრეზიდენტს თავდაპირველად ჩემი გადაწყვეტილება არ ესმოდა, მაგრამ შედეგმა ყველაფერი საკუთარ ადგილზე დააყენა — პირველ ადგილზე ვიმყოფებით, ყველაზე მეტი გოლი გავიტანეთ და ყველაზე ნაკლები გავუშვით.

***— გუნდის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი როგორია?***

— ძირითადად, აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ვაკეთებთ. გულწრფელად გითხრათ, ძალიან პერსპექტიული ბიჭები გვყავს. გარდა ამისა, გუნდში ლეგიონერებიც არიან — უკრაინელები, ნაკონეჩნი და ორდინსკი, ასევე, 18 წლის ნიგერიელი ოვონიკოკო. ის ჩვენი საუკეთესო ბომბარდირია. საუცხოო აღნაგობა და გიჟური ტექნიკა აქვს. ვფიქრობ, რომ მას კარგ ევროპულ კლუბში მოხვედრის შანსი აქვს. სხვათა შორის, თორნიკე ოქრიაშვილი, რომელიც „ილიჩევეცში“ იჯარით თამაშობს, ჩვენი აღზრდილია. როგორც ვიცი, „შახტარს“ მისი სატრანსფერო უფლებები ბოლომდე არ გამოუსყიდია. თუ ეს ბიჭი დაგვიბრუნდება, ძალიან გაგვაძლიერებს. თუმცა, მსგავსი ვარიანტი ალბათ, გამორიცხულია.

***— როდესაც საქართველოს თასის ფინალისკენ მიმავალ გზაზე უმაღლესი ლიგის გუნდები ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეთ, თქვენ შესახებ ბევრი კარგი რამ ითქვა?***

— პრესისგან მხოლოდ საქებარ სიტყვებს ვისმენ, რაც ბუნებრივია, სასიამოვნოა. სხვათა შორის, მე „მკვლელ-მწვრთნელს“ მეძახიან.

# ბაქოდან — ერთი მედლით

ბაქოში 3 დღეს მიმდინარეობდა დიდი პრიზის ტურნირი. ყველაზე წარმატებული პირველი დღე გამოდგა, როდესაც ამირან პაპინაშვილმა 150.000 დოლარის საპრიზო ფონდიანი ტურნირი წაუგებლად ჩაამთავრა. 60 კილოგრამში მოჭიდავე ქართველმა 4 შეხვედრა მოიგო და ოქროს მედალთან ერთად, 3.000 დოლარიც მიიღო და საერთაშორისო რეიტინგში 200 ქულაც გამოიმუშავა.

პაპინაშვილი შეჯიბრებაში მე-2 წრიდან ჩაერთო. ყაზახი ასხატ ტელმანოვი წუთსა და 57 წამში იპონზე დასცა, შემდეგ მასპინძელ ილგარ მუშკიევს ვაზარით გასცდა, ნახევარფინალში ფინელ ვალტერი იოკინენს 3 წუთსა და 18 წამში იუკო და 2 ვაზარი აართვა, ხოლო გადამწყვეტ შეხვედრაში კი მონღოლ ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონს 2 იუკოთი აჯობა.

66 კილოგრამში კიმონო შალვა ქარდავამ მოირგო, მაგრამ მხოლოდ ერთადერთხელ — პირველსავე წრეში წმინდად წააგო, მონღოლ ხიშიგბაიარ ბუუვეიბაატართან.

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრთათვის, ბაქოს დიდი პრიზის დანარჩენი დღეები წარუმატებელი გამოდგა. აზერბაიჯანულ ტატამზე, 73 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში ქართულ გუნდს ორივე წონაში ორ-ორი მონაწილე ჰყავდა. 73 კილოგრამში თენგიზ პაპოშვილმა და ნუგზარ ტატალაშვილმა იჭიდავეს, 81-ში — ლევან წიკლაურმა და ავთანდილ ჭრიკიშვილმა. ოთხივე ძიუდოისტი დიდ პრიზს მერვედფინალიდან გამოეთიშა.პაპოშვილის-



თვის დაუძლეველი ბარიერი ავსტრიელი პიტერ შარინგერი აღმოჩნდა, ტატალაშვილისთვის — ჰოლანდიელი დექს ელმონი, წიკლაურისთვის — ბელგიელი ჯოაკიმ ბოტიო, ხოლო ჭრიკიშვილისთვის — ბელარუსი ალექსანდრ სტიაშენკა.

ბოლო დღეს მედლები მამაკაცთა დარჩენილ სამ წონაში (90, 100 და მძიმე) გათამაშდა. ტატამზე 3 ქართველი გავიდა, მაგრამ სამივე წინასწარ ეტაპზე დამარცხდა.

100 კილოგრამში ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა კონსტანტინე მუკვანს და ალექსანდრე მსხალაძეს მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ პირველ წრეს ვერც ერთი გასცდა. ამასთან, ორივემ იპონით წააგო — მუკვანმა უკრაინელ არტემ ბლოშენკოსთან, ხოლო მსხალაძემ რუს ასხაბ კოსტოევთან.

მძიმე წონაში კიმონო ნოდარ მეტრეველს უნდა მოერგო, მაგრამ ჯერჯერობით, უცნობი მიზეზით, სატურნირო ბადიდან ამოიღეს. მისი მეტოქე, ყაზახი ბეიბიტ ისტიბაევი კი მე-2 წრეში უბრძოლველად გავიდა.

ერთადერთი, ვინც პირველი მეტოქის ძლევა შეძლო, 90 კილოგრამში მოჭიდავე ვარლამ ლიპარტელიანი იყო. გერმანელ კრისტოფერ ლამბერტს იპონით გასცდა. მერვედფინალში კი მოულოდნელად, ყაზახ ალექსანდრ კასაჩევთან იპონითვე წააგო.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10.მონპელიე | 34 | 11 | 11 | 12 | 29:37 | 44 |
| 11.ტულუზა | 34 | 12 | 7 | 15 | 34:35 | 43 |
| 12.ბრესტი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:37 | 42 |
| 13.ოსერი | 34 | 8 | 18 | 8 | 38:38 | 40 |
| 14.მონაკო | 34 | 8 | 16 | 10 | 34:34 | 40 |
| 15.კაენი | 34 | 10 | 10 | 14 | 41:48 | 40 |
| 16.ნიცა | 34 | 9 | 13 | 12 | 27:41 | 40 |
| 17.ვალანსიენი | 33 | 8 | 15 | 10 | 38:37 | 39 |
| 18.ნანსი | 34 | 10 | 8 | 16 | 32:46 | 38 |
| 19.ლანსი | 34 | 6 | 13 | 15 | 33:52 | 31 |
| 20.არლე | 34 | 1 | 11 | 22 | 16:64 | 14 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

როსტოვი-ნალჩიკი ... 0:0
ტომი-კრ.სოვეტოვი ... 1:1
ყუბანი-ტერეკი ... 2:1
ვოლგა-ანჟი ... 1:2
დინამო-ცსკა ... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ყუბანი | 8 | 5 | 0 | 3 | 10:7 | 15 |
| 2.ანჟი | 8 | 4 | 3 | 1 | 8:6 | 15 |
| 3.ზენიტი | 8 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| 4.ლოკომოტ. | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| 5.ცსკა | 7 | 3 | 3 | 1 | 12:5 | 12 |
| 6.დინამო | 8 | 3 | 3 | 2 | 13:13 | 12 |
| 7.კრასნოდარი | 7 | 2 | 4 | 1 | 5:5 | 10 |
| 8.სპარტაკი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:9 | 10 |
| 9.ვოლგა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:7 | 9 |
| 10.რუბინი | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 9 |
| 11.როსტოვი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 9 |
| 12.ტერეკი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:6 | 8 |
| 13.ტომი | 8 | 2 | 3 | 3 | 6:9 | 9 |
| 14.კრ.სოვეტ. | 7 | 1 | 4 | 2 | 5:8 | 7 |
| 15.ნალჩიკი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:10 | 6 |
| 16.ამკარი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:10 | 5 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-ჰართსი ... 4:0
აბერდინი-სტ.ჯონსონი ... 0:2
ჰამილტონი-ჰიბერნიანი ... 1:0
დანდი-მოზერველი ... 4:0
ინვერნესი-სტ.მირენი ... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 36 | 28 | 3 | 5 | 81:28 | 87 |
| 2.სელტიკი | 35 | 26 | 5 | 4 | 76:22 | 83 |
| 3.ჰართსი | 36 | 18 | 9 | 9 | 52:40 | 63 |
| 4.დანდი | 36 | 16 | 10 | 10 | 53:47 | 58 |
| 5.კილმარნოკი | 35 | 13 | 9 | 13 | 51:46 | 48 |
| 6.მოზერველი | 36 | 13 | 6 | 17 | 39:55 | 45 |
| ------------------------------ | | | | | | |
| 7.ინვერნესი | 36 | 12 | 11 | 13 | 48:43 | 47 |
| 8.სტ.ჯონსონი | 36 | 10 | 10 | 16 | 22:43 | 40 |
| 9.ჰიბერნიანი | 36 | 10 | 7 | 19 | 38:56 | 37 |
| 10.აბერდინი | 36 | 10 | 5 | 21 | 36:57 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 36 | 7 | 8 | 21 | 32:57 | 29 |
| 12.ჰამილტონი | 36 | 4 | 11 | 20 | 23:56 | 26 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-ლინცერი ... 5:0
მატერსბურგი-ინსბრუკი ... 2:1
კაპენფერგი-რაპიდი ... 1:1
ზალცბურგი-ნოიშტადი ... 4:0

**ბელგია. ჟიულიგა**

**პლეი-ოფი**

გენტი-ლოკერენი ... 2:2
ვესტერლო-ვარეგემი ... 7:1
ბეერსხოტი-კორტრაიკი ... 0:0
მეხელენი-ლიერსი ... 4:3
სერკლი-სტ.ტრუიდენი ... 1:0
სტანდარდი-ბრიუგე ... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ქსამაქსი ... 3:1
ლუცერნი-იანგ ბოიზი ... 1:1
თუნი-სიონი ... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ისთამბული-ანთალია ... 1:1
ბურსა-ბეშიქთაში ... გადაიდო
გაზიანთები-მანისა ... 1:0

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

პლზენი-ბოლესლავი ... 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-პოლონია ... 3:1
შლიონსკი-ბოტიმო ... 0:0
იაგელონია-ვიძევი ... 1:3
ლეხი-გურნიკი ... 2:0

**უკრაინა. ვიშა ლიგა**

ზარია-დნიპრო ... 0:1
შახტარი-მეტალურგი(დ) ... 2:0
არსენალი-ვორსკლა ... 0:1
კარპატი-დინამო ... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰეკენი-აიკი ... 3:1
დიურგარდენი-ჰალმშტადი ... 2:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ვალერენგა-ბრანი ... 0:2

**აშშ. მლს**

პორტლენდი-ფილადელფია ... 1:0
სოლტ ლეიკი-ჩივასი ... 1:0
ჩიკაგო-ვანკუვერი ... 0:0
ნიუ ინგლენდი-კოლორადო ... 0:0
კოლამბუსი-სიეტლი ... 1:1
ვაშინგტონი-დალასი ... 0:0
ტორონტო-ჰიუსტონი ... 2:1
ლოს ანჯელესი-რედ ბული ... 1:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ოლდ ბოიზი-გოდოი ... 1:3
ქილმესი-ხიმნასია ... 2:2
ურაკანი-ოლიმპო ... 1:2
ტიგრე-კოლონი ... 3:0
არსენალი-რასინგი ... 1:2

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალები 4 მოგებამდე**

მემფისი-ოკლაჰომა ... 101:93(ოტ)
სერიის ანგარიში ... 1:2
ბოსტონი-მაიამი ... 97:81
სერიის ანგარიში ... 1:2

**ჩოგბურთი**

**ატპ. მადრიდი. თიხა**

ნადალი-ფედერერი ... 5:7;6:1;6:3
ჯოკოვიჩი-ბელუჩი ... 4:6;6:4;6:1

**ვტა. მადრიდი. თიხა**

კვიტოვა-ლი ... 6:3;6:1
აზარენკო-გერგესი ... 6:4;6:2

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

ვანკუვერი-ნეშვილი ... 3:4
სერიის ანგარიში ... 3:2

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ლატვია-ბელარუსი ... 6:3
სლოვენია-ავსტრია ... 2:3
აშშ-საფრანგეთი ... 3:2
სლოვაკეთი-ფინეთი ... 1:2
კანადა-ნორვეგია ... 3:2
გერმანია-დანია ... 3:4(ოტ)

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 9 მაისი**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "რა ხდებოდა ჰიტლერის თავში" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.30** მხ. ფილმი **"შიშის ოთახი"** (18) (ჯ. ფოსტერი) **02.30** მოამბე **02.50** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** ან. ფილმი "ჩარეცხილი" **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"ნაციონალური უსაფრთხოება"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"რამდენიმე კარგი ბიჭი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწუხრეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** ნიჭიერი (პირდ.) **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** მხ. ფილმი **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.00** რემონტი (გან.) **01.55** მხ. ფილმი **"ლამაზი მერის ამბავი"** (12) (კ. დიასი) (სუბტ.) **04.00** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ. ფილმი **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **13.30** კონცერტი – ანს."თბილისი" **15.05** სპექტაკლი "შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" **17.10** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფ. **"ღიმილის ბიჭები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფ. "ახალმოწამე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ერთი კენჭი სამშობლო" **00.55** სუფთა დაფა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო — 2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

## ამინდის პროგნოზი 9 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — §-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — 7-19

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 1-19








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# იმერული კლუბები თანაბრად დაისაჯნენ

**„მიხეილ მესხის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო შეტანილი:**



1.1. საფეხბურთო კლუბ „დინამო" თბილისის ფეხბურთელის ლევან კაკუბავას გაძევების შესახებ, რომელიც 2011 წლის 1 მაისს დინამო — კოლხეთის მატჩის მთავარმა მსაჯმა არსენ ნონიკაშვილმა გააძევა ბოლო იმედის ჯარიმისთვის.

2.2. 2011 წლის 4 მაისს ზესტაფონის სტადიონზე საფეხბურთო კლუბების, „ზესტაფონისა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩის დროს, ორივე გუნდის ფეხბურთელების არასპორტული მოქმედების შესახებ. ამავე მატჩის შემდეგ, „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" გულშემატკივრების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შესახებ.

ვინაიდან, დღის წესრიგის მეორე საკითხი მედიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, სხდომას უამრავი ჟურნალისტი ესწრებოდა. სხდომაზე, ასევე, გამოცხადდნენ საფეხბურთო კლუბების, „ზესტაფონისა" და „ტორპედოს" წარმომადგენლები.

4 მაისის სათასო მატჩზე დამსწრე ოფიციალური პირების ოქმების წაკითხვისა და მატჩის ვიდეოჩანაწერზე სადავო მომენტების კიდევ ერთხელ ნახვის შემდეგ, სხდომა მედიისთვის დაიხურა.

სადისციპლინო კომიტეტმა ორივე კლუბის წარმომადგენლებს მოუსმინა, რომლებმაც კომიტეტის წევრებს დეტალურად


**გაგრძელება მე-14 გვერდზე**


## ასტროპროგნოზი 9 მაისისთვის

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ახალი საქმე გაამართლებს. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ, გახარებული ხართ. **ლომი** — უარს ნუ იტყვით შემოთავაზებაზე, კარგი წინადადებაა. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, დროს ნუ დაკარგავთ. **სასწორი** — ზედმეტი ემოციის გამოვლენა უადგილოა, თავი შეიკავეთ. **ღრიანკალი** — საღამო მშვენიერი იქნება, დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** — არ შეშინდეთ, პრობლემას მოევლება. **თხის რქა** — ნუ გადაყვებით იმას, ვინც არ იმსახურებს. **მერწყული** — ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **თევზები** — საქმეს ნუ მიაფუჩეჩებთ, მაგას სჯობია საერთოდ არ გააკეთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

გაზეთი + წიგნი = 8 ლარი





## იუმორი



— ამ ბოლო დროს შერლოკ ჰოლმსის კითხვა დავიწყე.

— რა, კუჭის შეკრულობა გაწუხებს?

* * *

პარაშუტისტი ყვება:

— ერთ-ერთი ნახტომის დროს თოკები გადაიხლართა, მხოლოდ ის მახსოვს, რომ რაღაც სახურავზე დავეცი, ჩავანგრიე და გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, სინათლე დავინახე და გარშემო ისინი მახვევიან... რა ჰქვია... თეთრები რომ არიან, ფრთები რომ აქვთ...

— ანგელოზები?

— არა, ბროილერები...

* * *

ახალგაზრდა მშობლებმა თავიანთი ახალშობილი ექიმთან მიიყვანეს. ექიმმა გასინჯა და ეუბნება:

— რა ლამაზი ბავშვი გყავთ.

— თქვენ, ალბათ, ყველას ამას ეუბნებით.

— არა, მხოლოდ იმათ, ვისი ბავშვიც ნამდვილად მომწონს.

— აბა, დანარჩენებს რას ეუბნებით?

— „როგორ გგავთ თქვენი შვილი".

გ. თ.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 6. საჯარო პაექრობა; 8. ტროპიკული ხის სურნელოვანი ფისი; 10. საწარმოს კოლექტივიდან გაგზავნილი რწმუნებული; 11. ქალაქი რუსეთში; 13. ბორბალი მოძრაობის გადასაცემად; 16. მზესუმზირა; 18. ფიჭვის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი; 19. ხომალდის ტვირთი; 21. ... ჩიხრაძე; 22. სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 23. სახელმწიფო აფრიკაში.

**შვეულად:** 1. უსინდისო ადამიანი; 2. მტაცებელი ფრინველი; 3. ფოთლოვანი ბოსტნეული მცენარე; 4. მღრღნელი ცხოველი; 7. მინანქარი; 9. სახელმწიფო აზიაში; 12. ცნობა მომხდარი ამბის შესახებ; 14. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგი; 15. კლდის თხა; 17. კონტინენტი; 20. აზელილი კარტოფილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი